# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



ოთხშაბათი, 28 მარტი, 2012 წელი.

№59 (6936)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.





## 6,4 მილიარდის საიდუმლო

ბიძინა ივანიშვილი თავისი ბიზნესიმპერიის, მართვის მოდელის, წარმატების საიდუმლოს და ბედნიერების შესახებ

7-9

## რატომ გადადგა მთავარი რედაქტორი?

ვის და რატომ არ აძლევს ხელს ბიძინა ივანიშვილზე მასალის გამოქვეყნება?

2



## კლანები, რომლებიც ქვეყანას მართავენ

4

## საქართველო აშშ-ის სამხედრო წვრთნებზე დასასწრებად ირანს იწვევს



12

## სამხრეთ ოსეთში კვლავ კრემლის კანდიდატი „გააგრიალეს“



## აჭარელი დედების მიმართვა სრულიად საქართველოს დედებს

3



## დამხმარე სამხედრო რეზერვის ექსპერიმენტი

6

## ნუთუ ჰიტლერმა შეძლო გაქცევა 1945 წელს?

13

კოალიცია „ქართული ოცნების“ განცხადება

# ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევებთან დაკავშირებით

პირველ რიგში, გვინდა კიდევ ერთხელ გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება აშშ-ის მთავრობის მიერ ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოსთვის აღმოჩენილი დახმარების, მათ შორის USAID-ის ეგიდით განხორციელებული მრავალრიცხოვანი პროგრამების გამო. ჩვენთვის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის, მნიშვნელოვანია ის საქმიანობა, რომელსაც წლების განმავლობაში ეწევიან NDI-ის და IRI-ის ადგილობრივი ოფისები.

ამასთან, სულ უფრო აშკარა ხდება, რომ ამ ორგანიზაციების მიერ წლების განმავლობაში განხორციელებული ერთ-ერთი პროექტის, კერძოდ, სოციოლოგიური კვლევების ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს ეხება, არა თუ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, არამედ კონტრპროდუქტიული გახდა კონკურენტული პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებისა და მოქალაქეების მიერ ინფორმირებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთებისთვის. ერთი მხრივ, აღნიშნული კვლევების ჩატარებისა და შედეგების გამოქვეყნების მეთოდოლოგიამ და ფორმატმა და, მეორე მხრივ, მმართველი პარტიის მიერ ნაციონალური ტელევიზიების გამოყენებით ამ შედეგებით მანიპულირებამ, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს კვლევებისადმი ნდობა დააკარგვინა.

NDI-ს უკანასკნელმა კვლევებმა ეს პრობლემები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა და მისი ანალიზი და კომენტირება ყოველგვარ აზრს მოკლებულია, ხოლო კვლევებთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩვენს კოალიციაში გაერთიანებული პოლიტიკური ძალები უახლოეს პერიოდში წერილობით მივმართავთ აშშ-ის მთავრობას და შესაბამის ორგანიზაციებს, სადაც ავსახავთ ჩვენს წინადადებებს საპარლამენტო არჩევნებამდე ამ პრობლემების მოგვარების თაობაზე.

ახალი წიგნი

# ჩვენი ენერგეტიკული უსაფრთხოება!..



2011 წელს გამოიცა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თეიმურაზ გველესიანის და ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დემურ ჩომახიძის ერთობლივი მონოგრაფია „საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება (საინჟინრო ჰიდროეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები)“. მასში კომპლექსურადაა შესწავლილი და შეფასებული ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე პროცესები და ტენდენციები, ენერგეტიკის განვითარება, როგორც ეროვნული მეურნეობის ტრანსფორმაციის უმთავრესი პირობა. დასაბუთებულად არის წარმოდგენილი ენერგეტიკის როლის ტექნიკური (საინჟინრო ჰიდროეკოლოგიური) და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, აგრეთვე ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლების ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები; მოიცავს უახლოეს საინტერესო ინფორმაციულ მასალას, რაც მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნება ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულთათვის, ამ საკითხით დაინტერესებული ყველა მკითხველისთვის.

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია

ვაი ჩვენს პატრონს!

# მიდი, მიშა, მიდი!

## მალე სააკაშვილი ძველ ახალ საავადმყოფოს გახსნის

**რუსთავის პირველი და ძველი საავადმყოფოს განახლების სამუშაოები დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. ის ახლა კერძო საკუთრებაა, მაგრამ აქ პრეზიდენტს ელოდებიან, რომ წითელი ლენტი გაჭრას. ისევ ისე მოყრიან პედაგოგებს, ექიმებს, ყვითელი ავტობუსების მოყვარულ-მოსეირეებს და, როგორც ამას წინათ, დაუკრავენ ტაშს, ხოლო მოსწავლე გოგო-ბიჭები, ასევე 5-10-ლარიანი ტაშის დამკვრელები იქოთქოთებენ მიშა-მიშა-ააა...**



მთავარი და მნიშვნელოვანია, პრეზიდენტს საბაბი ჰქონდეს, ლაპარაკი კი, იცოცხლე! რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს გადმოაფრქვევს! თურმე, ნუ იტყვი და, ქვეყანას საავადმყოფოების გარდა სხვა გასაჭირი არა აქვს.

მერე რა, რომ რუსთავი, ქვეყნის მეორე ინდუსტრიული ცენტრი, სადაც 90 ათასი ადამიანი მუშაობდა ქარხნებში, სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, დღეს უმუშევართა ქალაქია, სანთლით რომ ეძებო, საქმეს ვერ გაიჩენ. 44 სამრეწველო საწარმო ნაცარ-ტუტად აქციეს, მეტალურგიული კომბინატის ისეთი საამქროები დაშალეს და ჯართად აქციეს, ქვეყანას ფეხზე რომ დააყენებდა, მერე რა, რომ აქაური მოსახლეობა განახევრდა, ნაცელებისათვის ეს ხომ გამარჯვებაა – რაც ცოტაა ხალხი, პრობლემაც ცოტაა...

მერე რა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოებთან, ბატონმა პრეზიდენტმა რომ შეახურა, ისევ უშველებელი რიგებია, რომ შობადობა ყოველწლიურად მცირდება, რომ სიკვდილიანობა მატულობს და რუსთავის ახალი სასაფლაოც გადაივსო. მერე რა, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2025 წლისთვის ქართველთა რაოდენობა 800 ათასით შემცირდება. რომ ის ორი მილიონი უცხოეთში გადახვეწილი თანამემამულის მეტი წილი ჯოჯოხეთშია...

ამ ორიოდე თვის წინათ ახალგაზრდა ქართველი ქალი იტალიის ერთ-ერთ ქალაქში გაგიჟებული, ტანსაცმელშემოძარცული ქუჩაში დარბოდა თურმე და პოლიციამ ძლივს დაიჭირა, ამ საცოდავმა აქეთ შვილების დარდს, იქ კი ფსიქიკურად მოშლილი მოხუცის მოვლას ვერ გაუძლო და გაგიჟდა. მეორე ქალი ჩასვლიდან სამ თვეში გარდაიცვალა. იცოდა, უკურნებელი სენი რომ სჭირდა, მაგრამ გაღატაკებული ოჯახისთვის თავი გასწირა...

კიდევ სხვა მრავალია ასეთი, რაც მე ვიცი! რაც არ ვიცი, მას ვინ ჩამოთვლის! მერე რა, რომ ათასობით უნიჭიერესი, ულამაზესი, სულითა და ხორცით ჯანსაღ ახალგაზრდას სკოლას რომ დაამთავრებს, ან უმაღლეს სასწავლებელს, მერე პერსპექტივა არა აქვს და საკუთარი მშობლების თავგანწირვით უცხოეთში გადასახვეწად ემზადება.

სამაგიეროდ აქ მომრავლდნენ უცხოელები, რომლებიც ზემოდან დაგვყურებენ ჩვენს სამშობლოში, მათ ხომ ყველა უპირატესობა აქვთ და პატრულიც ვერაფერს გაუბედავს.

არადა, მიშა ასეთ რამეებზე არ ლაპარაკობს, არც იტყვის, რადგან ჩვენ ყველაზე წარმატებულნი ვართ.

**გივი ჯახუა**

**P. S. რუსთავს ახლახან ერთი ღირსეული მამულიშვილი გამოაკლდა. გასვენებაზე 1000-ზე მეტი ადამიანი მოვიდა. ბევრ მათგანს წლობით არ შევხვედრივარ. უნებლიეთ სხვადასხვა გუნდებად შეკრებილ ნაცნობ-უცნობებთან მომიხდა შეხვედრა, მათი საუბრის თემა დღევანდელობა და ბიძინა ივანიშვილი იყო ძირითადად. ეს კაცი ღმერთმა მოგვივლინა, ერის გადარჩენის ერთადერთი შანსიაო...**

**ეს კი, მაგრამ „ქართული ოცნებისათვის“ ოფისის გამონახვა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა, ვინც შევიპირეთ, გაუგეს და დააშინეს.**

**მიშა მაინც „მაგარია“... ჯერჯერობით ასე ჰგონია.**

**გ. ჯ.**

ცენზურის წნეხქვეშ

# რატომ გადადგა მთავარი რედაქტორი?

## ვის და რატომ არ აძლევს ხელს ბიძინა ივანიშვილზე მასალის გამოქვეყნება?

**სარედაქციო მუშაობაში დამფუძნებლის უხეში ჩარევისა და გამოცემის დამოუკიდებლობის შეზღუდვის მცდელობისადმი პროტესტის ნიშნად „ფორბსის“ მთავარმა რედაქტორმა რევაზ საყევარიშვილმა თანამდებობა დატოვა. ამ გადაწყვეტილების გამომწვევ მიზეზებზე მან კონკრეტულად გუშინ „ინტერპრესნიუსში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. მისი თქმით, საქართველოში „ფორბსის“ გამოცემის უფლების მქონე Media Partners-ის პრეზიდენტი გაგიკ ელიაზარიანი მუდმივად ცდილობდა, დაერღვია დამოუკიდებელი მედიის მუშაობის უმთავრესი პრინციპები, მუდმივად ერეოდა სარედაქციო საქმიანობაში და ამკვიდრებდა ცენზურას.**



ამერიკულმა Forbes-მა მარტში მილიარდერთა რეიტინგი გამოაქვეყნა, ბიძინა ივანიშვილის შესახებ სტატია დაბეჭდა და ანონსი ჟურნალის ყდაზეც გამოიტანა. ქართული „ფორბსის“ გამომცემელსა და რედაქტორს შორის კონფლიქტი მას შემდეგ გამწვავდა, რაც რევაზ საყევარიშვილმა გადაწყვიტა, ამ ჟურნალშიც გამოექვეყნებინა ბიზნესმენზე სტატია.

– სწორედ ამ ვითარებაში შევეჯახე ბატონ ელიაზარიანის კატეგორიულ წინააღმდეგობას. თავდაპირველად იგი ამ მასალის საერთოდ ამოღებას ითხოვდა, მოგვიანებით დასასმელი კითხვარის შედგენაში ჩაერია, წერილის მომზადების შემდგომ კი მასში უხეში ჩარევა და პირდაპირი ცენზურა მოისურვა ცალკეული ადგილების ამოღებით...

ჩარევის შემთხვევები მანამდეც იყო, მაგრამ ხერხდებოდა მისი თავიდან არიდება, ან ეს არ იყო იმდენად მწვავე, ფართო დიაპაზონის... ეს კი ბოლო წვეთი გახლდათ...

ვფიქრობ, დამფუძნებლის ასეთი დიქტატის და ცენზურის მცდელობა დიდწილად იმით არის განპირობებული, რომ იგი პირადად იცნობს და მეგობრობს საქართველოს საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელს გელა ბეჟუაშვილს, და, ამდენად, ორთავეს სურს, რომ არ გამოქვეყნდეს ისეთი მასალები, რომელთა პუბლიკაციამაც შეიძლება ხელისუფლება გააღიზიანოს, – განაცხადა რევაზ საყევარიშვილმა.

რედაქტორის პოსტიდან გადადგომის მიზეზებზე ინფორმირებულია „Forbes“-ის სათაო ოფისი ნიუ-იორკში, რომელმაც კონფლიქტის შიგნით განხილვის სურვილი გამოთქვა. ახლა კი, რადგან რევაზ საყევარიშვილს არ მიუწვდება ხელი სარედაქციო მუშაობაზე და არ იცის, როგორი სახით დაიბეჭდა, ან, საერთოდ, გამოქვეყნდა თუ არა ეს მასალა, მან გადაწყვიტა, საჯარო გაეხადა კონფლიქტის მიზეზები და ის მასალა, რომელიც მან ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილთან ხუთსაათიანი მუშაობის შედეგად მოამზადა, სხვადასხვა სააგენტოს ვებ-გვერდზე განათავსოს.

რევაზ საყევარიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ მას სარედაქციო საქმიანობაში გამომცემლის სისტემატური ჩარევისა და ცენზურის მცდელობის მრავალი დამადასტურებელი ფაქტი აქვს, რომლებიც მათს საქმიან მიმოწერაშია ასახული, საჭიროების შემთხვევაში მზადაა, საზოგადოებას გააცნოს ისინი.

– არა მაქვს იმის არანაირი გარანტია, რომ მასალა დამახინჯებული სახით არ დაიბეჭდება. ამიტომაც თავს ვალდებულად მივიჩნევ, საზოგადოებას წარვუდგინო დედნისეული ვერსია, რათა გამოირიცხოს ამ პუბლიკაციის არასათანადოდ გამოყენების მცდელობა.

რაც შეეხება ჩემს შრომითს საქმიანობას, ამ ეტაპზე არც ერთი მიმართულებით არა მაქვს გეგმები, ცოტას დავისვენებ, – განაცხადა რევაზ საყევარიშვილმა.

**გულნაზ გახარია**

**რედაქციისგან: ბატონი რევაზის თანხმობით, ბატონ ბიძინა ივანიშვილთან მისი ზემოაღნიშნული ინტერვიუ იბეჭდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში.**

ინფორმაცია

# ჯონდი ბაღათურია პრეზიდენტის ოჯახს დანაშაულის დამალვის მცდელობაში ადანაშაულებს

**„ქართული დასის“ ლიდერი, დეპუტატი ჯონდი ბაღათურია პრეზიდენტის ოჯახს დანაშაულის დამალვის მცდელობაში ადანაშაულებს. ამის შესახებ ბაღათურიამ პარლამენტის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა და პროკურატურას, იუსტიციის სამინისტროს და საჯარო რეესტრს რეაგირებისკენ მოუწოდა.**

**მისი თქმით, პარლამენტში გამართული დებატების მეორე დღეს – 29 თებერვალს, „კლასიკური მუსიკის ასოციაციამ“, რომლის დამფუძნებელიც პრეზიდენტის ოჯახია, საჯარო რეესტრს მიმართა და დამფუძნებელთა ოქმში ცვლილებების შეტანა მოითხოვა.**

**„ამ ასოციაციამ, რომლის დამფუძნებლები პრეზიდენტის სიდედრი, დედა და მეუღლე არიან და საჩუქრად 1 მილიონი ლარი მიიღეს უკანონოდ, საჯარო რეესტრში განცხადება შეიტანა და დამფუძნებელთა მონაცემებში, ცვლილების შეტანა მოითხოვა. ეს არის მცდელობა კვალის წაშლისა“, – განაცხადა ბაღათურიამ.**

# ერთად მოვუნახოთ ტაძრისკენ სავალი გზები!

## აჭარის დედების მიმართვა სრულიად საქართველოს დედებს

**აჭარაში მცხოვრები ქართველი დედები ხმას ვიმაღლებთ იმ რეალური ვითარების წინააღმდეგ, რაც დღეს ბათუმში აზიზის მეჩეთის აგებასთანაა დაკავშირებული. საზოგადოების აზრი ამის შესახებ ორადაა გაყოფილი. სამთავრობო ტელევიზიდან გაისმის თურქეთის ტერიტორიაზე ჩვენი უძველესი კულტურის ძეგლების ოშკისა და ხახულის გადარჩენის სანაცვლოდ – ბათუმში თურქეთის სულთნის აზიზის სახელობის მეჩეთის აშენების „აუცილებლობა". ყველას უნდა გვესმოდეს, რომ მოჩვენებით კეთილდღეობას და არსებულ სიტუაციათა შელამაზებას არასდროს სიკეთე არ მოჰყოლია, ამიტომაც გვსურს, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ.**

ჩვენ საქართველოს იმ მხარის შვილები ვართ, საიდანაც საქართველოს პირველად მოეფინა ქრისტიანული ნათელი. ჩვენ იმ მხარიდან ვართ, სადაც სიწმინდისა და ზეციური ძალმოსილების სიმბოლოდ გონიოს ციხე-სიმაგრეში მატათას წმინდა საფლავს ქრისტიანული ნათელი ადგას და ჭირგამოვლილი სხალთის ტაძარი ამაყად დგას, როგორც ჩვენი სულიერი სიწმინდე... დიდაჭარის მადლმოსილებაა მთავარანგელოზის მთაზე (დღეს თარანგელოდ იწოდება) ძღვთისშობლის სახელზე აგებული მიწიერ სამყაროში პირველი ქართული ტაძრის საბრძანისი, აქედან არასოდეს გაწყვეტილა ღვთაებრივი კავშირი ზეციურ საქართველოსთან. აქ საუკუნეთა მანძილზე აჭარელი დედა ხარკს უხდის წმინდა სამებას – მამა ღმერთს, ძე ღმერთსა და სულიწმინდას. უფლის კვართი, რომელიც სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში ასვენია, გონიოს გზითაა შემოტანილი და დასვენებული, რომლითაც ფრიად გვეამაყება. აჭარის ტერიტორიაზე მე-12 საუკუნის აღორძინების პერიოდის იმდენი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლია, რომელსაც ვერავითარი ქარტეხილი და ანტიქრისტე ვერ აღგვის პირისაგან მიწისა. მწერალი და მეცნიერი ტბელ აბუსერისძე ხიხანის ციხიდან მოძღვრავდა სრულიად საქართველოს, იმ დროს ხომ ტაო-კლარჯეთი საქართველოს სიამაყე გახლდათ. ისტორიის ბედუკუღმართობამ სამი საუკუნე წყვდიადში გვატარა, აიჩეხა ვაზი, დაინგრა ტაძრები, სისხლით შეიღება აჭარისწყალი და ჭოროხი. აჭარელმა კაცმა ვაზი ტყეში გახიზნა და დაუმალა მომხდურთ იმედით იმისა, რომ საქართველოს სიმბოლო – ვაზი აქ კვლავ იხარებდა. აჭარელმა დედამ მალულად მჭადზე ჯვრის დასმით აუწყა შვილებს, რომ ქრისტიანები ვართ და დედა-ენა შემოგვინახა. ნუ დაავიწყდებათ ქართველთ სელიმ ხიმშიაშვილის სიტყვები, რომელმაც თავის მოკვეთის წინ წარმოთქვა: – ჩემს თავს თქვენ მოაშორებთ ჩემს სხეულს, მაგრამ აჭარას საქართველოს ვერასოდეს დააშორებთო, ეს იმ მამულიშვილის სიტყვებია, რომელიც ყველა ქართველისათვის, ყველა თაობისათვის, სამშობლოს ერთიანობისა და თავდადების მაგალითი უნდა იყოს.

ჩვენო თანამემამულენო!

აჭარის ისტორია იმდენად ტრაგიკულია, რომ ზერელედ, გაუთვითცნობიერებლად,კონტექსტიდან ამოვარდნილი სიტყვებით მანიპულირება, გულს ატკენს აქაურ მკვიდრთ. ჩვენმა წინაპარმა ქალბატონებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს უცხო დამპყრობთა მიერ ძალით თავმოხვეული სარწმუნოების სიმკაცრე, კარჩაკეტილობა და მორჩილება.

გვსურს, ყველა ჩვენს თანამემამულეს მივმართოთ, რომ აჭარას სათუთი მოპყრობა, მოფერება, გულში ჩახუტება და თანადგომა სჭირდება. აქაურმა ქალბატონებმა დიდი ღვაწლი შეიტანეს ქართული ეროვნული ცნობიერების, ქართული ტრადიციების, მაღალზნეობრივი იდეალების დამკვიდრებაში. საქართველოს სადიდებლად და უკვდავსაყოფად მარტო დუდუ-ხანუმ ბეჟანიძისა და ვანენ დედოფლის საშვილიშვილო საქმენი კმარა, ქართული ფუძე-საკუთრთხეველთან მიტანილი.აჭარაში მეჩეთის აშენებას მაშინ გამოუჩნდა დაუმორჩილებელი ძალა, როცა სულმნათმა მერიემ მიქელაძემ და მისმა თანამოაზრე დიდმა დედებმა ქართული სულის გადასარჩენად, დედაბრული, ანუ „ჩიტის ენა" დაუპირისპირეს. სამშობლოს ისტორიის ავბედით თუ ბრწყინვალე ფურცლებზე ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი ყველა იმ ქალის სახელი, ვინც ვაზი ახარა, მტერს ხმალი მოუქნია, ქართული კერა არ გაანელა, სამშობლოს გადასარჩენად ქმარ- შვილს გზა დაულოცა, სახლ-კარის პატრონობა კი თვითონ ითავა.

დღეს, როდესაც საუბარია ბათუმის მთავარ მოედანზე აზიზის მეჩეთის აშენებაზე, ერთი ისტორიული ფაქტი გვინდა შეგახსენოთ: 1929 წლის 8 თებერვალს ბათუმში ჩატარდა სრულიად საქართველოს მაჰმადიან ქალთა პირველი ყრილობა. ყრილობის დამთავრების შემდგომ 252 ქალმა ე. წ.



აზიზის მოედანზე მოაწყვეს მიტინგი, საჯაროდ მოიხადეს ჩადრი და იქვე დაწვეს. ამ მოვლენას შესანიშნავი, მადლიერების გრძნობით აღსავსე ლექსი „ჩადრების ჭიაკოკონა" მიუძღვნა ჩვენი კუთხის საამაყო შვილმა, პოეტმა ნანა გვარიშვილმა.

> **ჰოი, დედებო, ნაპერწკლებს მაყრის**
> **თქვენი ჩადრების ჭიაკოკონა,**
> **ახლაც მედება ლოყაზე ალი,**
> **მართლა დაწვავდით, როგორ მეგონა!**
> **ქვეყნის მორჩილი, ასე სათუთი,**
> **ქალი შეძლებდი ძველს გაერიყო,**
> **როგორ მეგონა, ის ცეცხლის შუქი**
> **ჩვენი მომავლის სინათლე იყო!**

ამის შემდეგ თუკი ვინმე იტყვის, რომ ამ ადგილას მეჩეთი უნდა აშენდეს, მას საქართველოს ისტორია მიუჩენს თავის ადგილს.

სწორედ ასეთი გმირი დედების შთამომავლები მოგმართავთ თქვენ, ჩვენო თანამემამულენო, დაგვიდექით მხარში, რათა ჩვენი წინაპრების სისხლით და ბრძოლით მოტანილი დამოუკიდებლობა შევუნარჩუნოთ ჩვენს ქვეყანას.

აჭარის ყველაზე მაღალმთიან რეგიონში ხულოში სასულიერო სასწავლებელი გაიხსნა და დღეს იქ 260 ახალგაზრდა სწავლობს. ბათუმში ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია ფუნქციონირებს, ხოლო საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტია შუახევში ხიჭაურის აბუსერისძე ტბელის სახელობის უნივერსიტეტის სახელწოდებით, რომელსაც მეუფე სპირიდონი ხელმძღვანელობს. მოდით ვესტუმროთ და გავესაუბროთ იმ სტუდენტ-ახალგაზრდობას, გოგონებსა და ვაჟებს, რომლებიც მართლმადიდებლური მრწამსით და სამშობლოს დიდი სიყვარულით მეცნიერების საფუძვლებს ეუფლებიან. ისინი მართლმადიდებელი სარწმუნოების საუკეთესო მრევლია თითოეულ ოჯახში, სოფელში, რეგიონში.

სრულიად საქართველოს პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, მისმა უწმინდესობამ ილია მეორემ არაერთხელ გამართა მასობრივი ნათლობა მაღალმთიან აჭარაში, ბათუმში. მისასალმებელია, რომ მოინათლენ არა მარტო ბავშვები, ახალგაზრდები, არამედ ხანდაზმულებიც. ეს პროცესი ახლაც გრძელდება.

ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურმა ყოფამ, მაღალმთიანი რეგიონებისადმი უყურადღებობამ, უმუშევრობამ, გამოიწვია ის, რომ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩვენს მეზობელ თურქეთში გადავიდა სამუშაოდ და ოჯახების გადასარჩენად მათ ხშირად დამამცირებელ სიტუაციაში უხდებათ მუშაობა. ამ სიტუაციით ისარგებლა თურქულმა მხარემ და დღესაც ახორციელებს ახალგაზრდების მობილიზებას თურქეთში ისლამური რელიგიის მსახურებისათვის მოსამზადებლად. რამდენიმე მედრესე და მუსლიმანური სემინარია აჭარაშიც გახსნეს და თავად აფინანსებენ. საკითხავია ვინ აძლევს ამის უფლებას?

თურქეთი ჩვენი მეზობელი ქვეყანაა და თურქული ენა რომ ისწავლო და კარგად იცოდე ეს მისასალმებელია, მაგრამ სარწმუნოებისა რა მოგახსენოთ. ინვესტიციების მოზიდვა და ქვეყნის სასიკეთოდ მათი გამოყენება მისასალმებელია, მაგრამ არა იმის ხარჯზე, რომ კარგი მიწები თვითონ შეისყიდონ, დასახლდნენ და დაფუძნდნენ ჩვენს ისედაც მცირე მიწიანობის პირობებში.

ბათუმი, რომ ახლებურ ქალაქად იქცა, ეს ცალკე სასაუბრო თემაა, მაგრამ თურქი მოქალაქეების მომრავლება და მათი უპირატესობის წარმოჩენის მცდელობა ნამდვილად იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანებას. მათ თუ ლოცვა სჭირდებათ, ბათუმში არის საკმაო ტევადობის მეჩეთი, რომლის კარი მათთვის ღიაა.

ჩვენი კუთხის სასიქადულო შვილი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ფრიდონ ხალვაში, აჭარაში შექმნილი ამ სიტუაციის გამო თავის ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნავდა: „ღმერთმა ნუ ქნას აჭარას ხელმეორედ დაჭირდეს დედა სამშობლოსთან დაბრუნება". ეს სულმნათი პიროვნება გრძნობდა ამ საშიშროებას, ამიტომ ჩვენ განგაშის ზარი უნდა შემოვკრათ და ხმა ავიმაღლოთ ბათუმში მეჩეთის აგების საწინააღმდეგოდ, რადგან აჭარას არ დავიწყებია ის ტკივილი, რომელიც დედა საქართველოსთან საუკუნეთა განმავლობაში დაშორებით იყო გამოწვეული, მაგრამ არც ის დიდი სიხარული გაქარწყლებულა, რომელიც საუკუნის წინათ დედა საქართველოსთან დაბრუნებითაა გამოწვეული.

ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მრავალი ქართული ტაძარია, რომელიც რესტავრაციას საჭიროებს. მიგვაჩნია, რომ საჭიროა გონივრული, დიპლომატიური გზებით გამოვნახოთ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა, პირველ რიგში ოშკის რესტავრაციის დასაწყებად. ასევე აღვნიშნავთ, რომ მართლმადიდებლურ ტაძრებთან დაკავშირებული ყველა საკითხი საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმებით უნდა ხორციელდებოდეს.

ისტორიულად საქართველოსათვის მძიმე პერიოდში ქართველი დედა ყოველთვის იყო მებრძოლი სულისა და თავდადების მაგალითი. დღეს, როგორც არასდროს, ისეა საჭირო ერთად დგომა, რათა ჩვენს შთამომავლობას გამთლიანებული, ეროვნული გრძნობით აღზევებული საქართველო დავუტოვოთ.

**მამულიშვილნო, შემოგვიერთდით!**

მიმართვას ხელს აწერენ:

**ფატმან კობალაძე** – საქართველოს სახალხო არტისტი, **ნინო საკანდელიძე** – საქართველოს სახალხო არტისტი, **რენა სარიშვილი** – საზოგადო მოღვაწე, **ეთერ დეკანაძე** – პედაგოგი (ხულოს რაიონი), **მანანა კაიკაციშვილი** – დიასახლისი (ბათუმი), **ლეილა დავითაძე** – პედაგოგი (ბათუმი), **ინგა ეგუტია** – ლტოლვილი აფხაზეთიდან, **იზოლდა სურმანიძე** – დიასახლისი (ხულოს რაიონი, სხალთა), **ნარგიზ აბაშიძე** – ქველმოქმედი (ბათუმი), **მანანა კაიკაციშვილი** – დიასახლისი (ბათუმი), **ნათელა დუმბაძე** – პროფესორი (ბათუმი), **თამარ ზაქარიაძე** – ინდმეწარმე (ბათუმი), **რუსუდან სალუქვაძე** – ექიმი (ბათუმი), **მერი ხალვაში** – ინდმეწარმე (ბათუმი), **გულიკო შერვაშიძე** – პროფესორი (ბათუმი), **მანანა სტამბოლიშვილი** – ექიმი (ბათუმი), **ციალა სურმანიძე** – ინდმეწარმე (ხელვაჩაურის რაიონი), **ეთერ ცირეკიძე** – ინდმეწარმე (ბათუმი), **ნაზი ბერიძე** – პედაგოგი (ქედის რაიონი), **ციალა ჩავლეიშვილი** – დიასახლისი (ხელვაჩაურის რაიონი), **ნათელა დეკანაძე** – პენსიონერი (ხულოს რაიონი), **ნინო ავალიანი** – პედაგოგი (ქედის რაიონი), **ნათია ბერიძე** – ჟურნალისტი (ბათუმი), **ჯამილა მამუჭაძე** – პედაგოგი (ბათუმი), **თამარ ავალიანი** – პედაგოგი (ხელვაჩაურის რაიონი), **ვენერა ლომაძე** – პენსიონერი (ხელვაჩაურის რაიონი), **რუსუდან დავითაძე** – პენსიონერი (ბათუმი), **თამარ გორგოშაძე** – პედაგოგი (ხელვაჩაურის რაიონი), **ნათელა თავდგირიძე** – დიასახლისი (ბათუმი), **ნატო ძათამაძე** – ჟურნალისტი (ქობულეთი), **მირანდა ქიქავა** – დიასახლისი (ბათუმი), **ნათელა ჯაფარიძე** – პენსიონერი (ბათუმი), **რუსუდან აბაშიძე** – ხელოვნებათმცოდნე (ბათუმი), **ხათუნა მჟავანაძე** – დიასახლისი (ქობულეთი), **ქეთევან გუჯაბიძე** – დიასახლისი (ქობულეთი), **ნაილი ლაზიშვილი** – დიასახლისი (ქობულეთი), **ნინო სივსივაძე** – პენსიონერი (ბათუმი), **მერი ხიმშიაშვილი** – ინჟინერი (ბათუმი), **გუგა ხალვაში** – დიზაინერი (ბათუმი), **ნანა ბოჭორიშვილი** – დიასახლისი (ქობულეთი), **თალიკო ბოჭორიშვილი** – დიასახლისი (ქობულეთი), **ეკა რომანაძე** – დიასახლისი (ქობულეთი), **ჯეირან წულუკიძე** – დიასახლისი (ქობულეთი), **ირინა წულუკიძე** – დიასახლისი (ქობულეთი), **მეგი წულუკიძე** – დიასახლისი (ქობულეთი), **ნაზი მიქელაძე** – დიასახლისი (ქობულეთი) და სხვები, სულ 76 ხელმოწერა.

## საზოგადოებრივი აზრი



# რამაზ საყვარელიძე: „ყველაზე ეფექტიანი მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტია"

**ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, მოსახლეობა პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენებზე მეტწილ ინფორმაციას „რუსთავი 2"-ის, „იმედისა" და საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით იღებს. შემდეგ ადგილებზე მოდიან აჭარა TV, საპატრიარქოს არხი, „კავკასია", „მაესტრო", II არხი, რეალ TV და სხვა მაუწყებლები.**

უნდა აღინიშნოს, რომ „იმედს" იმის გამო, რომ არ აჩვენებს, ვერ უყურებს 3%, საზოგადოებრივი მაუწყებელს ამავე მიზეზით ვერ უყურებს 10%, აჭარა TV-ს 38%, საპატრიარქოს არხს და „კავკასიას" 58%, „მაესტროს" 66%, II არხს 59%, რეალ TV-ს 65%.

შესაბამისი მაუწყებელი ფარავს, მაგრამ მის გადაცემებს არ უყურებს, „რუსთავის 2"-ის შემთხვევაში 5%. „იმედს" არ უყურებს – 8%, I არხს – 28%, აჭარა TV-ს 30%, საპატრიარქოს არხს 15%, „კავკასიას" – 20%, „მაესტროს" – 17%, II არხს 25%, რეალ TV-ს – 23%.

ამავე დროს, NDI-ის კვლევაში გამოკითხულთა 69% მიიჩნევს, რომ „რუსთავი2" მთავრობის ინტერესებს გამოხატავს, 8%-ის აზრით კი მაუწყებელი არ გამოხატავს არავის პოზიციას. ტელეკომპანია იმედის შემთხვევაში გამოკითხულთა 63% მიიჩნევს, რომ ის ასევე გამოხატავას მთავრობის ინტერესებს, 10% კი თვლის, რომ ტელეკომპანია არც ერთი მხარის ინტერესების გამომხატველი არ არის. I არხს მთავრობის ინტერესების გამომხატველად მიიჩნევს გამოკითხულთა 57%, ხოლო 8% კი მას ნეიტრალურად მიიჩნევს.

ტელეკომპანია „კავკასიას" ოპოზიციის ინტერესების გამომხატველად მიიჩნევს 33%, ნეიტრალურად 5%, ხოლო მთავრობის ინტერესების გამომხატველად – 2%. ტელეკომპანია „მაესტროს" შემთხვევაში გამოკითხულთა 35% მას ოპოზიციის ინტერესების გამომხატველად მიიჩნევს, ხელისუფლების ინტერესების გამომხატველად – 2%, ხოლო 4% მიიჩნევს, რომ „მაესტრო" არც ერთის ინტერესს არ გამოხატავს.

„რუსთავი 2"-ისა და „იმედის" ახალ ამბებს სრულად ენდობა გამოკითხულთა 2-2%, ენდობა 26 და 23 პროცენტი, არ ენდობა შესაბამისად 13 და 12 პროცენტი, საერთოდ არ ენდობა 3% და 2%. მათ ახალ ამბებს ნეიტრალურად მიიჩნევს 51 და 52 პროცენტი.

„მაესტროს" და „კავკასიას" გამოკითხვის მიხედვით სრული ნდობის კოეფიციენტი არ აქვთ. არხების ახალ ამბებს ენდობა 7-7% და არ ენდობა 8-8%. ამ მაუწყებლების ახალ ამბებს ნეიტრალურად მიიჩნევს, შესაბამისად, 19 და 21%.

შეგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩატარებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით 2012 წლის 22 თებერვლიდან – 5 მარტის პერიოდში. გამოიკითხა 3 161 ადამიანი.

არსებულ რეალობაზე და მოსალოდნელ შედეგებზე პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ვესაუბრებით.

**– რა გავლენას იქონიებს მომავალ არჩევნებზე რეალური ვითარება, როცა მოსახლეობის უმეტესობა ე.წ. ნაციონალურ ტელეარხებს უყურებს?**

– ჯერ ერთი, გამოქვეყნებული შედეგების მიმართ კითხვა ჩნდება – კვლევა მთელ ქვეყანაში რომ არის ჩატარებული, ამავე მასშტაბიდან არის ეს პროცენტი აღებული თუ მოსახლეობის იმ რაოდენობიდან, რომელზეც „მაესტრო" და „კავკასია" ვრცელდება. მგონი, ეს დეტალი დაზუსტებული არ არის.

მეორეც, რა თქმა უნდა, ინფორმაციის ძირითადი წყარო არჩევნების შედეგებზე გავლენას იქონიებს. პოლიტიკურ ინფორმაციას ადამიანი მხოლოდ ფართო ცხოვრებიდან და ქუჩიდან არ იღებს. ერთ-ერთი ძირითადი წყარო სწორედ ტელევიზიაა. თუმცა, თავის ყოფაში, უშუალო გარემოცვაში ადამიანი რასაც აკვირდება, ისიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ასე რომ, არ მგონია აღნიშნულმა ფაქტორმა გადამწყვეტი როლი ითამაშოს, მაგრამ პროცესზე გავლენას უდავოდ იქონიებს.

**– თუმცა, გამოკითხულთა უმრავლესობა ასევე მიიჩნევს, რომ ეს „ნაციონალური ტელევიზიები" ხელისუფლების პოზიციებს გამოხატავენ...**

– ეთერში გასულ ინფორმაციას, გადაცემას მაყურებელი აღიქვამს როგორც ტენდენციურს. კარგად დაბალანსებული რომ იყოს, შესაბამისი პიარის პირობებში, ეს ნაკლებად უნდა შეიმჩნეოდეს; მაყურებელი მას ინფორმაციის ობიექტურ წყაროდ უნდა აღიქვამდეს. შემდეგ ეს ვილაცის ინტერსებს უნდა ემსახურებოდეს. როცა ინფორმაცია ასეთად არ აღიქმება და ტენდენციურობაში გადადის, საქმე უკვე ცუდი ხარისხის პიართან გვაქვს.

**– რამდენად შეუძლია არსებული ვითარების დაბალანსება ოპოზიციური მეცხრე არხის ამოქმედებას?**

– გარკვეულ როლს ალბათ შეასრულებს, მაგრამ ტელევიზიებს, მოგეხსენებათ, დიდი დრო სჭირდება იმისთვის, რომ ადამიანების ყოველდღიურობის ნაწილი გახდნენ. ანუ, ამა თუ იმ არხზე გადართვის და მოსმენის ჩვევა უნდა გამომუშავდეს მოსახლეობის მხრიდან. ამ პროცესს გარკვეული დრო სჭირდება, რაც ნაკლებადაა.

აქ გასათვალისწინებელია ის ტოტალური ფრონტი, რომელიც პოლიტიკურ ძალებს შორის არის გახსნილი, განსაკუთრებით ხელისუფლების მხრიდან; როდესაც ისინი პრაქტიკულად ყველა მილიმეტრზე იბრძვიან – ტექნიკური საშუალებების გაფუჭებიდან დაწყებული, კონკრეტული ადამიანების დაშინებით დამთავრებული.

სავარაუდოა, რომ მეცხრე არხის გავრცელებას ისინი შეძლებისდაგვარად ხელს შეუშლიან. ასე რომ, რაღაც გავლენას უდავოდ იქონიებს, რადგან გავრცელების გაცილებით დიდი მასშტაბები ექნება. მაგრამ უფრო მეტი დრო რომ ჰქონდეს გავრცელებისთვის, შედეგი უფრო მეტი ექნებოდა.

**– აქედან გამომდინარე, სად არის გამოსავალი პოლიტიკური პოზიციისთვის, რომ თავისი სათქმელი ფართო ფენებამდე მიიტანოს?**

– სატელევიზიო ინსტრუმენტი რომ სრულყოფილი არ იყოს, ყველა შემთხვევაში ერთი მეთოდი გამოსაყენებელია; ტელევიზიის პრობლემა არ აქვთ ამერიკელებს, მაგრამ დაძრწიან მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ დროს მოსახლეობასთან, მოქალაქეებთან კონტაქტი ყველაზე ეფექტურია. ამით ტელევიზიის რესურსის მნიშვნელობა არ მცირდება. თუმცა, ოპოზიციას ეს რესურსი, ინტენსიური კონტაქტი და ჩართულობა მოსახლეობასთან, გამოსაყენებელი აქვს. ამასთან, პროცესში ჩართული უნდა იყოს ის, ვინც ამ ჯგუფში ყველაზე დიდი ავტორიტეტია. პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილს ვგულისხმობ.

**ნიკა მეტრეველი,**
Presage.tv

## ვისია ყვითელი „მარშრუტკები"?

# კლანები, რომლებიც ქვეყანას მართავენ

**არის თუ არა კლანური მმართველობა ან საერთოდ კლანები საქართველოში? – ამ თემაზე ლაპარაკი უკვე რიტორიკად იქცა. საზოგადოებრივი აზრი ორად არის გაყოფილი – ხელისუფლება ამბობს, რომ მსგავსი არაფერი არსებობს, ოპოზიცია თვლის, რომ ქვეყანას კლანები მართავენ. ხელისუფლების მომხრეები კლანებს „ვერ" ხედავენ, საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი კლანური მმართველობის „სიკეთეებს" ყოველ ნაბიჯზე აწყდება. მოკლედ, დიდი დილემის წინაშე ვართ.**

მოდით, ჯერ, განვმარტოთ რა არის კლანი, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონში ვკითხულობთ, კლანი – ცენტრალიზებული სოციალური ორგანიზაციის ფორმაა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა ლოიალობას და არა იძულების ინსტიტუტს.

კლანი ჩვეულებრივ, სისხლით ნათესავთა ჯგუფია, დედით ან მამით ერთი წარმომავლობის მქონე, საერთო წინაპრის სახელის მატარებელი, როგორც წესი, ეგზოგამიური, წევრები დაკავშირებული არიან სამეურნეო და საზოგადოებრივი ძაფებით.

**კლანს სხვადასხვაგვარი რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფუნქციები აქვს.**

**კლანი – ირლანდიასა და შოტლანდიაში თემის, რაღაცასთან მიმართებით საკუთარ უპირატესობაში დარწმუნებული ადამიანების ჩაკეტილი ჯგუფის დასახელებაა.**

თუმცა კლანის შესაქმნელად მხოლოდ სისხლით ნათესაობა არ არის აუცილებელი. მაგალითად, „იაკუძა" წარმოადგენს იაპონურ კლანურ ორგანიზაციას, რომელშიც გაწევრებულია მრავალი ადამიანი. ის მსოფლიოში ერთ-ერთი მსხვილი კრიმინალური დაჯგუფებაა.

**კიდევ ერთი დილემა – რასთან გვაქვს საქმე საქართველოში – ტომიდან აღმოცენებულ კლანურ მმართველობასთან თუ სიცილიური ტიპის კლანთან, ან სულაც „იაკუძასთან"? პრინციპში, ამ შემთხვევაში, ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ არც ერთს, არც მეორეს და არც მესამეს ხელისუფლების მიერ ტირაჟირებულ დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს.**

თუ გავიხსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინათ ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი პირი, პრემიერ-მინისტრი, რომელილაც საიდუმლო ბინაში გაზით გაიგუდა, ამას კიდევ რამდენიმე ადამიანის საეჭვო ვითარებაში მკვლელობა თუ თვითმკვლელობა მოჰყვა და საქმე ნათელი ჯერაც არ არის, ეს უფრო „იაკუძას" ნამოქმედარს ჰგავს.

თუ რეგიონულ დონეზე ქვეყნის მმართველობის პრინციპს გადავხედავთ, აქ უკვე ტომიდან აღმოცენებული კლანური მართვის ელემენტებს დავინახავთ.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს რიტორიკულ თემას - არის თუ არა კლანები საქართველოში?

როდესაც ტელეკომპანია „კავკასიის" ეთერში პარლამენტარი ნუგზარ წიკლაური სამეგრელოში შეიარაღებული ფორმირებების არსებობას უარყოფდა და საზოგადოებას უმტკიცებდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ, რეზერვსა და რეზერვისტებზე იყო ლაპარაკი, ლამის დაიფიცა, რომ არა-თუ შეიარაღებული დაჯგუფებები, არც კლანები და მით უმეტეს, ბიზნესკლანები არ არსებობს ამ ქვეყანაში. პრინციპში, ეს მხოლოდ ნუგზარ წიკლაურის



მოსაზრება კი არა, „ნაციონალური" თვალებით დანახული საქართველოა, სადაც არც უმუშევრობაა, არც უკანონობა, არც გაუნათლებლობა, არც სიღატაკე.

„აბა სად არის კორუფცია?"- კითხულობს სააკაშვილი, „აბა სად არის კორუფცია, აბა სად არის კლანები?"- იმეორებენ დანარჩენები.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება „ღარიბ-ღატაკი და გაღლეტილი" ჩინოვნიკებისაგან შედგება. ასეთები არიან დღეს ხელისუფლებაში მყოფი ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გიგი უგულავა, არჩილ გეგენავა, ერეკლე კოდუა, მამა და ძმები ახალაიები, მამაშვილი გაბაშვილები, ძმები ბეჟუაშვილები, პეტრე ცისკარიშვილი, ძმები კუბლაშვილები, ნიკა რურუა, გიგა ბოკერია, ნიკა გილაური, გივი თარგამაძე, კობა ნაყოფია, ცეზარ ჩოჩელი, და სხვები, სია საკმაოდ გრძელია.

შეგვიძლია გავიხსენოთ ყოფილი მაღალჩინოსნები, რომლებსაც გავლენის სფეროები არა თუ მოაკლდათ ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, არამედ მოემატათ კიდეც - დავით კეზერაშვილი, გიორგი არველაძე, კახა ბენდუქიძე, ზურაბ ნოღაიდელი, ვატო ლეჟავა, ლადო ჭიპაშვილი და ა.შ.

მესამე ჯგუფია ბიზნესმენებისა, რომლებიც საერთოდ არ ყოფილან ხელისუფლებაში, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ ჩინოვნიკებთან ახლო, ნათესაურ თუ ბიზნესურთიერთობაში იმყოფებიან. ასეთები არიან მაგალითად ძმები შარანგიები, მიხეილ სააკაშვილის ოჯახის წევრები და ბიზნესმენად ქცეული სხვა ჩინოვნიკების ნათესავ-მეგობრები.

ჩვენ შევეცდებით ამ ადამიანების შესახებ პოლიტიკოსების, ჟურნალისტების თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოკვლეულ მასალებს მოვუყაროთ თავი და საზოგადოებას შევთავაზოთ, შემდეგ კი საზოგადოებამ თავად გადაწყვიტოს, ვის დაუჯეროს – ხელისუფლებას, რომელიც „ამტკიცებს რა კლანი, რის კლანი", თუ საზოგადოების ნაწილს, რომელიც ამბობს, რომ ქვეყანას სწორედაც კლანები აკონტროლებენ.

ვიდრე სახელმწიფო ჩინოვნიკებზე გადავალთ, ჯერ ქვეყნის პრეზიდენტის კარის ბიზნესმენებზე მოგითხრობთ.

სხვათა შორის, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პრეზიდენტის კარის ბიზნესმენებად ცნობილი შარანგიებზე ინფორმაციის მოძიებისას ძალიან დაგვეხმარა, „თეთრების" ლიდერის თემურ შაშიაშვილის მიერ მოკვლეული მასალები.

რეზო შარანგია – ცნობილია, როგორც პრეზიდენტის მოლარე – დიდი სიმდიდრე დააგროვა და დღესაც დიდი ბიზნესი აქვს რუსეთში.

შარანგიების ოჯახი სააკაშვილთან სწორედ რეზო შარანგიას კიევში სწავლის პერიოდიდან მეგობრობს. ცნობილია, რომ რეზო შარანგია სააკაშვილის გარდა მეგობრობს კანონიერ ქურდებთანაც. სარგებლობს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მომსახურებით და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს საზღვარგარეთ ვიზიტების დროსაც თან დაჰყვება.

იხ. 6 გვ.

ვინ როგორ ხედავს

# აშკარაა, რომ ხალხს „ქართული ოცნების“ იმედი მიეცა

## ილუზიების ტყვეობაში უნდა იყოს ადამიანი, რომ ფიქრობდეს, „ნაცმოძრაობა“ თუნდაც ამერიკელი პარტნიორების ცვალებადი მოსაზრებების ფონზე, დათმობს პოზიციებს



არჩევნებამდე შვიდი თვით ადრე ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეების მიერ არჩეული პიარსტრატეგიების თავისებურებებსა და ეფექტიანობაზე „**ინტერპრესნიუსი**“ სოციალურ მეცნიერებათა დოქტორს, პიარტექნოლოგიების სპეციალისტს, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორს **მაია ქავთარაშვილს** ესაუბრა.

**— ქალბატონო მაია, საპარლამენტო არჩევნებამდე 7 თვეა დარჩენილი, მაგრამ დიდი ხანია აშკარაა, რომ ქვეყანა საარჩევნო რეჟიმშია. საქართველოში აშშ-ს მომავალმა ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა აშშ-ს სენატში მეტად საინტერესო შეფასება გააჟღერა. კერძოდ, — „საქართველოში ნამდვილად არის შეშფოთების საფუძველი იმასთან დაკავშირებით, რასაც შეიძლება ეწოდოს „მოსწორებული სათამაშო მოედანი“. ეთანხმებით თუ არა ბატონ ნორლანდის შეფასებას და თუ არჩევნების სამართლიანად ჩატარებისთვის მართლაც ასეთი კატასტროფული ვითარებაა, არჩევნებზე წარმატების მისაღწევად პოლიტიკურ სუბიექტებს რეალური წარმატების მიღწევის შანსი რამდენადღა აქვთ?**

— რაც შეეხება საქართველოში აშშ-ს მომავალი ელჩის, ბატონ ნორლანდის მკვეთრ შეფასებას, თუკი ეს რეალობას შეესაბამება და ამასთან დაკავშირებით საშიშროებას უსაფუძვლოდ არ გამოთქვამენ, ამან შესაძლოა საფრთხე შეუქმნას არჩევნების ჩატარებას. საქართველოსთვის არჩევნების წინ „მოსწორებული სათამაშო მოედნის“ ვითარება ახალი არ არის და ჩვენ ამას მიჩვეულები ვართ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთან მიმართებაში ამერიკელებმა ამერიკა აღმოაჩინეს. იმას, რაც ბატონმა ნორლანდმა შენიშნა, ჩვენ შეგუებულები ვართ და თითქმის ჩვეული რეალობაა.

რაც შეეხება არჩევნებზე ოპოზიციის მიერ გარკვეული წარმატების მიღწევას, გააჩნია, ვინ რას თვლის წარმატების მიღწევად. ალბათ, ილუზიების ტყვეობაში უნდა იყოს ადამიანი, რომ ფიქრობდეს — „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ლიდერი პოზიციებს, თუნდაც ამერიკელი პარტნიორების ცვალებადი მოსაზრებების ფონზე დათმობს. მაგრამ იმიტომაც არის არჩევანი, რომ მოსახლეობას ჰქონდეს უკეთესი არჩევანის იმედი. არჩევანის საშუალებას განაპირობებს ერთი მხრივ სტაბილური დემოკრატიული სახელმწიფოს ხანგრძლივი არსებობის რეალობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფილი მოდელი და ის კულტურა, რომელიც ხალხს არ აქვს და ვერც ექნება. ამას ობიექტური მიზეზები აქვს. ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებებს, რომ გვინდა სრულფასოვანი კანონმდებლობა და გარემო, მაგრამ ხშირად გვავიწყდება, რომ სულ რაღაც ორი ათეული წლის წინათ ერთპარტიულ საბჭოურ სისტემაში ვცხოვრობდით. ჯერ კიდევ საკითხავია, ამ სისტემიდან გამოვედით თუ იგივე სისტემაში ვართ. ფაქტობრივად, ჩვენ საქართველოში არ გვქონია რეალური არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა. ჩვენ ხომ მუდმივ რევოლუციურ ქრონიკაში ვცხოვრობთ. გარკვეული დროა საჭირო იმისთვის, რომ საქართველოში სრულყოფილი საარჩევნო სივრცე და კულტურა ჩამოყალიბდეს. ამის არარსებობის ფონზე, ვერანაირი განაცხადი არჩევნების სამართლიანად ჩატარების შესახებ, სიტუაციას ვერ შეცვლის.

**— აქტიურობის თვალსაზრისით ყველაზე თვალში საცემი ხელისუფლების აქტიურობაა. თქვენ როგორ შეაფასებდით პიარის თვალსაზრისით ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეების, ხელისუფლებისა და „ქართული ოცნების“ და სხვა პოლიტიკური სუბიექტების მიერ არჩეულ პიარსტრატეგიასა და ტაქტიკას?**

— მოდით შევთანხმდეთ, რომ ხელისუფლების გარდა, სხვა პოლიტიკური სუბიექტების თანმიმდევრული პიარსტრატეგიები ჩემთვის უცნობი და გაუგებარია. მე მათ ფაქტობრივად ვერ ვხედავ. რაც შეეხება ხელისუფლებას, მან პიარტექნიკები და ტექნოლოგიები ზედმიწევნით კარგად იცის. ლოგიკურია, რომ არჩევნებამდე 6-7 თვით ადრე ხდება წინასაარჩევნო კამპანიის გააქტიურება და მისი სტრატეგიის აფიშირება. აშკარაა, რომ სახელისუფლებო პიარს კოორდინაცია, ერთი წერტილიდან და ერთი შტაბიდან დაგეგმარება და მართვა დაეტყო. თუ ადრე მას ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა, ახლა აშკარაა, რომ პიარის თვალსაზრისით ხელისუფლების სტრატეგიების დაგეგმარება და განხორციელება მიზანმიმართულად, აქტიურად და საკმაოდ გონივრულადაც ხდება.

რაც შეეხება მის ძირითად ოპონენტს, „ქართულ ოცნებას“, სიმართლე გითხრათ, მათი პიარის ღერძოვან სტრატეგიას პირადად მე, ვერ ვხედავ. სტრატეგიული პიარი გულისხმობს უფრო ღრმა და გაცილებით რეალურ, თანამიმდევრულ და თუნდაც ღია სამუშაოების ჩატარებას. წინასაარჩევნო კამპანია არ არის რაღაც ფარული და ის, რომ ამომრჩევლის მხოლოდ ქვეცნობიერზე ზემოქმედებას ნიშნავდეს. ალბათ, დროა „ქართულმა ოცნებამ“, ბოლოს და ბოლოს, გვითხრას, რა არის „ქართული ოცნება“ და რისკენ მიდის მისი სტრატეგია.

რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს, სრულიად ქართული საზოგადოების სამწუხაროდ, ორ პოლუსად დაყოფილმა ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა, ძალიან ნაკლები შანსი დაუტოვა დანარჩენ პოლიტიკურ სუბიექტებს, რომ აქტიურად გამოჩნდნენ პოლიტიკურ სივრცეში. სხვათა შორის, შეფასება — „მოსწორებული სათამაშო მოედანი“ გარკვეულწილად ამასაც ნიშნავს. სხვა პოლიტიკური სუბიექტები ხელისუფლებისა და „ქართული ოცნების“ ჩრდილში მოექცნენ. ფაქტობრივად, მათი აქტივობა ნაკლებად თვალშისაცემია ან თუ არის, ნაკლებეფექტურია. ხელისუფლება და „ქართული ოცნება“ მზისა და მთვარის როლში არიან, ხოლო დანარჩენები პატარ-პატარა ვარსკვლავების როლში და ველარ ანათებენ.

**— პოლიტიკაში ივანიშვილის გამოჩენამდეც ხელისუფლების ქცევა იმაზე მიანიშნებდა, თითქოს იგი სულ საარჩევნო რეჟიმში იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც პოლიტიკურ ველზე ივანიშვილი გამოჩნდა, ხელისუფლება სუპერაქტიური გახდა. თქვენ აღნიშნეთ, რომ ხელისუფლების პიარი მიზანმიმართული და კოორდინაციის მაღალი დონით გამოირჩევა. თქვენი აზრით, რა გავლენას ახდენს საზოგადოებაზე ხელისუფლების მასშტაბური და რეგულარობით გამორჩეული სატელევიზიო აქტიურობა?**

— გადაჭარბებული თითქმის ყველაფერი გამაღიზიანებელია, განსაკუთრებით საინფორმაციო და სარეკლამო სივრცეში. არსებობს ცნობილი ფორმულები, რის შემდეგაც უკურეაქცია შეიძლება მივიღოთ ტელევიზიებში გადაჭარბებული ინფორმაციული და სარეკლამო ნაკადის მიღების შედეგად. ეს ჩანს კიდეც. ქართული საზოგადოების გარკვეული წრეები უკვე არ მალავენ გაღიზიანებას ხელისუფლების სატელევიზიო აქტიურობის გამო. მართლაც ყველა არხზე ერთი და იგივე გადაკოპირებული თემატიკითა და მოვლენებით ხელისუფლების სატელევიზიო აქტიურობაა.

ხელისუფლებას ხელეწიფება არსებული სიტუაციის გამოყენება. დაწყებულია წინასაარჩევნო კამპანია. ივანიშვილის გამოჩენამ ბიძგი მისცა პოლიტიკური პროცესის გააქტიურებას. ახლა ხელისუფლებას მეტი მოტივაცია აქვს, წარმატებულად გამოიყურებოდეს სატელევიზიო ეთერში, მაგრამ ხელისუფლებას ათვისებული უნდა ჰქონდეს ინფორმაციის დოზირებულად მიწოდების ტექნოლოგიები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლების საქმიანობაზე ტელევიზიით ინფორმაციის გადაჭარბებულად მიწოდება, შესაძლოა, მისთვის უკუშედეგის მომტანიც კი აღმოჩნდეს.

**— იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებას ივანიშვილის კრემლის პროექტობის დამადასტურებელი კონკრეტული დასაბუთება არ წარმოუდგენია, თქვენი აზრით, რამდენად წარმატებული აღმოჩნდა ხელისუფლების მცდელობა, „ქართული ოცნების“ ლიდერი კრემლის პროექტად წარმოეჩინა?**

— ჯერჯერობით, დასაბუთება იმისა, რომ ივანიშვილი კრემლის პროექტია, ჩვენ არ გვინახავს. არსებობს მხოლოდ გარკვეულ ექსპერტთა ვარაუდები. თუკი არსებობდა ხელისუფლების მხრიდან მცდელობა, ივანიშვილი კრემლის პროექტად წარმოეჩინა, მაშინ ეს მცდელობა წარუმატებელი იყო. თუმცა, მე ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული, რომ ივანიშვილისთვის კრემლის პროექტობის იარლიყის მიწებება ხელისუფლების მიზანი იყო. რომ სდომოდათ, ამის დამადასტურებელ რაიმე ფაქტებს წარმოგვიდგენდნენ. მოარული ჭორის დონეზე ე.წ. პიარაქციამ თავისი საქმე მაინც გააკეთა, ვინაიდან ხალხის გარკვეულ ნაწილში დარჩა ეს მოსაზრება და დღესაც მუშაობს.

**— „ქართულ ოცნებას“ პასიურობას ხშირად საყვედურობენ. შესაძლოა, პასიურობა ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნების საკითხის გაჭიანურებაც იყოს. მაგრამ, კოალიციის ლიდერებისგან ხშირად ისმის მტკიცება, რომ „ქართულ ოცნებას“ ტაქტიკა სწორად აქვს შერჩეული. თქვენ ბრძანეთ, ივანიშვილის კოალიციამ უნდა დაგვანახოს, თუ რა არის „ქართული ოცნება“. თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს ივანიშვილის გუნდის ტაქტიკის არსი და რამდენად გასაგებია იგი საზოგადოებისთვის, რომელსაც არჩევანის გაკეთება უპირველესად სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის მოუწევს?**

— რაც შეეხება საყვედურებს პასიურობის შესახებ. ამის საფუძველი მართლაც არსებობს. რჩება შთაბეჭდილება, რომ კოალიციის გუნდი ამორფულია და არ არის ჩამოყალიბებული, ანუ საკუთარ თავში არ არის გარკვეული. შემთხვევით არ დამისვამს კითხვა — რა არის „ქართული ოცნება“? ნებისმიერი ადამიანი ცხოვრობს ისე, როგორც ფიქრობს. ჩვენ დაახლოებით ვიცით, რა არის ქრისტიან-დემოკრატია, ნაციონალური მოძრაობა. ყველასთვის ქართული ოცნება რაღაც თავისია. ჩემთვის ქართული ოცნება არის დაბრუნებული ტერიტორიები და ზნეობრივად და ეთიკურად გაძლიერებული ქართველი.

რა არის ქართული ოცნება „ქართული ოცნებისთვის“, ესეც კი, ჯერჯერობით არ არის დაზუსტებული და დაკონკრეტებული. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ქართველი, „ქართული ოცნების“ მომხრე თუ ოპონენტი, საკუთარ აზრს დებს „ქართული ოცნების“ შიგთავსში. მიჩნდება ეჭვი, რომ „ქართული ოცნების“ მომხრეებისა და ოპონენტებისთვისაც კი „ქართული ოცნება“ მორიგი მესიის მოსვლა და მისი ხელით გადარჩენის სურვილია. სამწუხაროდ, ქართველებს ეს გვაქვს. ჩვენი არქეტიპული და სტერეოტიპული აზროვნება მითოლოგიურ ამირანს უკავშირდება. მოვა ამირანი, წაართმევს ღმერთებს ცეცხლს. მერე იგი ამის გამო თავად იტანჯება, მაგრამ ჩვენ ამით ბედნიერები ვიქნებით. ამ ეტაპზე ამირანის მოლოდინი და ოცნება ხორციელდება ივანიშვილის სტატუსით და ივანიშვილის ფორმატში. ამიტომ, ის ტაქტიკა, რომელიც მათ აირჩიეს, შესაძლოა, მართლაც ღრმად ფსიქოლოგიურია, ეფუძნება ქართულ მენტალობას, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ეს ტაქტიკა განაპირობებს „ქართული ოცნების“ სტაგნაციურ მდგომარეობას.

მაგრამ მე, როგორც პიარტექნოლოგი, „ქართული ოცნების“ სავარაუდო შედეგზე ვწუხვარ. 21-ე საუკუნეში არ არსებობს იმის წინაპირობა, რომ მესიამ თავისი ფუნქცია და დაპირებული მოლოდინები შეასრულოს. სწორედ ამიტომ, დიდია იმის ალბათობა, რომ დღეს აქტიურობის ფაზაში მყოფი ქართული საზოგადოების ნაწილი ნიჰილიზმის მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ეს კი, მომავალი ქართული პოლიტიკური ცხოვრებისთვის დამღუპველი იქნება. უკანასკნელ წლებში ქართულ საზოგადოებას ნიჰილიზმის საფუძველი ჰქონდა და შესაძლოა, ეს ბოლო წვეთიც იყოს იმისთვის, რომ ქართულმა საზოგადოებამ სრულად ჩაიქნიოს ხელი არჩევნებზე.

**— რა შეიძლება ითქვას არჩევნების შედეგების მთავარ შემოქმედზე — ამომრჩეველზე. ხშირად გვესმის, რომ ხელისუფლების ქმედებები საზოგადოებაში სხვადასხვა ფორმით შიშის დათესვას ემსახურება. თქვენი აზრით, რამდენად შეშინებულია საზოგადოება და როგორ რეაგირებს იგი პოლიტიკური კლასის აქტივობებზე?**

— სწორედ პოლიტიკური სუბიექტების აქტივობები დგას საფრთხის წინაშე. მეორე მხრივ, საინტერესოა, რამდენად იმყოფება ქართული საზოგადოება შიშის ფაქტორის დაქვემდებარების ქვეშ. უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლო წლები ნამდვილად არ უწყობდა ხელს საზოგადოების შიშისგან გათავისუფლებას. პირიქით, გარკვეულ პერიოდებში გარკვეულ წრეებში მიზანმიმართულად ინერგებოდა შიშის ფაქტორი. შეიძლება დღესაც ითქვას, რომ ეს შიში საზოგადოებას ბოლომდე მოხსნილი არა აქვს. ამის დასტურად თუნდაც ის მოარული ხმა ღირს, რომლის თანახმადაც, ყველას მობილური ტელეფონი ისმინება. შესაბამისად, როცა შიში არსებობს, შიშზე აგებული ქმედება თავისუფალ არჩევანს მოკლებულია. არჩევანი ყოველთვის თავისუფლებასთან არის გაიგივებული. აქედან გამომდინარე, ალბათ, საზოგადოების გარკვეული ნაწილი კვლავაც იქნება არჩევნებისადმი ინდიფერენტული. თუმცა, ბოლო გამოკითხვებით არჩევნებში მონაწილეობას მოქალაქეთა 64% აპირებს. კარგია, რომ აპირებს, მაგრამ რეალურად რამდენი მიიღებს მონაწილეობას, არჩევნებამდე 7 თვით ადრე ამაზე საუბარი ნამდვილად ძნელია. ამომრჩეველთა აქტიურობა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მოტივირებული იქნება იგი იმისთვის, რომ არჩევნების გზით ქვეყანაში რამე შეიცვალოს.

სამწუხაროდ, ბევრი დარწმუნებულია, რომ არჩევნებში მის აქტიურობაზე არაფერია დამოკიდებული. შესაძლოა, ამაზე შიშის ფაქტორმაც და წარსულში არჩევნებთან დაკავშირებით იმედგაცრუებებმაც და „ჩემზე არაფერი არ არის დამოკიდებულის“ პოზიციამაც იმოქმედა. სამწუხაროდ, ის უმრავლესობა, რომელიც ლოგიკურად და ინტელექტუალურად აზროვნებს, არ მიდის არჩევნებზე, შემდეგ კი არჩევნებზე არჩევანს საზოგადოების ის „საუკეთესო ნაწილი“ იღებს, რომლის შედეგსაც ყველა ვხედავთ.

**— ვითარებაში, როცა საზოგადოებაში შიშის ფაქტორი რეალურად არსებობს, რამდენად სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ „ენ-დი-აის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები?**

— ნებისმიერ სოციოლოგიურ გამოკითხვაში კორექტივები არჩევნებს შეაქვს. ნებისმიერი სოციოლოგიური კვლევა მხოლოდ გარკვეული ტენდენციის პოტენციური შესაძლებლობის დადასტურებაა. თუ რა მოხდება რეალობაში, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ადამიანის აზრს და ქცევას განაპირობებს ძალიან ბევრი ფაქტორი და ეს ფაქტორი ყოველდღიურად ცვალებადია. შესაძლოა, ადამიანს ხვალისთვის დაგეგმილ არჩევნებზე წასვლა ჰქონდეს გადაწყვეტილი, მაგრამ ხვალ აზრი სხვადასხვა მიზეზთა გამო შეიცვალოს. ეს შეიძლება ამინდის ცვლილებასაც დაუკავშირდეს. „ენ-დი-აის“ ის მაჩვენებელი, რომლის თანახმადაც ამომრჩეველთა 64% მზადაა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, დამაფიქრებელია, თუნდაც იმიტომ, რომ წინა საპარლამენტო არჩევნებში 7 თვით ადრე არჩევნებში მონაწილეობის სურვილს მხოლოდ 43% აფიქსირებდა. ის, რომ ახლა საზოგადოება უფრო მეტად ამჟღავნებს პოლიტიკურ აქტიურობას, ასპარეზზე ბატონ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენითაა განპირობებული. აშკარაა, რომ ხალხს „ქართული ოცნების“ იმედი მიეცა, მაგრამ კონკრეტულად რისი და ეს იმედი სადამდე მიგვიყვანს, ეს არჩევნებზე გამოჩნდება.

**კობა ბენდელიანი**

სკანდალური განცხადების პასუხად

# დამხმარე სამხედრო რეზერვის ექსპერიმენტი

**„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის ირაკლი ალასანიას სკანდალური განცხადების პასუხად, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ აღმოაჩინა რეზერვს ამოფარებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებების კვალი დასავლეთ საქართველოში. სამაგიეროდ, საზოგადოებაში ახალი იმპულსი მიეცა მსჯელობას სამხედრო რეზერვზე, რომელმაც, 7-წლიანი მძიმე დაფინანსების მიუხედავად, ვერ მიიღო დასრულებული, ორგანიზებული სახე. სამხედრო რეზერვის მომზადების არსებულ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე რადიო „თავისუფლების“ შეკითხვებს უპასუხებს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნოდარ ხარშილაძე, რომელიც სამხედრო რეზერვის მომზადების ახალი კონცეფციის ერთ-ერთი ავტორია.**

სულ ერთი თვეც და სამხედრო რეზერვის კონცეფცია დასრულებულ სახეს მიიღებს და საქართველოს გადასახადის გადამხდელებს, ბოლოს და ბოლოს, ეცოდინებათ, თუ რა ტიპის სამხედრო რეზერვს მოხმარდება მათი ფული. კონცეფციის თანაავტორის, თავდაცვის მინისტრის მოადგილის ნოდარ ხარშილაძის ინფორმაციით, საუბარია საარმიო, ანუ აქტიურ რეზერვსა და რეზერვის მხარდამჭერ კომპონენტზე. აქტიური რეზერვი დაკომპლექტდება ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისაგან და იგი ომის დროს კონკრეტული სამხედრო ნაწილის პირად შემადგენლობას ჩაანაცვლებს. მეორე ტიპის რეზერვი კი დაკომპლექტდება სამხედრო გამოცდილების უქონელი მოქალაქეებისაგან და მისი ფუნქციაც შერეული – სამხედრო-სამოქალაქო – იქნება.

**„და არის მეორე – მხარდაჭერითი – კომპონენტი რეზერვის. ის შედგება იმ ხალხისაგან, რომელსაც არ მიუღია ცხოვრებაში აქტიური სამხედრო განათლება, ანდა გამოცდილება, მაგრამ შეიძლება გამოყენებული იქნეს მხარდამჭერ როლში სხვადასხვა ოპერაციის დროს. რაც შეეხება აქტიურ რეზერვს, ეს არის საარმიო რეზერვი, რომელიც ყალიბდება ყოფილი სამხედროებისაგან და მისი ძირითადი ფუნქციაა ჩანაცვლებითი როლის შესრულება ომის შემთხვევაში.“**

რეზერვის ტიპები განსაზღვრავს პასუხისმგებელ სტრუქტურებს. თავდაცვის ნოდარ ხარშილაძის თქმით, მხარდამჭერ რეზერვში მოქალაქეთა გაწვევას ახდენენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, ხოლო პირველი კატეგორიის რეზერვისტების მომზადებას ხელმძღვანელობს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტი. რაც შეეხება არმიულ, ანუ აქტიურ რეზერვს, მისი პირადი შემადგენლობის გაწვევას და მომზადებას ხელმძღვანელობს სახმელეთო ჯარების სარდლობა.

**„სახმელეთო სარდლობა დღეს, ჩვენი სტრატეგიული გეგმის მიხედვით, გაყოფილია ორ ნაწილად, დასავლეთის და აღმოსავლეთის მიმართულებად, რაც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და რელიეფის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოში ამას ხელმძღვანელობს სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთის შტაბი, დასავლეთ მიმართულებას – არმიის დასავლეთი შტაბი. ესენი, ისევ და ისევ, არ არიან დღეს და გუშინ შექმნილი სტრუქტურები, მაგრამ რაკი ახლა ჩვენ დავიწყეთ ამ საწყისი ნებაყოფლობითი რეზერვის პროგრამა, მათ კიდევ ნებაყოფლობითი რეზერვის კოორდინაციის ფუნქციაც დაემატათ.“**

**ნებაყოფლობით რეზერვში მოქალაქეთა გაწვევა ერთი წლის წინათ დაიწყო. აქტიური რეზერვისგან განსხვავებით, ნებაყოფლობით რეზერვში ჩარიცხვის მსურველთა ასაკი არ არის მკაცრად განსაზღვრული, რადგან მომზადება სულ ექვს დღეს გრძელდება და არ მოითხოვს განსაკუთრებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას. თუმცა ნებაყოფლობითი რეზერვის ეფექტურობა მრავალ შეკითხვას აღძრავს. ნებაყოფლობით რეზერვში ჩარიცხული მოქალაქეებისათვის მოქმედებს მხოლოდ მომზადების ექვსდღიანი პროგრამა, რაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სტერეოტიპს, რომ ყველა ქართველი დაბადებიდან უბადლო მეომარია, ნორმალურ ქვეყანაში საკმარისია მხოლოდ სამხედრო ფორმისა და იარაღის მისაღებად, ადაპტაციისთვის, საბრძოლო მომზადების თეორიული კურსის გასავლელად და პოლიგონზე ერთიორი გასროლისთვის. სწორედ ნებაყოფლობით რეზერვში დაინახეს ოპონენტებმა ხელისუფლების შეფარული მცდელობა, შექმნას და შეაიარაღოს ისეთი ჯგუფები, რომლებიც შეეცდებიან „არ მისცენ მოქალაქეებს თავისუფალი ნების გამოხატვის უფლება არჩევნებზე“.**



ასეთი ჯგუფების არსებობას უარყოფს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნოდარ ხარშილაძე, რომელიც არც იმ მოსაზრებას ეთანხმება, რომ ექვსდღიანი სარეზერვო მომზადება დროისა და ენერგიის ფუჭი ხარჯვა იყოს:

**„ახალი ტიპის ნებაყოფლობით-ტერიტორიული რეზერვის ფუნქცია არ არის სამხედრო ფუნქცია. ეს არის მხარდაჭერის ფუნქცია. ჩვენ ვცდილობთ ადგილებზე – რეგიონებში – ხალხს ავუხსნათ და ვასწავლოთ ის ელემენტარული, რაც საჭირო იქნება მტრის აგრესიის შემთხვევაში, რათა კოორდინირებულად დაეხმარონ შეიარაღებულ ძალებს და მის აქტიურ კომპონენტს ქვეყნის თავდაცვაში.“**

ნებაყოფლობითი რეზერვის პროგრამით საქართველოში რამდენიმე ათასმა რეზერვისტმა გაიარა მომზადება ქვეყნის ყველა რეგიონში შექმნილ საწვრთნელ ბაზებზე. განსხვავებით რეზერვის შვეიცარიული მოდელისგან, ქართველი რეზერვისტები შეკრების შემდეგ იარაღს და სამხედრო ფორმას იმ სამხედრო ნაწილში ტოვებენ, რომლებზეც მიწერილნი არიან. ნოდარ ხარშილაძის თქმით, საპილოტე ეტაპმა სამხედრო ხელმძღვანელობას კარგი გაკვეთილი მისცა:

**„მაგალითი და ნასწავლი გაკვეთილი ამ პროცესიდან არის ის, რომ ორივე სახის რეზერვიდან – როგორც ნებაყოფლობითი, ისე არანებაყოფლობითი რეზერვიდან – გარკვეული კატეგორიის ხალხი ჩვენ შეგვიძლია, ძალიან კარგად გამოვიყენოთ კრიზისების დროსაც, ანუ როგორც ბუნებრივი კატასტროფების დროს ადგილობრივი ხელისუფლების დასახმარებლად, ასევე ძალიან კარგად შეიძლება მათი ინტეგრირება მთლიანად თავდაცვის სისტემაში, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ამ ხალხმა ერთხელ მაინც გაიაროს სამხედრო სამსახური, რომ ჩვენ გვქონდეს საშუალება, გავაკეთოთ გარკვეული შერჩევა.“**

ნოდარ ხარშილაძის თქმით, საწყისი ნებაყოფლობითი რეზერვის მომზადების პირველი ეტაპის ბოლოს სამხედრო ხელმძღვანელობა მოახდენს ე.წ. პროფილური ანუ ლოგისტიკური და სამედიცინო სარეზერვო ჯგუფების მომზადებას. მიღებული გამოცდილება თავს მოიყრის უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებულ სამხედრო რეზერვის ახალ კონცეფციაში, რომელიც ერთ თვეში გამოქვეყნდება. მასში, ნოდარ ხარშილაძის თქმით, კიდევ უფრო მკაფიოდ გაიმიჯნება ტერიტორიული რეზერვისა და მხარდამჭერი რეზერვის ფუნქციები, მოხდება ზოგიერთი პროგრამის ინტენსიფიკაცია და შესაძლებელია, გაიზარდოს ნებაყოფლობით რეზერვში ჩარიცხვის მსურველთა ასაკი. ერთი რამ, რაც არ გადაიხედება, არის თავად სახელმწიფო მიდგომა: ქვეყანას, რომელსაც ჰყავს არმია, აუცილებლად უნდა ჰყავდეს მომზადებული რეზერვი.

**კობა ლიკლიკაძე,**
რადიო „თავისუფლება“

ვისია ყვითელი „მარშრუტკები“?

# კლანები, რომლებიც ქვეყანას მართავენ

(მეოთხე გვერდიდან)

რეზო შარანგია და მისი ძმები საქართველოში უსაზღვრო გავლენით სარგებლობენ, თუმცა ბოლო პერიოდში მათ მიმართ საკმაოდ საეჭვო ხმებიც ვრცელდება.

ამბობენ, რომ ძმებ შარანგიებს საქართველოში არსებული ბიზნესების თავიდან მოშორება სურთ, მაგრამ როგორც ჩანს, ქვეყნიდან თავქუდმოგლეჯით გაქცევას ჯერ არ აპირებენ. ისიც ითქვა, რომ შარანგიები მეტეოროლოგებივით ფრთხილად აკვირდებიან პოლიტიკურ ამინდს და ცდილობენ, ყოველი შემთხვევისთვის, პოტენციური ინვესტორების თადარიგი დაიჭირონ. ცნობილი ფაქტია, საფრთხეს ყველაზე წინ ბიზნესი გრძნობს და ამ შემთხვევაში, თვითგადარჩენის ინსტიქტი ერთგულებაზე ძლიერია.

შარანგიების სიფრთხილე კარგად იგრძნობა ე.წ. „ყვითელი მარშრუტკების“ ბიზნესშიც. ეს ბიზნესი როგორ აღმოჩნდა ერთი კომპანიის ხელში, ამაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, ისედაც ყველამ ყველაფერი იცის. თუმცა გამარჯვებულმა კომპანიამ პირობა მალევე დაარღვია. ჯერ ითქვა, რომ ყვითელი „მარშრუტკები“ ნოემბრის ბოლომდე უნდა შემოეყვანათ, შემდეგ გაირკვა, რომ სატენდერო პირობებით, 2012 წლის 15 იანვრამდე დედაქალაქში არც ერთი ძველი სამარშრუტო ტაქსი არ უნდა ყოფილიყო და ამ დროისთვის „თბილისის მიკროავტობუსს“ 3 078 ახალი მანქანა უნდა შემოეყვანა. თუმცა, კომპანიაში აცხადებენ, რომ ყვითელი „მარშრუტკების“ შემოყვანა გაზაფხულზე დასრულდება.

ყველასათვის ცნობილია, რომ ყვითელი „მარშრუტკების“ მფლობელ ძმებ შარანგიებს საკმაოდ მრავალპროფილიანი ბიზნესი აქვთ და არც ფინანსების პრობლემას უჩივიან. ბოლოს და ბოლოს, მათთვის ყველა ბანკის კარი ღიაა. „მარშრუტკების“ შემოყვანას რომ არ ჩქარობენ, ესეც ნათელია. დღეს საქართველოში შარანგიების საკუთრებაშია მრავალი კომპანია და როგორც თემურ შაშიაშვილი ამტკიცებს, პრაქტიკულად მიხეილ სააკაშვილის ხაზინადრები არიან. შარანგიები აკონტროლებენ „საქართველოს რკინიგზას“, „ლიბერთი ბანკს“, „საქართველოს ბანკს“, „კავკასუს ონლაინს“, „თბილისის წყალს“, „დეზერტირების ბაზრის“ ტერიტორიას, ქართულ „სოკარს“, „სახალხო აფთიაქს“, „თბილისი ცენტრალს“, ძველ თბილისში რიყეს ტერიტორიას, მობილური კავშირგაბმულობის კომპანია „ბილაინს“, „საქართველოს ლატარიის კომპანიას“, მაღაზიების ქსელ „ნუგეშს“; მათ ეკუთვნით GMC რესტორნების ქსელი: რესტორანი „ქალაქური“, „ძველი სახლი“, „მატრიოშკა“, „თევზის რესტორანი“, იაპონური რესტორანი, ასევე რესტორნების ქსელი „შემოიხედე გენაცვალე“. ამის გარდა – „სითი პარკი“, თბილისის ტაქსი, სამარშრუტო ტაქსები, ბათუმში სასტუმრო „ინტურისტი“, სასტუმროები გუდაურში.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, შარანგიები გარკვეული ბიზნესების თავიდან მოშორებას შემოდგომიდან გეგმავენ. მათ „კავკასუს ონლაინის“ მყიდველებიც კი ჰყავდათ მოძებნილი, თუმცა უკრაინელმა ბიზნესმენებმა საქართველოში შემოსვლისგან თავი შეიკავეს. ჩვენი წყაროს ცნობით, მიზეზად ქვეყანაში გაურკვეველი პოლიტიკური მდგომარეობა დასახელდა. ალბათ, მყიდველებს სხვა ქვეყნებშიც მოძებნიან, თუმცა საკითხავია, რაში დასჭირდათ მფლობელისთვის ლამის ძალით წართმეული კომპანიის სასწრაფოდ თავიდან მოშორება. როგორც ჩანს, სააკაშვილის „ხაზინადრები“ საკუთარ მომავალ ბიზნესებს საქართველოს ფარგლებს მიღმა ხედავენ.

როგორ აღმოჩნდა ამდენი, თანაც სხვადასხვა პროფილის ბიზნესი შარანგიების ხელში და რატომ არ აქვთ ამ სფეროებში ბიზნესის კეთების საშუალება სხვა ადამიანებს, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საზოგადოებისთვის მიგვინდვია, თუმცა შევეცდებით ხელისუფლების პასუხიც აუცილებლად მოვიპოვოთ და საზოგადოებას გავაცნოთ. მანამდე კი სახელისუფლებო ვერტიკალის ბიზნესსაქმიანობების შესახებ მასალებს შემდეგ სტატიებში შემოგთავაზებთ.

**ლალი ზირაქიშვილი**

ინფორმაცია

### არჩევნებს არ აღიარებენ

**ამერიკის შეერთებული შტატები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩატარებულ ე.წ. არჩევნების ლეგიტიმურობას არ აღიარებს. „იტარტასის“ ინფორმაციით, ამის შესახებ ჟურნალისტებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა განუცხადა.**

**„ამერიკის შეერთებული შტატები არ აღიარებს საქართველოს რეგიონებში აფხაზეთში 24 მარტს და სამხრეთ ოსეთში 25 მარტს ჩატარებულ არჩევნებს. ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“, – აღნიშნა ნულანდმა.**

**მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ ერთხელ მოუწოდებს რუსეთს, შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების თანახმად ნაკისრი ვალდებულებები და დააბრუნოს სამხედროები კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე.**

**სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რუსეთს, ასევე მოუწოდა, რომ აღნიშნულ რეგიონებში ჰუმანიტარული დახმარების თავისუფლად მიწოდება უზრუნველყოს.**

ინტერპრესი

# 6,4 მილიარდის საიდუმლო

## ბიძინა ივანიშვილი თავისი ბიზნესიმპერიის,მართვის მოდელის, წარმატების საიდუმლოს და ბედნიერების შესახებ

**— ამერიკულმა Forbes-მა თქვენი ქონება 6,4 მილიარდად შეაფასა. რამდენად სწორია ეს შეფასება?**

— ვფიქრობ, რეალობასთან მიახლოებულია. ქონების შეფასებისას ყოველთვის არის ცდომილების შანსი, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რა ხდება საფონდო ბაზარზე და როგორ მერყეობს სურათი. თან, გააჩნია, როგორი პრინციპით შეაფასებ: თუ დღესვე გინდა ქონების თუნდაც ნაწილის რეალიზება, მისი ფასი ალბათ ნაკლებია; თუ ერთი წლის შემდეგ, როცა კრიზისის შემდგომი ზრდა იქნება შესამჩნევი, ცოტა უფრო მეტია ფასი. მოკლედ, ამერიკული Forbes-ის შეფასება მეტ-ნაკლებად კორექტულია და არ შევედავებოდი.

**— საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო მოხელე თუ გახდებით, ქონებრივი და ფინანსური დეკლარაცია უნდა შეავსოთ. ასე რომ იყოს, ბევრ სიურპრიზს აღმოვაჩენდით თქვენს დეკლარაციაში?**

— არც ერთი სიურპრიზი არ იქნება, მთელი ქონება გამჭვირვალე მქონდა და მაქვს. შემთხვევით არ ვაკეთებ აუდიტს ქველმოქმედებაზეც კი. ამ მხრივ არანაირი დაფარული პოზიცია არ მქონია, ყველა ბანკს, ვისთანაც ვთანამშრომლობ, ყოველთვის ვუგზავნი აუდიტის ანარიცხებს და ჩემს მიერ გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციას.

**— როცა უკვე მილიარდერი ხარ, გზის დასაწყისი შეიძლება არც გახსოვდეს. თუმცა, იქნებ მაინც გაიხსენოთ, თავიდან რატომ გაგიჩნდათ ბიზნესის წარმოების იდეა, რა იყო სტიმულის მიმცემი?**

— ელემენტარულად, როგორც ყველა არაფრის მქონე ადამიანი, მეც ვფიქრობდი, რამე შემექმნა, ფეხზე დავმდგარიყავი და გავძლიერებულიყავი.

რა სასტარტო პირობები მქონდა? არ გამაჩნდა ბინა, ერთი საერთო საცხოვრებლიდან მეორეში გადავდიოდი, სოფლიდან 50 მანეთით ჩამოვედი და, მგონი, ჩემმა მშობლებმა ეს თანხაც მეზობლებში ისესხეს. 15 მანეთს ვიხდიდი ბინის ქირად, სვანეთის უბანში ვცხოვრობდი და ტრამვაის გაჩერებიდან ნაქირავებ სახლამდე კიდევ 15 წუთი ფეხით სიარული მიწევდა. მარტო ქარხანამდე (კამოს სახელობის მექანიკურ-ჩამომსხმელ ქარხანაში ვმუშაობდი) მისასვლელად გზაში ვხარჯავდი ბევრ დროს და ენერგიას. ქარხანაში ვმუშაობდი და უნივერსიტეტში საღამოს ფაკულტეტზე ვსწავლობდი. დღის დასწრებულზე სწავლაზე ვერც ვიოცნებებდი, რადგან არაფერი გამაჩნდა და დღისით ქარხანაში ვიყავი.

თუმცა, 1980-ში, როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, კათედრაზე დარჩენა შემეძლო, მაგრამ არ მოვინდომე. ის დრო, მოგეხსენებათ, როგორი იყო: დიპლომი აღარაფერს განსაზღვრავდა, არც წამბიძგებელი მყავდა ვინმე. ასე რომ, მე თვითონ რამე ისეთი უნდა გამეკეთებინა, რაც ცხოვრებაში დამეხმარებოდა.

1982-ში მოსკოვში ასპირანტურაში ჩავაბარე, დისერტაციაც დავიცავი. თუმცა, როცა ამის შემდეგ თბილისში დავბრუნდი, საერთო საცხოვრებელშიც კი აღარ დამაბრუნეს, თურმე, აღარ შეიძლებოდა. ასე რომ, უკიდურესად გაჭირვებულ დღეში ვიყავი.

ამ დროს „პერესტროიკა“ იწყებოდა. ველოდი ჩემს დროს. ვიცოდი საბჭოთა კავშირის მაკროეკონომიკური მდგომარეობა, ქვეყანა გაკოტრების პირზე იყო და დაშლის პროცესი გარდაუვალი იყო.

ამ დროს მსოფლიო სრულად ახლებურ სისტემაზე იწყებდა გადასვლას: სწორად გავთვალე, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებაზე უარს ვერავინ იტყოდა, თან ინფლაციაც გარდაუვალი იყო, რაც დამატებით მომგებიან ეფექტს ქმნიდა და ამ პროცესში ჩავერთე. სწორედ ამით დავიწყე, მერე კი ელექტროტექნიკით გავაგრძელე.

ბიზნესი არ დამიწყია იმ ფიქრით, რომ უნდა გავმდიდრებულიყავი. 33 წლის ვიყავი, არ მქონდა ბინა, არ გამაჩნდა არაფერი, არ ვიყავი დაოჯახებული, ინსტიტუტში ვიყავი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ელემენტარულად ცხოვრების მოწყობა მინდოდა. პირველი მარტივი წარმოებაც ამ მიზნით დავიწყე.

**— კერძოდ?**

— არმირებული შლანგების გამოშვება დავაპირე. საქართველოში დავიწყე წარმოების გამართვა, თვითონვე ვჩარხავდი მოწყობილობისთვის საჭირო დეტალებს, რომ უფრო იაფი დამჯდარიყო. მაგრამ წარმოების აწყობას დიდი დრო უნდოდა. სწორედ ამ დროს დაიწყო გამალებული კომპიუტერიზაცია და კომპიუტერებზე მოთხოვნა გაჩნდა. ტრადიციულად ვმეგობრობდი ქართველ ებრაელებთან, რომელთა დახმარებითაც ავაწყე ეს ბიზნესი. პრობლემა კომპიუტერების შოვნა იყო, თორემ სამეცნიერო ინსტიტუტები ხშირად უყოყმანოდ გირიცხავდნენ ფულს.

ვისარგებლე ჩემი ახლო ნაცნობობით და გავაკეთე ამ საქმის კარგი ორგანიზება. მე ჩამოვუტანე პირველი კომპიუტერები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. რაკი ვივალდებულე ეს საქმე, არ მინდოდა, თავი შემერცხვინა და ლამის ჩემთვის სარგებლის გარეშე ჩამოვუტანე კომპიუტერები. ძალოვანი უწყებების „ინტერესსაც“ პირველად მაშინ შევეჯახე.

**— რას გულისხმობთ?**

— მარტო ის ფაქტი, რომ კომპიუტერების საფასური ჩამირიცხეს და დიდი ფული გამოჩნდა ჩემს ანგარიშზე, საკმარისი აღმოჩნდა, რომ მისთვის ყადაღა დაედოთ. საქართველოს იმდროინდელ გენერალურ პროკურორამდე მივედით რკვევა-რკვევით, რატომ დაგვიყადაღეს ანგარიში. პასუხად ის მივიღეთ, რომ უკვე წლების განმავლობაში არსებობდა კოოპერატივები, მაგრამ ამხელა თანხა არც ერთის ანგარიშზე არ ყოფილა და უნდა გაერკვიათ, რა ხდებოდა.



დაახლოებით ერთი თვე ველოდი ამ საკითხის გარკვევას და მივხვდი, რომ აქ საქმე არ გამოვიდოდა. ის ფული, მგონი, არც ამიღია. როცა ანგარიში განბლოკეს, უკვე საკმაოდ მდიდარიც ვიყავი და იმ ფულსაც ღირებულება დაკარგული ჰქონდა.

თუმცა, ხომ იცით, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ამ ისტორიის მერე წავედი რუსეთში. საქართველოში რომ დავრჩენილიყავი, ალბათ, ბიზნესის წარმოების ამხელა მასშტაბებზე ვერ გავიდოდი.

**— „არ მინდა, რამე ისეთი გავაკეთო, რაც პირად თავისუფლებას შემიზღუდავს“, - ეს ფრაზა თქვენი განცხადებიდან არის. ახერხებთ ამ პრინციპის დაცვას?**

— პირადი თავისუფლების შენარჩუნებას ყოველთვის ვახერხებდი. ნიჭიერი ადამიანის ჩემეულ ფორმულაშიც ასეა: ნიჭიერმა ადამიანმა უნდა მოახერხოს, რომ თავისი ქმედებით სიცოცხლე და თავისუფლება არ დააყენოს ეჭვქვეშ, საციხოდ არ გაიხადოს საქმე, კანონი არ დაარღვიოს და ა.შ. მგონი, ვახერხებდი ამას არცთუ უნიჭოდ. თუ არ ჩავთვლი ბოლო სვლას (პოლიტიკაში მოსვლას), როცა არჩევანის გარეშე დავრჩი და იძულებული გავხდი, გადამედგა ეს ნაბიჯი. თუმცა, დღეს ბედნიერი ვარ, რომ გადავდგი ეს ნაბიჯი და არ დავრჩი თავისუფლების ლოკალური და ძალიან სუბიექტური აღქმის სიბრტყეზე. გლობალურად თუ გინდა, თავისუფალი იყო, შენი ქვეყანაც თავისუფალი უნდა იყოს. თავისუფლად სრულფასოვნად მარტო შენს ქვეყანაში გრძნობ თავს, შენნაირებთან ერთად. თუ ეს გაკლია, სადაც არ უნდა წახვიდე, ვერც თავისუფალი იქნები და ვერც ბედნიერი.

**— თქვენი ბიზნესი რუსეთში იმ დროს აყვავდა, რომელზეც ზოგადად ასეთი კლიშე არსებობს: კრიმინალის, ძლიერი მფარველების და სისხლიანი დაპირისპირებების გარეშე დიდი ფულის შოვნა შეუძლებელი იყო...**

— მე მაქვს ჩემი პირადი ისტორია, როგორ ვქმნიდი ბიზნესს. ალბათ, გახსოვთ ე.წ. СЕМИбАНКИРЩИНА — რუსეთის მსხვილი ბიზნესის არაოფიციალური ერთობა, რომელშიც ჩემი დაფუძნებული ბანკი РОСИЙСКИЙ КРЕДИТ-იც ითვლებოდა. სულ მქონდა ოცნებად, წლების მერე დავმსხდარიყავით იმდროინდელი მსხვილი ბიზნესმენები და გაგვეხსენებინა, ვინ რას აკეთებდა. მათგან ყველასთან ვმეგობრობდი და კონფლიქტში არავისთან შევსულვარ, როცა დანარჩენები ერთმანეთს არაერთხელ დაუპირისპირდნენ და თან ძალიან დაუნდობლადაც.

ასე რომ, ჩემი პასუხი ჩემს კონკრეტულ ქმედებებში დევს. სამ პატარა ისტორიას გეტყვით: როცა საინვესტიციო აუქციონზე მიხაილოვსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის 20% შევიძინე და ცოტა ხანში საინვესტიციო პროგრამის გათვლებში შეცდომები აღმოვაჩინე, პროგრამა თვითნებურად არ შევცვალე და ეს პაკეტი სახელმწიფოს დავუბრუნე. გარწმუნებთ, ეს მაგალითი უპრეცედენტოა რუსეთის პრივატიზაციის ისტორიაში.

როცა 1998 წლის დეფოლტი გამოცხადდა, РОСИЙСКИЙ КРЕДИТ-ს არც ერთ ვალდებულებაზე უარი არ უთქვამს (რაც ყველა სხვა ბანკმა გააკეთა) და ყველა ბოლომდე გავისტუმრეთ. დაბოლოს, უმსხვილესი ტიუმენის სანავთობო კომპანიის ყიდვის ისტორიას გავიხსენებ, სადაც პარტნიორებად მე და ვიქტორ ვექსელბერგი (ამჟამად Forbes-ის სიის №64, ქონება — 12,4 მილიარდი) გამოვდიოდით. მაგრამ როგორც კი ამ პრივატიზების კანონიერება დააყენეს ეჭვქვეშ, მაშინვე გამოვეთიშე პროცესს. რატომ, არ შემეძლო თვალი დამეხუჭა? ვექსელბერგი დღესაც ამ აქტივის მეპატრონეა და მეც ვიქნებოდი, მაგრამ ჩემს პრინციპს ეწინააღმდეგებოდა ამ აუქციონში მონაწილეობა: თუ პროცესის კანონიერება იოტისოდენა ეჭვს მაინც იწვევს, იქ არაფერი მესაქმება.

**— მოკლედ, უნდა დავიჯეროთ, რომ მთელი თქვენი ქონება ყველაზე არეულ დროს სტერილური, კანონიერი სქემებით არის დაგროვილი?**

— გარწმუნებთ, უკანონოს ვერავინ ვერაფერს გამიხსენებს. აქამდეც ბევრჯერ ეცადნენ, მაგრამ უკანონო ვერასოდეს ვერაფერი ნახეს. არათუ კანონი არ დამირღვევია, იმასაც ვერავინ გაიხსენებს, რომ ვინმეს სიტყვა გავუტეხე. ბიზნესში არაფერი იმალება: ვინ ვისთან იყო, ვინ „შავებთან“ მეგობრობდა, ვის ვინ „კრიშავდა“ – ყველაფერი იშიფრება. აბა, ვინმემ დაასახელოს ჩემი ასეთი საეჭვო კავშირები. ვერ დაასახელებენ - არ არსებობს და იმიტომ.

არ ვარ განსაკუთრებული, მაგრამ მეყო ნიჭი და გონიერება, რომ არასოდეს საფრთხის ქვეშ არ დამეყენებინა ჩემი სიცოცხლე და კრიმინალებთან არ მემუშავა. ბევრი შეეწირა ამას. ბევრიც ციხეში აღმოჩნდა. მე ეს ავიცილე.

დიდ ფულთან დამოკიდებულებაც სპეციფიკური მაქვს. შეიძლება, ხშირად „ირთვებოდეს“ სპორტული ჟინი, რომ მეტი იშოვო, მაგრამ კანონის დარღვევის საფასურად ან ლობირებით არ ამიღია არაფერი.

**— საეჭვო მაგალითად რუსეთის ძვირფასი ლითონების სახელმწიფო კომპანიასთან (Ростдрагмет) თქვენს კავშირს ასახელებენ...**

— ამ კომპანიასთან მხოლოდ წმინდა საქმიანი შეხება მქონდა. ოქროს ბიზნესში უშუალოდ ვმონაწილეობდი. მქონდა ოქროს კარიერები ნაყიდი, აფინაჟის ქარხანა ავაშენე მაგადანში და საკმაო წარმატებითაც ვამუშავებდი. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ოქრო ძალიან რთული ბიზნესია. მე ვიყავი ამ ბიზნესში და, გამოგიტყდებით, წაგებით წამოვედი იქიდან.

ამ სექტორში ჩვეულებრივი ინვესტიცია მქონდა დაბანდებული და დროთა განმავლობაში ამ ბიზნესიდან გამოვედი, რადგან საკმაოდ კრიმინალიზებული და უპროგნოზო იყო. მას მერე, რაც ამ ბიზნესს გამოვეთიშე, ცხრაჯერ შემამოწმეს. როგორ გგონიათ, რამე დარღვევა რომ მქონოდა, ეს დაიმალებოდა?

დაუსაბუთებელი ბრალდებები არ მიკვირს. ერთ ხანს იმ თეორიასაც ავითარებდნენ, რომ კრიმინალურ ავტორიტეტ ოთარ კვანტრიშვილს ჰქონია დამსახურება ჩემს წარმატებებში.

**— ტყუილია?**

— არც კი ვიცნობდი ამ ადამიანს. ისე მოკვდა, ხელიც არ მქონდა ჩამორთმეული, ნანახიც არ მყავდა. ესეც არ იყოს, მტკიცებას, რომ ჩემს წარმატებაში წვლილი მას მიუძღოდა, ერთი მაგალითი მაინც ხომ უნდა ადასტურებდეს? არ არსებობს ასეთი მაგალითი.

**— კვანტრიშვილისგან განსხვავებით, ცნობილია თქვენი ურთიერთობის ისტორია ვლადიმირ რუშაილოსთან, რომელიც რუსეთში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას კურირებდა, მოგვიანებით კი შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა.**

— ჩემთვის საამაყოა, რომ არათუ არ ვიყავი არასოდეს კრიმინალთან, არც ვუხდიდი მას. სირცხვილად მიმაჩნდა, რომ საქმეს მე ვაკეთებ და ფული თურმე სხვას უნდა ვუხადო, კაცმა არ იცის, რაში.

რაღაც ეტაპამდე სხვადასხვა გზებით ვახერხებდი კრიმინალური სამყაროს გაცურებას. რუშაილოსთან პირველად მაშინ მივედი, როცა საქართველოში ჩემი ძმა მოიტაცეს. გამოსასყიდზე მიდიოდა ლაპარაკი და მაშინ მითხრეს, რომ რუშაილო დამეხმარებოდა, თუმცა დიდად ვერაფერში დამეხმარა.

როცა ბიზნესებზე კრიმინალის დაწოლა გაძლიერდა, მე ვიყავი შეხვედრის ინიციატორი, მივედი მასთან და შევთავაზე, რომ გადავუხდიდით ფულს და ჩვენი ბიზნესი დაეცვათ. თავიდან ხელები გაასავსავა, ეს ქრთამიაო და უარს აცხადებდა, მაგრამ დავამშვიდე, რომ არაფერი მსგავსი არ იქნებოდა, ყველაფერი ოფიციალურად გაკეთდებოდა.

ორი შეხვედრის მერე დავარწმუნე ჩემი აზრის ლოგიკურობაში, გავაკეთეთ პროექტი და შევედი შინაგან საქმეთა მინისტრ ვიქტორ ერინთან, რომელმაც მოაწერა ხელი და შეიქმნა მსხვილი ბიზნესის დაცვის სპეციალური განყოფილება.

ერთი კვირის შემდეგ ყველა მსხვილი ბიზნესმენი მლოცავდა, იმდენად შვება იყო მათთვის ამ სამსახურის შექმნა. ვფიქრობ, კარგა ნაბიჯი იყო, რაც გავაკეთე. მართალია, ბანკის დაცვის სამსახურში ათასზე მეტი თანამშრომელი მყავდა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი: თუ ვინმე კრიმინალური ავტორიტეტი მიადგებოდა, დაცვა იყო უსუსური. ოფიციალური სახელმწიფო ორგანო ასეთ ვითარებაში გაცილებით უნარიანი იყო.

**— სულ ხაზს უსვამთ, რომ პრივატიზების პროცესში არ ინტერესდებოდით ისეთი ქონებით, რომლის დასაუფლებლადაც კონფლიქტები იყო მოსალოდნელი. აბა, რა გზით დააგროვეთ ასეთი მიმზიდველი აქტივები?**

— თუ ვინმეს ჰქონდა ნებისმიერი აქტივის შეძენის საშუალება, ერთ-ერთი უპირველესი ვიყავი, რამდენადაც ავაგე უნივერსალური დიდი ბანკი და მქონდა საშუალო და წვრილი კლიენტების ფულზე დაფუძნებული პასივები, რაც უფრო სანდო და საიმედო რესურსია. თან, მუდმივად ბიზნესის რეკაპიტალიზაციასაც ვახდენდი და ესეც ჩემი წარმატების ერთ-ერთი საწინდარია. სხვები ძირითადად ფულს გარეთ ექაჩებონდნენ და რესურსებს კარგავდნენ.

მოკლედ, ისეთი ფული მქონდა, ნებისმიერ აუქციონში შემეძლო მონაწილეობის მიღება. მაგრამ ნავთობისა და ალუმინის აქტივებზე ნადირობა ძალიან საშიში იყო და არც გავკარებივარ იმის მიუხედავად, რომ უამრავი საშუალება მქონდა. იქ თითის შეყოფა არ შეიძლებოდა, რადგან მთლიანად კრიმინალიზებული იყო და სამი თავი უნდა გქონოდა, რამე რომ გეცადა.

მაგრამ იყო სხვა აქტივები, რომლებიც არანაკლებ ფასეული იყო, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას.

**— მაგალითად?**

— კრასნოიარსკის ალუმინის ქარხნის (КРАЗ) ისტორიას მოგიყვებით. ამ ქარხნის გარშემო გაუთავებელი ომი მიდიოდა და უამრავი ხალხი დაიხოცა კიდეც, შეიძლება ყველაზე მეტიც კი ერთი საწარმოს შემთხვევაში.

КРАЗ-ის გვერდით კი (ერთი ღობე ჰყოფდა) არსებობდა კრასნოიარსკის მეტალურგიული ქარხანა (КРАМЗ). ორივე იმ ანგარიშით იყო აშენებული, რომ ერთიანი საწარმოო ჯაჭვი შეექმნათ - ალუმინის ქარხანაში წარმოებული ნედლეული მეტალურგიულ ქარხანაში საბოლოო პროდუქტებად უნდა ქცეულიყო და ასე გაყიდულიყო. თუმცა, როცა მე კრასნოიარსკში ჩავედი, КРАЗ-ის მეპატრონეებს КРАМЗ-ის საქმიანობა საერთოდ არ აინტერესებდათ - მთელ ნედლეულს პირდაპირ ყიდდნენ საზღვარგარეთ ვალუტაზე. შედეგად, მეტალურგიული ქარხანა რამდენიმე წელი გაჩერებული იყო.

იხ. 8 გვ.

# 6,4 მილიარდის საიდუმლო

**ბიძინა ივანიშვილი თავისი ბიზნესიმპერიის, მართვის მოდელის, წარმატების საიდუმლოს და ბედნიერების შესახებ**

(მეშვიდე გვერდიდან)

სწორედ მისი აქციების შესყიდვა დავიწყე - ვაუჩერული ფონდებს, რომლის ღირებულებაც 2-3-ჯერ აჭარბებდა КРАЗ-ისას, რომლის გარშემოც ომები არ წყდებოდა. ასე, კაპიტალში - 15 თუ 20 მილიონ დოლარად ვიყიდე КРАМЗ-ის აქციათა 20-30%.

მოგვიანებით, როცა КРАЗ-ის აქციათა სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი 20% უნდა გაეყიდულიყო, ინტერესები და ლობისტური ომები იმდენად ძლიერი იყო, რომ დიდხანს ვერ იპოვეს მექანიზმი, როგორ გაეყიდათ. ბოლოს, КРАЗ-ის და КРАМЗ-ის ქონება გააერთიანეს, მსხვილი საინვესტიციო პაკეტი გააკეთეს და ისე გაიტანეს გასაყიდად, ანუ იმ საწარმოს, რომლის აქციებსაც მე თანდათან ვყიდულობდი და უკვე 30% ვფლობდი, უცებად დიდი ფასი დაადეს. დავიწყე ამ აქციების შესყიდვის ახალი ფორსირება და დღეში ზოგჯერ ორმაგდებოდა და სამმაგდებოდა მათი ღირებულება. მერე დაიწყო მუქარა (სან-ტროპეშიც კი მომაგნეს ტელეფონით), თუმცა, არ შევშინდი, ფასი არ დავაგდე, კარგად გავყიდე და ისე წამოვედი. მოკლედ, პრაქტიკულად შემთხვევით მოვხვდი იქ და კარგი მოგება ვნახე.

**— დაშინება როგორ ხდებოდა?**

— ჯერ კიდევ საფრანგეთში ვიყავი, როცა ჩემი წარმომადგენელი დამიკავშირდა და ასეთი ისტორია მიამბო: ჩემი კომპანიის მენეჯერები ვითომ ჩემი დავალებით, მოტყუებით ჩასვეს მანქანაში და მოგვიანებით სასაფლაოზე აიყვანეს. აჩვენეს მათი საფლავები, ვინც ალუმინის ქარხნისთვის ბრძოლაში დაიღუპა, შესთავაზეს, აერჩიათ, სურდათ თუ არა იგივე ბედის გაზიარება და სასაფლაოზე დატოვეს.

**— „ჩვენ ვაკეთებდით იმას, რასაც სხვები არ აკეთებდნენ“, - ასე დაახასიათეთ ბანკ РОССИЙСКИЙ КРЕДИТ-ის საქმიანობა. რას აკეთებდით ამდენად განსხვავებულს?**

— Сбербанк-ის შემდეგ, პრაქტიკულად, პირველი ბანკი გავხდით ინ რეკაპიტალიზაციისა და საქმიანობის შემდეგ, რაც გავწიეთ. როგორც მომხმარებლის უნივერსალურობის, ასევე ფილიალების რაოდენობითაც ვიყავით მეორე. არადა, ბანკის პირველი ფილიალი საბავშვო ბაღის შენობაში გვქონდა. ვფიქრობ, სწორედ ის მოდელი იყო საინტერესო, რამაც საოცრად წარმატებული შედეგისთვის მიგვაღწევინა.

წარმოიდგინეთ ვითარება, როცა ძალიან რთული იყო შენობის ნახვა ფილიალის მოსაწყობად, იმდენი ფული კი არ იყო, რომ ჩვენ თვითონ აგვეშენებინა.

ამავე დროს, ეს ის პერიოდია, როცა ეკონომიურად საშინელ დღეში იყო მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები (ხელფასებსაც კი ვერ იხდიდნენ), საწარმოების დირექტორები კი დაძაბულები იყვნენ, რადგან პრივატიზაცია მიმდინარეობდა და არ იცოდნენ, რა ელოდათ უახლოეს მომავალში. ბანკში კი კლიენტურა ჭირდა.

ეს სამივე ფაქტორი ერთდროულად არსებობდა და ის სქემა, რომელიც მოვიფიქრე (ერთი ღამე გავათენე მასზე ფიქრში), სამივეს გამოყენებას ითვალისწინებდა: მაშინ, როცა დიდ ქარხნებს ახალ ბანკში მოსვლა არ უნდოდათ, პრობლემა იყო ბანკის გაფართოება და პროფესიონალი კადრების შოვნაც, სასწრაფოდ გავხსენი კოლეჯი და საბანკო საქმის სწავლება დავიწყეთ (მე თვითონაც ვკითხულობდი ლექციებს საწყის ეტაპზე) და დავგეგმეთ ბანკის სწრაფი ექსპანსია. დავიწყე კლიენტის მოზიდვა და ფილიალების გახსნა. მე თვითონ დავდიოდი და სხვადასხვა საწარმოს თუ ინსტიტუტის (მათ შორის, მეცნიერებათა აკადემიის სისტემის) 100-ზე მეტ დირექტორს შევხვდი.

შედეგად, მოვახერხე რამდენიმე კურდღლის ერთდროულად დაჭერა. იგივე აკადემიკოსები და დირექტორები ჯერ ლექციების საკითხავად „გადმოვქაჩეთ“ ჩვენს კოლეჯში. პარალელურად, მათი ინსტიტუტებისა და საწარმოების შენობებში ფართს ვქირაობდი, იქ ვაწყობდი ფილიალს და მათვე ვნიშნავდი ფილიალის დირექტორად. ამ მოდელზე უმრავლესობა დავითანხმე.

იგივე დირექტორები (ვისაც არ ჰქონდა შესაბამისი ცოდნა) დადიოდნენ ჩემს კოლეჯში და წრაფად გადიოდნენ საბანკო საქმეში გადამზადებას. ეს ყველაზე კარგი კონტინგენტი იყო, თითქმის მზა კადრი - ადმინისტრატორის გამოცდილებით პლუს ცოტა ხანში საბანკო საქმის ცოდნით (მარტო ექვსი საკავშირო აკადემიკოსი იყო ჩემი ბანკის სხვადასხვა ფილიალის დირექტორი).

სწორედ ეს იყო, რაც გაკეთდა ჩემს ბანკში და არ გაკეთებულა სხვაგან. ეს იყო სწორი გზა, რაც მალე დადასტურდა: ის ქარხნები თუ ინსტიტუტები თავიანთსავე შენობებში განთავსებულ ფილალებში ხსნიდნენ ანგარიშებს და თანხებსაც იზიდავდნენ, კოლეჯი კადრების სამჭედლო იყო, კორპორატიული სულიც ჩამოყალიბდა და პროფესიონალების დენადობაც დაიწყო.

შედეგად, მე მივიღე კლიენტიც, კოლეჯიც, მენეჯერებიც, ფილიალების ქსელიც და ეს მოდელი ნელ-ნელა განვავითარე მთელს რუსეთში, ყველგან სადაც РОССИЙСКИЙ КРЕДИТ-ის ფილიალები იხსნებოდა.

ეს პროცესი სწრაფად და წარმატებით წარიმართა, ბანკის ექსპანსია უზრუნველყოფილი იყო, ამასობაში პრივატიზაციაც ხურდებოდა და საინტერესო ობიექტები გამოვიდა გასაყიდად. ბანკი მყარი ექსპანსიური პოზიციით შეხვდა ამ დროს. კარგად განვვითარდით, საშუალო და წვრილი კლიენტურის ფული იყო ძალიან ბევრი (რაც ყველაზე „კარგი“, გრძელვადიანი ფულია), „პასივის“ დიდ ნაწილს ვააქტიურებდით თვითონ.

ამ წყაროებით მობილიზებული სახსრებით შევიძინე ის ძირითადი ქარხნები (მაგალითად, მიხაილოვსკის და სტოილენსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატები), რომლებიც მოგვიანებით სარფიანად გაიყიდა. თუმცა, როცა ვყიდულობდი, ეს საწარმოები „ჩაწოლილი“ იყო, არავის უნდოდა.

**— თქვენ რად გინდოდათ?**

— პერსპექტივას ვხედავდი. როცა სამთო კომბინატები ვიყიდე, მეტალურგიულ ქარხნებს პირდაპირ გაჰქონდათ ნედლეული საექსპორტოდ, გამამდიდრებელი წარმოება ნაკლებად აინტერესებდათ. იყო ჭარბწარმოება და მეტალურგები ფასებს თვითნებურად გვიწესებდნენ.

ასეთ ვითარებაში ვიყიდე ეს ქარხნები. ძირითადად ისევ ფონდებს ვაფასებდი, უზარმაზარი ქარხნები იყო, რომ გამოდიოდა საპრივატიზებო ცხრილი, ვიჯექი რამდენიმე ანალიტიკოსთან ერთად და ვაფასებდი, რა იყო აქტივები, ვალდებულებები, ცვეთა, ნარჩენი ღირებულება. ასე, დეტალური ანალიზის შედეგად ვიყიდე სამთო-გამამდიდრებელი კომბინატები.

ვყიდულობდი, რადგან იმ მომენტში არავის აინტერესებდა, მე პერსპექტიულად მიმაჩნდა, ბანკში პასივების მდგომარეობის გამო კი უკვე თავს უფლებას ვაძლევდი, გრძელვადიანი დაბანდებები გამეკეთებინა.

რა თქმა უნდა, დაცემულ ბაზარზე შესყიდვა შედარებით იაფი იყო და ამიტომაც იოლად „ავკრიფე“ ეს აქტივები. შედეგად, ერთი ხანს შავი მეტალურგიის ნედლეულის 60%-მდე ჩემს ხელში იყრიდა თავს.

2-3 წელი შევინარჩუნე ეს პოზიცია, მერე პროცესებიც გააქტიურდა: მეტალურგებს კარტელისმაგვარი შევუქმენით ნედლეულის დამმუშავებლებმა, მოვჰხსენით ჭარბი წარმოება (მაგალითი კოლეგებს თვითონ მივეცი, როცა წარმოება შევამცირე), შეიქმნა რეალური დეფიციტი და მოთხოვნა და ვითარება შეიცვალა - მეტალურგები ფასებს ვეღარ გვკარნახობდნენ. ამით ვაიძულეთ ისინი, გადაეხადათ პროდუქციაში ის, რაც ღირდა და ნელ-ნელა გავხადეთ რენტაბელური ეს ქარხნები. მერე კარგადაც ამიტომ გაიყიდა.

**— „აქციონერი და ტოპმენეჯერი ერთდროულად ვარ. რუსეთში სხვაგვარად შეუძლებელია“, — ეს თქვენი სიტყვებია. საქართველოში კი ყველა ბიზნესში უფლებამოსილება დელეგირებული გქონდათ. რატომ? ასეთი განსხვავებული ბიზნესმოდელებია ამ ორ ქვეყანაში?**

— საქართველოში ბიზნესი, პრაქტიკულად, არ მქონია. თუ არ ჩავთვლით ბანკ „ქართუს“, რომელიც ქვეყნის დასახმარებლად გავხსენი და საინვესტიციო ბანკად იყო ჩაფიქრებული. რუსეთში კი მესაკუთრე და მენეჯერი ახლა არის დაყოფილი, თუმცა, დასაწყისში, ვინც მსხვილი ბიზნესი გააკეთა (მათ შორის ვიყავი მეც), უნდა ყოფილიყო კარგი მენეჯერიც და ანტრეპრენიორიც. თუ ორივე არ იყავი ერთდროულად, წარმატება პრაქტიკულად გამორიცხული იყო.

ვფიქრობ, ორივე თვისება კარგად მქონდა შერწყმული და ეს ბევრ რამეში დამეხმარა. მაშინ მენეჯერს ვერ იქირავებდი (ეს ბაზარი არ არსებობდა, ბოლო 10 წელიწადში ჩამოყალიბდა), ამიტომაც ფილიალებს რომ ვხსნიდი, ამ პროცესშიც კი ბოლომდე ვილებდი მონაწილეობას და ვზრდიდი საშუალო რგოლის მენეჯერებს. ბანკს თავად ვმართავდი.

**— კიდევ სად აწარმოებდით ბიზნესს? გამიგია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშიც კი გქონდათ აქტივები.**

— წარმოიდგინეთ, ვინც წინა საუკუნის 90-იანი წლების რუსეთში შედიოდა, უმეტესობა ოქროს მაძიებლებივით იყო. ზუსტად ორმაგ ფასს ადებდნენ ყველაფერს, უნდოდათ სწრაფი გამდიდრება.

ღილაკებიანი ტელეფონების დიდი პარტიის შესაძენად (მაშინ ასეთი აპარატები ძალიან პოპულარული იყო), სამი თვე ტენდერს ვატარებდი და ბოლოს მივხვდი, რომ დროს ვკარგავდი. საფრანგეთში წავედი სატელეკომუნიკაციო გამოფენაზე და პირდაპირ ერთ-ერთი ჰონკონგურ კომპანიასთან დავდე კონტრაქტი. ფასებიც მაშინვე განახევრდა იმასთან შედარებით, რასაც მოსკოვში მთავაზობდნენ. ჰონკონგიდან უკვე უშუალო მწარმოებლებამდე, ჩინეთის ქარხნებში ჩავედი და, საბოლოოდ, რამდენიმე ქარხანა შევიძინე კიდეც.

მოგვიანებით, ეს ბიზნესი ერთ-ერთ აფრიკელ პარტნიორს დავუთმე. ბანკის ჩამოყალიბება მქონდა დაწყებული და ვაჭრობის დრო აღარ იყო. თან, რუსეთი გაცილებით საინტერესო ბაზარი იყო, რადგან 1-2 წელიწადში ხდებოდა კაპიტალის გაორმაგება, რასაც სხვაგან ათწლეულები უნდოდა. ამიტომ არ მქონია მცდელობა, ბევრ სხვა ქვეყანას მოვდებოდი.

**— მსხვილი კლიენტების მეპატრონეებს და ტოპ-მენეჯერებს РОССИЙСКИЙ КРЕДИТ-ის ვიცე-პრეზიდენტებად ნიშნავდით. შეგიძლიათ ამიხსნათ, რა ლოგიკით?**

— ესეც ბანკის ექსპანსიის ნაწილი იყო. ფილიალების დირექტორებადაც ვნიშნავდი, პარტნიორებიც ხდებოდნენ და ა.შ. ვიცე-პრეზიდენტების სტატუსის მინიჭება ამის გაგრძელება იყო. ბანკი უკვე იმდენად სახელიანი და გავლენიანი იყო, რომ მსხვილი საწარმოების დირექტორებს მოსწონდათ მისი ვიცე-პრეზიდენტობა. არადა, ეს ისეთი პოსტი იყო, რომ არც არაფერი ევალებოდა და არც უფლებამოსილებას ანიჭებდა, კლიენტად რჩებოდა და, ფაქტიურად, ახალ სავიზიტო ბარათს ილებდა.

ჩემთვის სარგებელი ის იყო, რომ ასეთი პარტნიორი უფრო ლოიალური ხდებოდა, ანგარიში ჩემს ბანკში ჰქონდა, სესხები ჩემგან მიჰქონდა, უმნიშვნელო შეღავათებით სარგებლობდა (მაგალითად, ურიგოდ იხილებოდა მისი საკითხი საკრედიტო კომიტეტზე). ამის სანაცვლოდ ვიცე-პრეზიდენტის სტატუსის გაცემა (რომელიც წმინდა საპატიო ფუნქცია იყო) ღირდა.

**— 1989 წელს ყველაფრის დაკარგვის საფრთხე მემუქრებოდაო, ამბობთ. რამ გადაგარჩინათ?**

— ცხადია, მქონდა გათვლები, რომ ბაზრის დაცემა უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა, მაგრამ ზუსტად პროგნოზირება, რომ ფასები 2-3 წელიწდში ძველ ნიშნულზე დაბრუნდებოდა, არავის შეეძლო.

როცა რუსეთში დეფოლტი მოხდა, რთული არჩევანის წინაშე აღმოვჩნდი - გამეკოტრებინა ბანკი ან დამოუკიდებლად დამეწყო მისი რესტრუქტურიზაცია. მეორე გზა ავარჩიე, რაც ჩემს კოლეგა ბანკირებს არ მოსწონდათ და ბანკის „გადაგდებას“ მირჩევდნენ, მაგრამ კლიენტებს, რომლებთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა, კარი ვერ დავუკეტე და ხელი ვერ დავიბანე.

შედეგად, სხვებმა ბანკები „გაასუფთავეს“ და გააქრეს, მე კი ჩემი ქონება ჩავდე საგირავნო უზრუნველყოფაში და მოზიდული სახსრებით ვალდებულებების გასტუმრება დავიწყე. შემდეგ, ამ ვალდებულებების დროულად „დასახურად“ აქტივების ნაწილის (ლებედინსკი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, ორიოლის მილსაგლინავი ქარხანა, ქარხანა „ტულაჩერმეტი“) გაყიდვაც მომიხდა, თან საბაზროზე ბევრად დაბალ ფასად.

ჩემი ქონების ფასს კრიზისის შემდგომ 2-3 წელიწადში (როცა პირველი საბანკო გადასახდელები მიწევდა) რომ არ მოემატა, ცხადია, მთელ ქონებას წაიღებდნენ კრედიტორები. მაგრამ სწორად გავთვალე, რომ ზრდა იქნებოდა. ასე რომ, ჩემი მხრიდან რისკი იყო, მაგრამ აზრიანი. ეს საქის შესანარჩუნებლად გავაკეთე, თუმცა, რომც არ მექნა, ვერავინ ვერაფერს მეტყოდა, რადგან ასეთი რესტრუქტურიზაცია არავის გაუკეთებია.

ამ ნაბიჯის პლუსი ისიც იყო, რომ ბიზნეს-ისტებლიშმენტში, განსაკუთრებით ევროპასა და აშშ-ში, კარგი სახელი მომიტანა.

**— მეტალურგიული აქტივები საკმაოდ კარგი ბიზნეს-კონიუნქტურის პირობებში გაყიდეთ. ხომ არ გაიძულეს?**

— არა, ნამდვილად არ ვყოფილვარ იძულებული. უბრალოდ გადავწყვიტე, ფულის გამო თავისუფლება არ დამეკარგა. ვურჩიე ბევრს, რომ გაეყიდათ თვალისმომჭრელი აქტივები, რადგან რუსეთში პოლიტიკური სისტემა და თამაშის წესები იცვლებოდა. მეორე სამთო-მომპოვებელი ქარხანა რომ გავყიდე, პირველის გაყიდვის შესახებ მხოლოდ მაშინ გაიგეს. რომ დამეტოვებინა ეს აქტივები, დიდი ალბათობით ქონების გადანაწილების ახალ ტალღაში მოხვდებოდა.

ამიტომ მსხვილი აქტივები გავყიდე და ისეთები დავიტოვე, რაც არ ხვდება თვალში — სამშენებლო, რასაც მაშინ ასეთი ფასი არ ჰქონდა, „კაუჩუკი“, რაც ახლა ყველაზე ძირი ღირს და სხვებიც.

**— „გაზპრომის“ აქციონერი მართლა ხართ? ხშირად მესმის, რომ მისი აქციების დაახლოებით 1%-ს ფლობთ.**

— ჰო, და თან ძალიან სასაცილოდ და არაპროფესიულად სვამენ ამ კითხვას. ოდესღაც, 7-8 წლის წინათ მართლაც მქონდა პორტფელში „გაზპრომის“ აქციების 1%-მდე, რაც გავაორმაგე და მნიშვნელოვანი სარგებლით გავყიდე. ახლაც შეიძლება მქონდეს პორტფელში 10 ან 20 მილიონის აქციები, მაგრამ ამ ინფორმაციას ოპერატიულად არ ვაკონტროლებ, რადგან ამა თუ იმ ემიტენტის აქციების პორტფელში ქონა დამოკიდებულია იმ მენეჯერზე, რომელიც პორტფელს მართავს. დღეს შეიძლება პორტფელში იყოს ამა თუ იმ ემიტენტის 50 მილიონამდე დოლარის აქციები, ხვალ - აღარც ერთი ცენტის. ეს ჩვეულებრივად, პორტფელის მართვის სტრატეგიის შესაბამისად ხდება. თუმცა, ვიცი, რომ ამჟამად რომელიმე მსხვილი ემიტენტის აქციების მსხვილ პაკეტს, სამწუხაროდ, არ ვფლობ.

**— რას წარმოადგენს საინვესტიციო კომპანია „უნიკორი“, რომელიც თქვენს აქტივებს აერთიანებს?**

— წლების მანძილზე ჩემი ძირითადი ბიზნეს-ჰოლდინგი იყო „მეტალოინვესტი“. როცა მასში შემავალი ორი ქარხანა გავყიდე, ეს ბრენდიც მათთან ერთად მივყიდე ალიშერ უსმანოვს (Forbes-ის სიის №28, ქონება — 18,1 მილიარდი, რუსეთის უმდიდრესი ადამიანი). სახელი „უნიკორი“ კი „უნივერსალური კორპორაციიდან“ მოდის, რომელშიც შედის ჩემი საფინანსო, სავაჭრო, სამრეწველო, აგრარული, სამშენებლო, ფარმაცევტული და სხვა აქტივები.

თუმცა, ამჟამად მასში შემავალ ბიზნესებს ვყიდი, თან ისე, რომ მათი უმეტესობის სათანადო კაპიტალიზაცია ვერ მოვასწარი და საბაზროზე დაბალ ფასად გაიყიდება.

როგორც „უნიკორის“ ფარგლებში, ასევე მის მიღმაც მრავალმხრივი ინვესტიციები მაქვს განხორციელებული. ერთადერთი, სადაც ვერ მოვსინჯე საკუთარი შესაძლებლობები და გული მწყდება, ზერენტაბელური მაღალი ტექნოლოგიების სექტორია.

**— რატომ მიიჩნევთ, რომ საქართველოში ბიზნესი არ გაქვთ? იგივე ბანკი „ქართუ“ ასეულობით მილიონი ლარის აქტივებს ფლობს და საკმაოდ აქტიური საბანკო მოთამაშეა.**

— ცხადია, ის კომერციული ბანკია, თუმცა თუ ნახავთ მის საქმიანობას, დარწმუნდებით, რომ ეს არ იყო ჩემთვის ბიზნესის საკეთებლად შექმნილი ბანკი. „ქართუ“ პირველი ორგანიზაცია იყო, რაც აქ გავხსენი, რადგან აქეთ სულ ვიხედებოდი და მინდოდა ქვეყანას დავხმარებოდი. იმის კვალობაზე, კაპიტალი როგორ მეზრდებოდა, სურვილიც მეტი იყო.

მინდოდა, „ქართუ“ საინვესტიციო ბანკი ყოფილიყო და ქვეყანაში საქმიანი აქტივობის ზრდას დახმარებოდ. მაგალითად, სესხის 25% მსესხებლისთვის მიგვეცა უპროცენტოდ, შეგვექმნა სხვა მექანიზმებიც, რათა ინვესტორი უფრო დაინტერესებულიყო და გაცილებით იოლად მიელო გადაწყვეტილება ბიზნესის დაწყებაზე. სამწუხაროდ, ამ მოდელმა არ იმუშავა.

**— ჯერ კიდევ წლების წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართული აქტივების გაყიდვა გინდოდათ. რატომ?**

— იმიტომ, რომ საქართველოში აქტივების მართვას დიდი დრო უნდოდა, რაც არ მქონდა. მაშინ უნდა მოვწყვეტოდი იმ საქმეს, რასაც საზღვარგარეთ ვაკეთებდი და რაც საშუალებას მაძლევდა, ბევრად მეტი გამეკეთებინა საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის. თუმცაღა, ცხადია, ქველმოქმედაზე გაცილებით სწორი გზაა ბიზნესის წარმოება და სამუშაო ადგილების შექმნა, თუ ადამიანების დახმარება გინდა.

**— პარტნიორებს როგორ არჩევდით საქართველოში?**

— პრაქტიკულად, არც დამჭირვებია. პირველი ფსონი ბანკის მმართველად ნათესავზე გავაკეთე, რაც დიდი შეცდომა იყო - ნათესავიც დავკარგე და საქმეც ვერ განვითარდა. საქართველო ძალიან სპეციფიკურია ამ მხრივ და დღესაც რთულია პარტნიორის შერჩევა.

**— გოგი თოფაძე როგორ მოძებნეთ?**

- თვითონ მომძებნა, როცა საბანკო სესხის საჭიროება იყო, პარტნიორობის შემოთავაზებაც მისგან მოდიოდა. ზაკურიანის პროექტს როცა ვაკეთებდით, მაშინ დავმეგობრდით. გოგი ძალიან აქტიურობდა, ბევრს ცდილობდა. ჩემთვის ყველანაირად მისაღები პარტნიორია: გარდა იმისა, რომ ბიზნესმენია, ბევრი რამის კეთება უნდა, ბევრი სხვა ბიზნესმენისგან გამოირჩევა. კარგი ვარიანტია პარტნიორობისთვის იმითაც, რაც სამუშაო ადგილებს ქმნის (რაც ჩემს შემთხვევაში ნაკლებად ხდებაძ და არც ერთ პროექტს ლოკალურად არ მიიჩნევს, ყოველთვის მის გაფართოებაზეა ორიენტირებული. ესეც, ჩემი აზრით, კარგი თვისებაა.

**— იმის მიუხედავად, რომ უკვე თითქმის ნახევარი წელია, საჯარო ფიგურა გახდით, მაინც ნაკლები წარმოდგება გვაქვს, რა შეხედულება გაქვთ ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე. მაგალითად, როგორი უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკა. ცოტა მეტს არ გვეტყვით ამ საკითხზე?**

— საკმაო დრო გავიდა იმისთვის, რომ მოკლე განცხადებებით აღარ ვიფარგლებოდე, მაგრამ მაინც მოკლედ ვამჯობინებ.

რა სჭირდება ეკონომიკას? ძალიან მარტივი რამ: უნდა იყოს თავისუფალი ბაზარი და ჩინოვნიკები არ უნდა მართავდნენ მას. თუ ეს არ არის უზრუნველყოფილი, ლაპარაკი ეკონომიკურ კატეგორიებზე სიღრმისეული წიაღსვლებით ცოტა თვალთმაქცობად მიმაჩნია. თუ სასამართლო და მედია თავისუფალი არ არის და ნებისმიერ ჩინოვნიკი თვითონ არის ბიზნესმენი, აქ რამე ეკონომიკურ პოლიტკაზე ლაპარაკი უადგილოა.

პირველი ამოცანა სწორედ ეს უნდა იყოს – ბიზნესი უნდა განთავისუფლდეს ჩინოვნიკებისგან. ამის მერე უკვე აქვს აზრი დავას საგადასახადო საკითხებზე, ინფრასტრუქტურის მოწყობის მოდელზე, საბიუჯეტო და სოციალურ პოლიტიკაზე... მაგრამ თავისუფალი ბაზრისთვის აუცილებელი პირობების არარსებობის შემთხვევაში, ყველა ეს მსჯელობა სპეკულაციაა.

**— იღბლიანი ხართ?**

— არ ვიტყვი, რომ კი, მაგრამ არც უამისობაა. 1991 წელს აზიის ერთ-ერთი უმსხვილესი BCCI ბანკი რომ გაკოტრდა და იქ 9-10 მილიონი დოლარი დავკარგე, პირველად მაშინ გავკოტრდი. რა ვიცი, ამას როგორ დავარქვა იღბლიანობა? მეორედ, უკვე გითხარით, 1998 წელს როგორ ვიყავი გაკოტრების პირას.

თუმცა, უიღბლობასაც ვერ მივაწერ ჩემს თავს. რა თქმა უნდა, ფორტუნას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ძირითადად ადამიანი შრომით აღწევს შედეგს.

**— წარმატების თქვენეული ფორმულა მითხარით.**

— ჯერ განვსაზღვროთ წარმატებული ადამიანი. ჩემთვის წარმატებულია, ვისაც ჰყავს კარგი ოჯახი, უხარია შინ ყოფნა, დილას სამსახურში წასვლა და საღამოს – სახლში დაბრუნება. ეს უკვე წარმატებაა. თუ ადამიანს აქვს გათბობა, წამალი, საჭმელი და წელიწადში ერთხელ შვებულებაში წასვლასაც ახერხებს, ჩემთვის ეს უკვე წარმატებული ადამიანია.

განსაკუთრებით წარმატებულს კი ერთი რამ ემატება - ნიჭიერება, რომელიც პირობითად ორი ნაწილისგან შედგება: დაახლოებით ნახევარი ეკუთვნის ინტელექტს, ნახევარი - ჯანსაღ ფსიქიკას. თუ ჯანსაღი ფსიქიკა გაქვს, შენი ინტელექტის შესაბამისს გააკეთებ და შედეგს მიიღებ. თუ საყვარელ პროფესიას ირჩევ, კარგ ოჯახს აფუძნებ, კარგი მეუღლე და შვილები გყავს, წარმატებულიც სწორედ მაშინ ხარ.

არ მიმაჩნია, რომ ჭარბი ფული არის წარმატების სიმბოლო. ბევრი მდიდარი ვიცი, ვინც გაუბედურებულია და არ იცის, რისთვის ცხოვრობს, მთელი სიცოცხლე სდევდა ფულს, იშოვა კიდეც, მაგრამ იმავე რისკებზე „ზის", რაც ადრე ჰქონდა და მე ვერ ვხედავ მათ წარმატებას და ბედნიერებას.

მე დამლაგებლადაც ვმუშაობდი, საპირფარეშოც დამილაგებია, ფეხშიშველი დავრბოდი ბავშვობაში, მაგრამ უბედური ვიყავი-მეთქი, ნაღდად არ ვიტყვი. ჩემს შვილებსაც ასე ვუხსნი ხშირად. მათ არაფერი აკლიათ, მარამ ჩემზე ბედნიერი ბავშვობა აქვთ-მეთქი, ვერ ვიტყვი. მე მათ ასაკში არაფერი მქონდა, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი.

**— ფულის წილი რამდენია წარმატებაში?**

— ზუსტად იმდენი, რომ გქონდეს ჯანმრთელობა, წამალზე არ ფიქრობდე, არ იშიმშილო, საჭმელი გეფაროს. ამის იქით, როგორც ზედმეტი წინა არ ვარგა, ისე ზედმეტი ფული არ ვარგა.

თან, რაც დრო გადის, სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ძნელია, ერთმა ადამიანმა შეიქმნას წარმატების ისტორია ისე, თუ გარემო არ არის ჯანსაღი. ქვეყანაც უნდა გქონდეს წარმატებული, სტაბილური, არც მოხუცებულობის გეშინოდეს და მაშინ ეს იქნება 100%-იანი წარმატება: სტაბილური ქვეყანა, საყვარელი სამსახური და საყვარელი ოჯახი თუ გაქვს, ამ შემთხვევაში ფულის წილი უმნიშვნელოა.

**— Forbes-ის მილიარდერების სიას რომ ვუყურებ, ძალიან ბევრს უმაღლესი განათლება არ აქვს. განათლება წარმატებას ხელს რომ უწყობს, თითქოს აღიარებული ფაქტია. შეიძლება უშლიდეს კიდეც?**

— ისევ ჩემი პრაქტიკიდან გიპასუხებთ: როცა „პერესტროიკა" დაიწყო, საკმაო განათლება მქონდა. სადოქტორო თითქმის მზად მქონდა, თუმცა როგორც კი ბიზნესს მივყავი ხელი, მივხვდი, რომ იქ მანამდე მიღებულ განათლებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მე რომ განათლებასა და აკადემიურ ეკონომიკურ ცოდნაზე დამყარებული ბიზნესი დამეწყო, დავიღუპებოდი. ბიზნესმენს უფრო სხვა მოცემულობა სჭირდება, თუმცა მენეჯერის შემთხვევაში განათლებას დიდი როლი ენიჭება. ანტრეპრენიორს განათლებაზე მეტად სხვა რამ სჭირდება – უპირველესად, ხედვა, უნდა ხედავდეს პერსპექტივას. განსაკუთრებით ისეთ სიტუაციაში, როცა მე დავიწყე ბიზნესი - როცა პრეცედენტები არ არსებობდა და ანალიზს ვერ გააკეთებდი. დაიმსხვრა უზარმაზარი იმპერია, ხდებოდა ქონების გადანაწილება, სირბილში იწერებოდა კანონები, არანაირი სტაბილურობა არ არსებობდა...

ასეთი ვითარება დღესაც ხშირად იქმნება. ამიტომაც მეწარმისთვის ზოგჯერ ცოდნა და წესების ბრმად მიყოლა შეიძლება დამღუპველიც კი აღმოჩნდეს. სერიოზულ წარმატებას თუ გინდა მიაღწიო, მხოლოდ ცოდნაზე დაფუძნებით ძალიან გაგიჭირდება. ცოდნამ შეიძლება ხელიც შეგიშალოს, რასაც მე ბევრჯერ გადავაწყდი: ადამიანები ცდილობენ მოირგონ წიგნებში ნანახი მოდელები და ფორმულები და არაფერი გამოსდით. ხშირად ტრადიციული ცოდნა სიახლის დანახვას ხელს უშლის.



ამიტომ არის, როცა ბრეინ შტორმინგებს ატარებენ, სხვა, ხშირად თემისგან სრულიად მოწყვეტილ ადამიანებს რთავენ პროცესში, რომ სხვა ფოკუსით, სხვა რაკურსიდან შეხედონ ვითარებას და ფასეულ იდეას მიაგნონ.

**— სპონტანური ხართ?**

— არა, მაგრამ ძალიან სწრაფად ვიღებ გადაწყვეტილებებს. სწრაფი აზროვნება მაქვს, თუმცა ანალიზის გარეშე არაფერს ვწყვეტ.

**— ალბათ, ძალიან ბევრ მოლაპარაკებაში მიგიღიათ მონაწილეობა. რა განწყობით და „შეიარაღებით" უჯდებით ხოლმე მოლაპარაკების მაგიდას?**

— სწორად ვხედავ მიზანს. მიზნის ჩამოყალიბების გარეშე საერთოდ არ უნდა წახვიდე არანაირ მოლაპარაკებაზე. თუ ეს არ იცი, არც შეცდომებისგან ხარ დაზღვეული. მთავარია, კარგად ხედავდე მიზანს და თან არა მარტო შენსას – მეორე მხარის მიზანსაც უნდა აცნობიერებდე, გრძნობდე, რა უნდა მას და ყოველთვის უნდა იყო განწყობილი ბალანსის მოსაძებნად.

**— როცა არც სრული ინფორმაცია გაქვთ, არც საკმარისი დრო და გადაწყვეტილებაც სწრაფად არის მისაღები, ასეთ დროს რას ეყრდნობით?**

— ალღოს, გამოცდილებას, ნიჭს... ვისაც ეს ყველაფერი კომპლექსში აქვს და შეუძლია სიტუაცია სწორად შეაფასოს დროის და ინფორმაციის სიმცირის მიუხედავად, ალბათ, ამით გამოირჩევა კიდევ ნაკლებად წარმატებულებისგან.

**— პლანეტის უმდიდრესი ადამიანი კარლოს სლიმ ელუ ამბობს, რომ უმჯობესია ადამიანს მისცე სამუშაო, ვიდრე დაეხმარო მას. თქვენ ბევრს ეხმარებით. თქვენი სოფლის ან რაიონის მაგალითზე რომ შევაფასოთ, რა მიეცით და რა წაართვით ამ ადამიანებს პერმანენტული დახმარებებით?**

— აპრიორი ვეთანხმები, რომ როცა შეგიძლია სამუშაო ადგილის შექმნა, ჯობია შექმნა და დაასაქმო, ვიდრე დაეხმარო. რაც შეეხება ჩემს შემთხვევას, ამ რაოდენობის სამუშაო ადგილის შექმნა რომ დამეწყო, გაცილებით ნაკლებ ადამიანს დავეხმარებოდი და ქვეყანასაც ნაკლებად წავადგებოდი.

საინვესტიციო ბანკის შექმნის იდეა იმიტომ მქონდა, რომ სწორედ ახალი ბიზნესების გაჩენის და დასაქმებისთვის შემეწყო ხელი. ცხადია, შეიძლებოდა კიდევ ერთი ან ორი მცირე საწარმო შემექმნა (კიდევ 200 კაცი დამესაქმებინაძ და ამაზე გადამეტანა მეტი დრო და ყურადღება, მაგრამ მაშინ იმ მასშტაბების ბიზნესის აწყობას ვერ შევძლებდი, რაც სოლიდური დახმარებების და ქველმოქმედების რესურსს მაძლევდა.

ესეც არ იყოს, რას ვაკეთებდი, რას იღებდა ხალხი ჩემგან? ელემენტარულს, სასიცოცხლო პირობების დასაკმაყოფილებელს, რაც არ ჰქონდათ. არავისთვის ფუფუნება არ შემიქმნია. თითოეულ მცხოვრებს (ჩემი სოფელი და საჩხერის რაიონიც რომ აიღოძ მიეცა მკურნალობის საშუალება, 7-8 ათას ოჯახს სახურავი გამოვუცვალე.

სახურავის გამოცვლა თუ კაცს გააფუჭებს, ეს უფრო მისი მენტალობის პრობლემაა და არა თავად დახმარების იდეის. არც ის მგონია, რომ თუ კაცს სახურავიდან წყალი ჩასდის, მას დიდი აღმშენებლობის უნარი ჰქონდეს. ამდენად, არ ვთვლი, რომ ვინმე გავაზარმაცე, თუ სახლი გადავუხურე ან 200-ლარიანი დახმარება მიიღო - ამით კაცს პერსპექტივას ვერ მოუკლავ.

**— ეს მიდგომა მარტო სოფელს ან რაიონს არ ეხება. ბევრი ქვეყნის შეგნებული არჩევანია, რომ სხვისი დახმარების ხარჯზე იცხოვროს. შეუძლია ასეთ ქვეყანას რაიმე ღირებულის შექმნა?**

— დახმარებას გააჩნია. დღევანდელ ისტორიაში, როცა დედამიწა დაპატარავდა, კატასტროფული სხვაობებია განვითარების და ცხოვრების დონეებს შორის. აფრიკას რომ უნდა დაეხმარო სწორი ტექნოლოგიებით, ასწავლო მოსავლის მოყვანა და სწორი წარმოება, რომ ადამიანები შიმშილით არ დაიხოცონ, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

მაგრამ ის, რომ დახმარების ფორმები ძალიან ხშირად მახინჯია და მთელი სახელმწიფოები, უფრო სწორად კი ამ სახელმწიფოთა მეთაურები ახერხებენ ამ დახმარებების მითვისებას და ვალები მოსახლეობის გასასტუმრებელი რჩება, ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზული პრობლემაა.

ხშირად არ ხდება შესატყვისი კონტროლი მათი მხრიდან, ვინც არიგებს ამ დახმარებას. ის ფორმალიზმი, რაც ამ კონტროლშია, არის აბსოლუტურად დამღუპველი და ასეთი დახმარებები არც არის სასურველი. დახმარებას თან თუ არ სდევს შესატყვისი კონტროლი, ჯობია საერთოდ არ იყოს.

**— რომელი კაპიტალიზმის მოდელი უფრო მისაღებია თქვენთვის - ამერიკული თუ, მაგალითად, სკანდინავიური?**

— ალბათ, რაღაც შუალედური მათ შორის. სკანდინავიური ზედმეტად სოციალურია, რაც მოსახლეობისთვის შეიძლება კარგია, მაგრამ ისიც ყველას გვახსოვს, მაგალითად, შვედეთიდან როგორ გარბოდა ბიზნესი მაღალი გადასახადების გამო. ასე რომ, ამ ყველაფერს კარგი ანალიზი სჭირდება. დღეს იმავე სკანდინავიაში სოციალური დაცვის სტანდარტი მაღალია, მაგრამ არც ეკონომიკის ზრდა ფერხდება. ლიბერალური ეკონომიკის და სოციალური სოლიდარობის თავსებადი მოდელის მოძებნა დღეს ბევრი ქვეყნის ყველაზე მთავარი გამოწვევაა.

**— კაპიტალიზმის კრიზისზე საუბარი უკვე ჩვეულებრივი ამბავია. უფრო რადიკალურ მსჯელობებში მისი შესაძლებლობების ამოწურვაზეც მიანიშნებენ. თქვენ რას ფიქრობთ?**

— დღეს რომ იყოს ცნობილი (თეორეტიკოსების დონეზე მაინც), რა უნდა იყოს შემდეგი ფორმაცია, ამაზე მსჯელობა უფრო საგნობრივი იქნებოდა, მაგრამ ასეთს ვერ ვხედავ. ვფიქრობ, დროთა განმავლობაში პიროვნულ დონეზე ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი მოიმატებს. თავისუფლების ხარისხიც გაიზრდება და მოსაძებნი იქნება ფორმა, რომ ეს ქაოსში არ გადაიზარდოს. მეტი ლიბერალიზმი და სოციალური სოლიდარობა მაინც დღის წესრიგის მთავარ საკითხებად დარჩება. სოციალურ ქსელებსაც რომ შეხედოთ, მიხვდებით, რომ ეს უპირატესი მნიშვნელობის საკითხებია.

**— კრიზისები გახშირდა, მათი სიმძიმეც იმატებს. რა არის ასეთ დროს საქართველოსნაირი ქვეყნის საშველი - როგორ უნდა გაუმკლავდეს ის კრიზისებს, რომლებზე რეაგირებაც ერთი ქვეყნის ძალებს აღემატება?**

— დამიჯერეთ, ყველა გლობალურ კრიზისშიც ძალიან ბევრია პიროვნული. ყველაფრის სათავე კი ადამიანის სიხარბეა. რა არის ბოლო კრიზისების საერთო ნიშანი? ის ეკონომიკური პოლიტიკა, როდესაც სახელმწიფოები ხარჯავენ იმას, რაც არ შეუქმნიათ. თავი და თავი ეს არის. იგივე ბერძნებს რა პრობლემა აქვთ? დახარჯეს ის, რაც არ ჰქონდათ (მხედველობაში მაქვს აურაცხელი სახელმწიფო კრედიტებიძ. დღეს კი გამოდიან კრიზისში ჩავარდნილი ადამიანები, ითხოვენ ძველებურად ცხოვრებას და ძნელია აუხსნა, რატომ აღარ გამოვა ძველებურად.

და როცა მსგავსი პრობლემა ბევრ ლოკალურ წერტილში შეიქმნა, ეს უკვე გლობალური თავის ტკივილია. და ჩვენი ერთ-ერთი პრობლემაც ის არის, რომ არანაირად არ გვაქვს მზაობა გლობალიზაციისთვის. რომ მას ანგარიში გავუწიოთ, მივიღოთ კარგი, განვვითარდეთ და არა პირიქით, დაგვასუსტოს მისმა გარემოებებმა.

ეს ძალიან რთული პროცესია. მით უფრო მაშინ, როცა ეკონომიკური სივრცე არ ყალიბდება კლასიკური ღია ბაზრის პრინციპებით და მონოპოლიებისა და კარტელების გზით ვითარდება. როცა ერთნი მაქსიმალურად ღარიბდებიან და სხვანი შემოსავალს იღებენ. და როცა საპროცესო შეთანხმებებით იკრიბება ფული და ისე ფინანსდება პენსიები.

**— როგორ ფიქრობთ, რა დრო სჭირდება რეფორმის განხორციელებას? სახელმწიფო მასშტაბის რეფორმას ვგულისხმობ.**

— პოლიტიკური რეფორმები ძალიან სწრაფად შეიძლება განხორციელდეს. დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისთვის 1-2 წელიც კი საკმარისია. რაც შეეხება ეკონომიკურ რეფორმას, ეს იქნება გაცილებით ხანგრძლივი და უფრო რთული. სწორ კანონებზე დაფუძნებული საინვესტიციო გარემოს შექმნა არ არის ხანგრძლივი პროცესი. მაგრამ ეს პროცესი რომ თითოეულმა მოსახლემ შეიგრძნოს (დაიწყოს სამუშაო ადგილების შექმნა, გამოჩნდეს გრძელვადიანი ეფექტიძ, ამას დასჭირდება უფრო მეტი დრო.

**— დამისახელეთ სამი დარგი, სადაც ინვესტიციებს დააბანდებდით.**

— პირველ რიგში, სოფლის მეურნეობა, რადგან ზედაპირზევე დევს. თუმცა, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას არანაკლებ ინვესტიციად მივიჩნევ, რაც ბიზნესს მისცემს საშუალებას, აალორძინოს ეკონომიკა. სახელმწიფო ამას ვერც გააკეთებს და არც აქვს ამის ვალდებულება. მისი საქმეა კანონების ჩამოყალიბება და სწორი კლიმატის შექმნა. ეს დააბრუნებს ქვეყნიდან გასულ ხალხს. მარტო რუსეთში ათასამდე ქართველი მოვთვალე, ვისაც 1 მილიონ დოლარზე მეტი აქვს. მცირე პოზიტიური საინვესტიციო სიგნალებიც საკმარისია, რომ ეს ხალხი და მათი ფული ამოძრავდეს ქართულ ბიზნესში.

რაც შეეხება კიდევ ორ სფეროს, სადაც ინვესტირებას გადაუდებელ აუცილებლობად მივიჩნევ, ეს მედიცინა და განათლებაა.

**— ცოტა ხნის წინ ამბობდით, რომ წიგნის დაწერას აპირებდით. თქვენი ცხოვრებისეული გეგმების შეცვლის გამო ეს იდეა ხომ არ დაივიწყეთ?**

— არა, ეს იდეა დავიწყებას არ მისცემია, მხოლოდ გადავადდა. ვფიქრობ, რომ ძალიან მარტივად და გასაგებად მაქვს დანახული, რა არის ყოფა და როგორია ადამიანი. რატომ არის ასეთი, რა ამოქმედებს, რა ამოძრავებს. ვფიქრობ, რომ მარტივად, მაგრამ რეალისტურად მაქვს ეს დანახული. კარგად მაქვს დასისტემებული და ნაჩვენები, ადამიანის მოქმედების სხვადასხვა ასპექტები. ამ წიგნს მოგვიანებით აუცილებლად დავუბრუნდები.

**— ბედნიერი თუ ხართ?**

— ამაზე ბევრი მიფიქრია (სეირნობა და ფიქრი ჩემი ჰობია, თუმცა სულ უფრო ნაკლები დრო მრჩება ბოლო დროს საამისოდძ და ისევ იმ აზრზე ვარ, რომ ცალკე აღებული ერთი ადამიანი ვერ იქნება ბედნიერი და წარმატებული, თუ წარმატებული არ არის მისი მეზობელი, ერი, ქვეყანა. სწორედ ამ საზოგადო ბედნიერების დეფიციტმა გადამადგმევინა ის ნაბიჯი, როცა 56 წლის კაცი წარმატებული ბიზნესიდან პოლიტიკაში წავედი.

**რევაზ საყევარიშვილი**

◉ ფასიანი ქაღალდების ბაზარი

# ამჯერად ათწლიანი ვადით

**კაპიტალის განთავსების მსოფლიოში რამდენიმე აპრობირებული მეთოდი არსებობს, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ ძვირფასი ლითონების (ოქროს, პლატინის, ვერცხლის), უძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდების შეძენა და სხვ. ამჯერად ლაპარაკია სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე, რომლებიც, უმეტესწილად, მაღალი ლიკვიდურობით ხასიათდება და რომელთა ფლობა მინიმალურ რისკებთანაა დაკავშირებული.**

როგორც ცნობილია, საქართველომ შარშან ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორე ტირაჟი გამოუშვა (ე.წ.ევრობონდებიძ, რომლებიც ლონდონის ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე განთავსდა. ეს ფასიანი ქაღალდები უცხოური კაპიტალის მფლობელობაშია. ახლახან კი, პირველად ქვეყნის ისტორიაში, მთავრობამ ათწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდები გამოუშვა, რომლებიც, ევრობონდებისგან განსხვავებით, რომელთა ნომინალი დოლარითაა განსაზღვრული, ლარითაა ნომინირებული და, ამდენად, უფრო შიდა ბაზარზეა ორიენტირებული. მანამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ერთწლიან, ორწლიან და ხუთწლიან ფასიან ქაღალდებს უშვებდა, ახლა ჯერი ათწლიან სახაზინო ვალდებულებებზე მიდგა. მთლიანად 12-პროცენტიანი განაკვეთით 10 მილიონი ლარის ღირებულების ათწლიანი ფასიანი ქაღალდი გამოუშვეს და ეს ტრანფაქცია, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის შეფასებით, მეტად წარმატებული ფინანსური ოპერაცია იყო, რასაც ათწლიან სახაზინო ვალდებულებებზე მოთხოვნა მოწმობს, რომელიც მიწოდებას სამჯერ ჭარბობდა.

ფინანსთა სამინისტროს მიერ ცოტა ხნის წინათ გამართულ სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე ხუთი მილიონი ლარის ნომინალური ღირებულების ათწლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდი გაიყიდა. აღსანიშნავია, რომ სააუქციონო ვაჭრობაში ექვსმა კომერციულმა ბანკმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა ერთობლივმა მოთხოვნამ 13,7 მილიონი ლარი შეადგინა. აუქციონზე მინიმალურმა საპროცენტო განაკვეთმა 12,2, მაქსიმალურმა 12,41, ხოლო კუპონურმა 12,3 პროცენტი შეადგინა. კუპონის გადახდა წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ მოხდება.

> **◉ ინფორმაცია თემაში**
>
> **სახაზინო ვალდებულება – ესაა ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული დისკონტური ფასიანი ქაღალდი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი „დისკონტით“, ანუ ნომინალზე დაბალ ფასად იყიდება. დისკონტის სიდიდე ვაჭრობისას, ანუ აუქციონზე დგინდება.**

ფინანსთა სამინისტროში აღნიშნავენ, რომ სახაზინო ვალდებულებათა ბაზრის განვითარება მოღვაწეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ბანკისთვის ფულად-საკრედიტო ოპერაციების შედეგიანად განხორციელებისთვის.

სახაზინო ვალდებულების მფლობელს, ვალის დაფარვის ვადის დადგომისას, ფინანსთა სამინისტროს ხაზინა ნომინალის ტოლ თანხას უხდის, ხოლო სხვაობა ნომინალსა და შესყიდვის ფასს შორის მისი მფლობელის შემოსავალს წარმოადგენს.

სახაზინო ვალდებულებებს, ჩვეულებრივ, ეროვნული ვალუტით, არამატერიალიზებული ფორმით უშვებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ქაღალდის ვალდებულების ფორმა კი არა აქვთ, არამედ ისინი ბანკებში ელექტრონული ჩანაწერების სახით ინახება. მათ აუქციონებზე ყიდიან, რომლებსაც საქართველოს ეროვნული ბანკი საკუთარი საბაზრო ოპერაციების ჯგუფის მეშვეობით მართავს.

აქვე ვიტყვით, რომ ღია ბაზრის ოპერაციები ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომლის საშუალებით, არაპირდაპირი გზით, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით, ბანკების მოკლევადიანი სესხების განაკვეთებზე ზეგავლენა ხორციელდება. ამ ოპერაციებისთვის ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, მთავრობის სახაზინო ვალდებულებებსა და სახაზინო ობლიგაციებს იყენებენ. ოპერაციების, კერძოდ, ფასიანი ქაღალდების გამოშვება-გაყიდვის მთავარი მიზანია საბანკო სისტემაში მიმოქცევიდან საშუალოვადიანი ჭარბი ლიკვიდური სახსრების მიმოქცევიდან ამოღება. ამდენად სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისია ინფლაციის გზაზე კიდევ ერთ ბარიერს ქმნის.

უნდა ითქვას, რომ კომერციული ბანკების გარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების მფლობელობა ნებისმიერ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს შეუძლია. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ, განვითარებული ფინანსური ბაზრის პირობებში, რასაც ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მომძლავრება, საგრძნობლად იზრდება როგორც ერთიანად ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, ისე მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა.



**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ინფორმაცია

### გამოცდებზე დარეგისტრირების პროცესი დასრულდა

**მასწავლებელთა** სასერტიფიკატო, ერთიან ეროვნულ, საატესტატო და სამაგისტრო გამოცდებზე ონლაინ რეგისტრაციის პროცესი დასრულდა. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდებზე 41 000 მსურველი დარეგისტრირდა, ორჯერ მეტი ვიდრე გასულ წელს.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 37 000 აბიტურიენტი დარეგისტრირდა, საატესტატო გამოცდებს 42 590 მეთორმეტეკლასელი ჩააბარებს, საერთო სამაგისტრო გამოცდებზე რეგისტრაცია 7564 მსურველმა გაიარა.

განათლების სამინისტროს განცხადებით, 2012 წელს პირველად, მასწავლებელთა სასერტიფიკატო, ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე რეგისტრაცია აპლიკანტებმა მხოლოდ ინტერნეტით, სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე www.naec.ge. online.naec.ge გაიარეს. სამინისტროს წარმომადგენელთა ინფორმაციით, ონლაინ რეგისტრაციამ ხარვეზების გარეშე ჩაიარა.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 2012 წელს სიახლეები რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება: მეორადი ჩარიცხვები გაუქმდა და შვიდის ნაცვლად, აბიტურიენტებმა თავიდანვე ოცი სასურველი ფაკულტეტი აირჩიეს; მეოთხე საგნად უმაღლესმა სასწავლებლებმა მხოლოდ მაპროფილებელი საგნები აირჩიეს; სამედიცინო და იურიდიულ ფაკულტეტებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაიზარდა.

### თურქული საწარმო საქართველოში ტექსტილის წარმოებას ხსნის

კიდევ ერთი თურქული საწარმო საქართველოში ტექსტილის წარმოებას ხსნის. ამ გადაწყვეტილების შესახებ ცნობილი ვერა ქობალიას თურქეთის ექსპორტიორთა ასამბლეის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გახდა, რომელიც რამდენიმე დღის წინ გაიმართა. თურქი ბიზნესმენი უახლოეს პერიოდში გეგმავს საქართველოში ჩამოსვლას. მისი წარმოების გახსნით კი რამდენიმე ათეული ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

ტექსტილი, ტურიზმი, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა და მძიმე მრეწველობა — ეს არის მცირე ჩამონათვალი იმ სექტორებისა, რომელთა მიმართაც თურქეთის ექსპორტიორებს ჰქონდათ ინტერესი. მათ შეკითხვებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი პასუხობდა, რომელიც თურქეთში სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

თურქეთი, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველა სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, აქტიურად ეძებს პარტნიორებს მეზობელ სახელმწიფოებში ინვესტიციების დასაბანდებლად. საქართველო ამ კუთხით ძალიან მიმზიდველია — ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა ბიზნესის დაწყებისა და განვითარების სიმარტივით, აქვს ხელსაყრელი სავაჭრო შეთანახმებები მსოფლიოს ეკონომიკურად წამყვან სახელმწიფოებთან. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ საქართველოში არის კვალიფიციური მუშახელი, მარტივი საგადასახადო სისტემა და დაბალი ტარიფი ელექტროენერგიაზე.

**ინტერპრესი**

◉ შეშფოთება, ანუ ჭირი მონიშნული ჯობს

# ემანდ სისხლიანი შემოდგომა არ დაგვიდგეს!..

**უმალვე „ავტოშეჩვენებას“ მივმართავ – ძირძიტა ჩემს ენას! ოღონდ მე „ვითარსები“ თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს – დასავლეთ საქართველოდან ხომ უკვე მოდის ცუდი ამბები ზონდერბრიგადების შექმნა-ჩამოყალიბების თაობაზე, ასახელებენ სამეგრელოს, ქუთაისს, ბათუმს, სხვა გეოგრაფიულ პუნქტებსაც, იქ აღმოცენებულ საბრძოლო რაზმებს, ზოგ შემთხვევაში რაზმების პირად შემადგენლობასაც კი! შეიარაღების სახეობებსაც, რა თქმა უნდა...**

**მკითხველის ყურადღებას იმ განცხადებებსაც მივაპყრობ, ამგვარი ცნობების, შემაშფოთებელი ინფორმაციის საპასუხოდ რომ აკეთებენ დიდმოხელენი სამინისტროებიდან, პარლამენტიდან, სხვა სახელისუფლებო ორგანოებიდან: თქვენც შენიშნავდით, რაოდენ არადამაჯერებელია, დემაგოგიურია, „დაბოლვითი“ ხასიათისაა ეს „დასავლეთსაქართველოური“ პროცესების გამამართლებელი გამოსვლები: დაჯგუფებები თურმე ნებაყოფლობითია, მოხალისეებისგან შედგება, იარაღით არავინ არ დადის, ხელფასს არავის არ აძლევენ... იმათი დანიშნულება ოდენ გარედან მომხდურთა დახვედრაა, სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლაა, საგანგებო ვითარებაში მოქმედებაა...**

**კი მაგრამ, თქვე პრეზიდენტდალოცვილებო, გარე საფრთხე წინა წლებში არ არსებობდა, სტიქიური უბედურებები უწინ არ ხდებოდა, საგანგებო ვითარება აქამდე არ იქმნებოდა? რაღა მაინცდამაინც არჩევნების წელს გაგახსენდათ და მოიწადინეთ ამ „მოხალისური“, შეიარაღებული, აუნაზღაურებადი ფორმირებების ორგანიზება? და ზედაც, გეგმიური სისტემატური მუშტრირება?..**

**კი, შემოჰკრა, დაარისხა ზოგიერთმა პოლიტიკოსმა შეშფოთების, აღშფოთების, „აზუგდიდებისა“ თუ „აფოთების“ ზარები, მაგრამ რა მერე? სამთავრობო დონიდან გამოცხადებული „მობილიზაცია“ თურმე გრძელდება, უთუოდ აღმოსავლეთ საქართველოსაც მოედება; თანაც სახელისუფლებო კი არა, ეგებ უფრო მაღალი, საპრეზიდენტო დონისაც იყოს – რა, სულ პრეზიდენტის ინიციატივა რომ გაისმის, ნიადაგ ინიციატივებზე მოფიქრალ, დაგეშილ, ინიციატივებში დახელოვნებულ-გაწაფულ „მალალოს“ ამგვარი წინასაარჩევნო ზომების მიღება გაუჭირდებოდა? ფული ყოვლისშემძლეა, ყოვლისშემცდენია, ამ ქვეყნად ყველაზე მეტი მაცდუნებელია; ძალაუფლება კი საწამლავია, არგასაშვებია და სწორედ იმისი არ გაშვებისათვის ყველაფერზე წამსვლელია, ეს ნაცური რეჟიმი ყველაფრის მკისრებელია და სახელდობრ საშემოდგომო სისხლისაც... აკი დაიქადა შარშანდელ ნაოცდაექვსმაისზე უგრძესმა და უმაღლესმა პირმა – თუ დამჭირდება, უარესს ვიქმო; აკი გამოუშვა თვისებრივად ახალი სიგნალი – დასავლეთს, ევროპაა თუ ამერიკა, ჩვენს საქმეებს ვინ ეკითხება, საერთაშორისო აზრი ხეზე დაიკიდეთო (და ხეების ჭრა-ჩეხვა თუ ასე „ნაჯახმარჯვედ“ გაგრძელდა, ეს დასაკიდებელიც აღარ დარჩებაძ... ფული ყოვლისშემძლეა-მეთქი და ყოველთვის გამოჩნდებიან მოძმეთა სისხლის არადჩამგდები არამზადები, ხომ კიდევაც გამოჩნდნენ იმ 7 ნოემბერს, იმ 15 ოქტომბერს, იმ 26 მაისს. მომავალი არჩევნებისას შემოდგომაზე რა დაუშლით... კორუფციადამარცხებულ ქვეყანაში სპეცმიზნებისათვის სპეცრაზმებს ქრთამის გაცემით ამზადებენ!..**

**რამე უნდა ვიღონოთ ამჟამინდელი გაცხოველებული ზონდერბრიგადული მოძრაობის წინააღმდეგ, მაგრამ მე არ ვიცი, რა არის ეგ „რამე“; ის კი ვიცი, რომ საერთაშორისო წრეების იმედად არ უნდა ვიყოთ, გამოვცადეთ არაერთგზის ეგ წრეები საქმეში, „ვიცით, ვიცით, ვინც ბრძანდება, გაიძვერა მელია“... რა, ეგ ზონდერბრიგადული მოძრაობა ახლა „საერთაშორისო დამკვირვებელთა“ თვალწინაც არ ხდება? ილებენ ხმას? და თუ ილებენ, მხოლოდ საქებსადიდებლად საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესებისა, წარმატებული რეფორმებისა, ეკონომიკის წინსვლაგანვითარებისა, ტურიზმის აყვავებისა, ინვესტიციების ჩადების სიადვილისა, გამარტივებული ჩასვლა-წამოსვლისა, სამაგალითო პრეზიდენტისა...**

**წინ კი შემოდგომაა, წინ კი საშემოდგომო არჩევნებია, რასაც თურმე ხელისუფლება во все оружии ხვდება... ვაითუ ეგ შემოდგომა სისხლით შემოდგეს, ნაცთაგან ხომ ყველაფერი მოსალოდნელია... კი, წიწილებს ითვლიან შემოდგომაზე, მაგრამ ვაითუ დაჭრილ-დახოცილებიც დასათვლელი შეგვექნეს... ღმერთმა ნუ ქნას და კიდევ ერთხელ, „ავტოდამუნათებით“, ძირძიტა ჩემს ენას...**

**ბერდია ბედოიძე**

> **P. S. მიხეილ-ბატონო, ამ ქვეყნის პატრონო, გამოიჩინე, კიდევ ერთი ინიციატივა და გაეცი განკარგულება, რომ არამცთუ გაჩაღებული ზონდერბრიგადული კამპანია შეჩერდეს, არამედ უკვე შექმნილი რაზმები დაიშალოს. საქვეყნო-სასარგებლო საქმეს გააკეთებ, ზედაც ხაზინის ფულებს დაზოგავ... ჰქმენი ასე, ლაზიკასა და აშშ-ში ნაჩუქარ ქურთუკს გაფიცებ!..**
>
> **ბ. ბ.**

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულების და სებ-ის პრეზიდენტის 2012 წლის 27 თებერვლის №9 განკარგულებისა, 2012 წლის 10 აპრილს, დღის 12 საათზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში (ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი №208ძ ჩატარდება საჯარო აუქციონი, საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:**

ცხრილი №1

| № | ავტომანქანის დასახელება | საწყისი ფასი (ლარებში) |
|---|---|---|
| 1 | მერსედეს ბენცი E280, სახ. ნომერი AKA 678, გამოშვების წელი 1998 | 6,300.00 |
| 2 | მერსედეს ბენცი E240, სახ. ნომერი AKA 655, გამოშვების წელი 1999 | 6,300.00 |
| 3 | მერსედეს ბენცი E230, სახ. ნომერი VIP 651, გამოშვების წელი 1997 | 6,300.00 |
| 4 | მერსედეს ბენცი VITO 112, სახ. ნომერი SIO 491, გამოშვების წელი 2004 | 14,850.00 |
| 5 | მერსედეს ბენცი 308D, სახ. ნომერი SIO 489, გამოშვების წელი 2003 | 14,400.00 |
| 6 | მერსედეს ბენცი E200, სახ. ნომერი CEC 339, გამოშვების წელი1993 | 3,600.00 |
| 7 | მერსედეს ბენცი E200, სახ. ნომერი WBW 921, გამოშვების წელი 1995 | 4,050.00 |
| 8 | ფორდ-[illegible], სახ. ნომერი ABJ-248, გამოშვების წელი 1993 | 2,250.00 |
| 9 | [illegible] ([illegible]),სახ. ნომერი VIV-633, გამოშვების წელი 1999 | 24,300.00 |
| 10 | [illegible], სახ. ნომერი VIV-626, გამოშვების წელი 1999 | 13,500.00 |
| 11 | მერსედეს ბენცი 709, ([illegible]) სახ. ნომერი LIL-803, გამოშვების წელი 1995 | 9,900.00 |
| 12 | მერსედეს ბენცი E320, სახ. ნომერი QXQ-303, გამოშვების წელი 1998 | 7,650.00 |

ლოტების საწყისი სააუქციონო ფასი განსაზღვრულია №1 ცხრილში მითითებული ფასების მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს (პირმა, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა ქონების რამდენიმე ობიექტით ვაჭრობაში, უნდა გადაიხადოს ბე ცალ-ცალკე ყველა ობიექტისათვისძ, რომელიც ჩარიცხული/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის №117904101 ანგარიშზე (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT“ კოდი: BNLNGE22ძ. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებძ „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. აუქციონზე უმცირესი ბიჯი შეადგენს 100 ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან ხუთ სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს, ნაღდი ფულით ან გადარიცხვით. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

პირს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. აუქციონის შემდეგ გაყიდული ქონების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ მათი მყიდველისგან პრეტენზია არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ თამარ რუსეიშვილს (ტელ: 240-64-97, მობ: 599 57-45-64, მის: ქ. თბილისი, ლეონიძის 3/5, ოთახი №312ძ ელ. ფოსტა truseishvili@nbg.gov.ge, ავტომობილების სანახავად მიმართეთ: ბექა ბარბაქაძე (ტელ: 240-63-97, მობ: 577 98-40-34ძ, ალექსანდრე კირვალიძე (ტელ: 240-63-99, მობ: 577 33-10-07ძ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი №119.

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია**

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულების და სებ-ის პრეზიდენტის 2012 წლის 23 თებერვლის №8 განკარგულებისა, 2012 წლის 10 აპრილს, დღის 1 საათზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში (ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი №208ძ ჩატარდება საჯარო აუქციონი, საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, კერძოდ: ქ. ბათუმში, მ. აბაშიძის ქ. №27-ში მდებარე სასტუმროს ტიპის ფართის 156,1 კვ.მ. (გაწყობილი ავეჯით, ინვენტარით და ელექტროტექნიკითძ და მანსარდა ფართით 48 კვ.მ.**

უძრავი ქონების საწყისი სააუქციონო ფასი განისაზღვრა 300 000 (სამასი ათასიძ ლარის ოდენობით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის №117904101 ანგარიშზე (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT“ კოდი: BNLNGE22ძ. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებძ, „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. უმცირესი „ბიჯი“ შეადგენს 10 000 ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან ხუთ სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს, ნაღდი ფულით ან გადარიცხვით. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

პირს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ თამარ რუსეიშვილს, (ტელ: 2 40-64-97, მობ: 599 57-45-64, მის: ქ. თბილისი, ლეონიძის 3/5, ოთახი №310ძ ელ. ფოსტა truseishvili@nbg.gov.ge, უძრავი ქონების სანახავად მიმართეთ ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34ძ.

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია**

რას წერენ ჩვენზე

# საქართველო აშშ-ის სამხედრო წვრთნებზე დასასწრებად ირანს იწვევს

**მის ხილვას, ოფიციალური სტუმრის რანგში, აშშ-საქართველოს ერთობლივ სამხედრო წვრთნებზე, ალბათ, ყველაზე ნაკლებად მოელოდნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის იქ იყო. 20 მარტს, იმ დღეს, დიპლომატებსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ოფიცრებს შორის, ვინც აშშ-ის საზღვაო ქვეითებისა და ქართული ჯარის ერთობლივ წვრთნებს ადევნებდა თვალყურს, თბილისში ირანის საელჩოს ერთ-ერთი სამხედრო ატაშეც იყო.**

2012 წლის ყოველწლიური წვრთნების სტუმართა სია (Agile Spirit-ისა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის გამოცდა იყო – და მართლაც ქართველები ხომ ცნობილი არიან თავიანთი სტუმართმოყვარეობით უცხოელთა მიმართ. ქვეყნის „ღია კარის პოლიტიკა" ირანთან ასევე კარგადაა ცნობილი.

მაგრამ კარგად არის ცნობილი ის ფაქტიც, რომ საქართველოს სურს, ვაშინგტონს ასიამოვნოს. აშშ კი დიდი ხანია ამტკიცებს, რომ ირანი აქტიურად მუშაობს ავღანეთში ნატოს ოპერაციების საბოტირებისთვის. თეირანი ამ ბრალდებას უარყოფს. 17 მარტს, გენერალმა მასუდ ჯაზაიერიმ, ირანის გაერთიანებული შტაბის მეთაურის მოადგილემ ავღანელებს მოუწოდა „წინააღმდეგობის ჯგუფები" შექმნან და „ამერიკის ინტერესებს დაარტყან", იუწყებოდა Associated Press-ი.

ჰოდა ასეთ ფონზე, თქვენ შეიძლება გეფიქრათ, რომ აშშ-საქართველოს სამხედრო წვრთნებზე, რომლებიც ავღანეთისთვისაა გამიზნული, ირანელი სამხედროს დასწრება უხერხულ სიტუაციას შექმნიდა. მაგრამ აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა, რომელიც ესწრებოდა წვრთნებს, უარი უთხრა EurasiaNet.org-ს იმის კომენტირებაზე, მისცა თუ არა შეშფოთების მიზეზი სტუმართა ნუსხაში ირანელი ატაშეს შეყვანამ. რადგან თბილისში არსებობს თეირანის მიერ აკრედიტებული დელეგაცია, ირანის შეყვანა სტუმართა სიაში „დიპლომატიური პროტოკოლის სტანდარტია", – განაცხადა მან.

მაგრამ ქართული სუფრის პროტოკოლით, ყველაფერი საპატიო სტუმრის სიამოვნებისთვის უნდა კეთდებოდეს (ამ შემთხვევაში ასეთი სტუმარი აშშ არისძ; შეიძლება რომ ამ წარმოდგენის მაყურებელთა რიგებში ირანის ჩართვა წინასწარგანზრახული ტაქტიკა ყოფილიყო?

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურმა გაიმეორა, რომ ირანის საელჩოს მოწვევა სამხედრო წვრთნაზე დასასწრებად სტანდრატული პროცედურა იყო, ამიტომ არ შეუძლია იმის თქმა, იყო თუ არა ეს საკითხი დებატების საგანი.



რაც შეეხება ირანის ატაშეს, მან, როგორც ჩანს, დრო კარგად გამოიყენა. მისი იმ კოლეგებისგან განსხვავებით, რომლებიც ნატოს წევრი ქვეყნებიდან იყვნენ, ფაუერ ფოინთში მომზადებული 8-წუთიანი პრეზენტაციის დროს, რომელიც სამხედრო ტრანსპორტის ვიდეოკადრებსაც შეიცავდა, ის გაცხარებით ინიშნავდა რაღაცას – რამაც გაართო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთი ჩინოვნიკი. წვრთნის ცოცხალი ეპიზოდები ამბოხისა და ტერორისტების შეპყრობის მეთოდებს წარმოადგენდა.

ქართული ჯარი ძირითადად ავღანეთის სამხრეთ პროვინციაში, ჰელმანდშია დისლოცირებული, ირანელებს კი ბრალს იმაში სდებენ, რომ მეამბოხე თალიბებს უჭერს აქ მხარს. თბილისმა ავღანეთის ნატოს საერთაშორისო მისიაში 1,685 სამხედროს გაგზავნის ვალდებულება იკისრა და მალე ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის მისი მისია ყველაზე დიდი იქნება.

თბილისში აშშ-ის საელჩოს ცნობით, ავღანეთისთვის სამხედრო წვრთნებში ხარჯის უდიდეს ნაწილს პენტაგონი იხდის. 2012 წელს 414,4 მილიონი დაიხარჯება საქართველოს ტერიტორიაზე მათ წვრთნაში და 41.9 მილიონი ქართველი სამხედროების მოსამზადებლად ამერიკულ სამხედრო აკადემიებში.

EURASIANET

# სამხრეთ ოსეთში კვლავ კრემლის კანდიდატი „გააგრიალეს"

**სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტის განმეორებითმა არჩევნებმა სენსაცია გამოიწვია. პოლიტოლოგების პროგნოზების საწინააღმდეგოდ, პირველ ადგილზე გავიდა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ლეონიდ თიბილოვი.**

კენჭისყრამდე რამდენიმე ხნით ადრე, ერთი სოციალური გამოკითხვით, ლიდერობდა სამხრეთი ოსეთის ელჩი რუსეთის ფედერაციაში დიმიტრი მედოევი, სხვა გამოკითხვით – ადამიანის უფლებათა სრულუფლებიანი წარმომადგენელი დავით სანაკოევი. მაგრამ სანაკოევმა დაიკავა მეორე, მედოევმა კი მესამე ადგილი. ჩვენი გაზეთის მიმომხილველის აზრით, თიბილოვი წარმატებებს უნდა უმადლოდეს მხარდაჭერას ოპოზიციიდან, რომელიც ადრე თავს იყრიდა ალა ჯიოევას გარშემო.

კვირას, უკვე საღამოს, როდესაც დაიხურა საარჩევნო უბნები და კანდიდატების შტაბებში მეთვალყურეებიდან დაიწყო შემოსვლა დათვლილი ხმების პირველმა შედეგებმა, ცხადი გახადა, რომ ლეონიდ თიბილოვი მტკიცედ ლიდერობდა. მაგრამ წინ კვლავ მეორე ტურია. ინტრიგა იყო მხოლოდ ის თუ, კერძოდ, ვინ გავიდოდა მეორე ტურში – მედოევი თუ სანაკოევი. კომუნისტების ლიდერის სტანისლავ კოჩიევის შტაბში სევდა სუფევდა: მისი მომხრეებისთვისაც გასაგები იყო, რომ კანდიდატს, რომელიც უკანასკნელ პერიოდში სერიოზულ პრობლემებს განიცდიდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, წარმატებისას დიდი იმედი არ უნდა ჰქონოდა.

დიმიტრი მედოევი თავისი მომხრეებით პირველ შედეგებს ელოდებოდა რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ჰოლში: მათ იქ იჯარით აიღეს შენობა შტაბისთვის. ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ სწორედ ბატონ მედოევზე ჩავიდნენ ფსონს სამხრეთი ოსეთის კურატორები რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. ჩემი აზრით, დიპლომატის მთავარი შეცდომა იყო ის, რომ იგი არა თუ აქტიურად უარყოფდა ამ ხმებს, არამედ ამაყობდა კიდეც „კრემლის კანდიდატის" წოდებით, მაგრამ სამხრეთ ოსეთი ნოემბრის მოვლენების შემდეგ ძლიერ შეიცვალა. მოსკოვის მიერ დაშვებული შეცდომების შედეგად ოსთა ტრადიციული ლოიალობა სერიოზულ გამოცდებს გადაეყარა. ამ სიტუაციაში კანდიდატს არ უნდა გაეკეთებინა თავისი მოსკოვური კავშირების აფიშირება და არ უნდა დაეშვა, რომ მის დამუშავებას აწარმოებდნენ ინტერნეტ-რესურსები, რომლებიც შექმნილი იყო პრემიერ ბროვცევისთვის.

უკვე იმ გაცხოველების მიხედვით, რაც ლეონიდ თიბილოვის შტაბში სუფევდა, გასაგები იყო, თუ ვინ გაიმარჯვებდა. მოდიოდა სულ ახალი და ახალი მანქანები, ხალხი ირეოდა დერეფნებში, დარბოდა კიბეებზე, სადღაც რეკავდა, იწერდა შემოსულ მონაცემებს. „ჩვენ კვლავ ვიმარჯვებთ!" – ამბობდა როდიონ სიუკაევი, რომელიც ადრე ალა ჯიოევას ნდობით აღჭურვილი პირი იყო. თიბილოვთან შენიშნავდით სხვა ოპოზიციონერებსაც, მათ შორის ძამბულატ თედეევთან დაახლოებულ ადამიანებსაც. მართალია, ბატონი თედეევი არ აკეთებდა არანაირ ოფიციალურ განცხადებას, აქ ყველასთვის ცნობილია, რომ ის ამ არჩევნებში მხარს ლეონიდ თიბილოვს უჭერდა. ამტკიცებენ, რომ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელს მხარს უჭერდა ასევე მოსკოველი მეწარმე ალბერტ ჯუსოევი. ხმებს ბიზნესმენ გოჩა ძასოხოვის მხრიდან მხარდაჭერის შესახებ თავად ბატონი თიბილოვი უარყოფს. ჩვენი გაზეთის მომიმხილველთან საუბარში მან განაცხადა: „მე გოჩა ძასოხოვი 12-13 წლის წინათ ვნახე. ჩემ ხალხსაც მასთან კონტაქტები არ ჰქონიათ. ასე რომ, ყველაფერი აბსოლუტური სისულელეა. მე ნებას არ მივცემ ჩემს თავს, რომ ჩემთან იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ხალხისთვის მიუღებელია. ჩვენი საზოგადოება კი ხალხს საქართველოდან სავსებით პოზიტიურად როდი უყურებს".

ორშაბათს დაახლოებით დილის ათ საათზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბელა პლიევამ გამოაცხადა წინასწარი შედეგები: თიბილოვს აქვს ხმების 42,48 პროცენტი, მედოევმა და სანაკოევმა დააგროვეს შესაბამისად 24,3 და 42,8 პროცენტები, სტანისლავ კოჩიევმა – 5,3 პროცენტი. ყველას წინააღმდეგი იყო 0,8 პროცენტი. ამრიგად, მეორე ტურში გადიან თიბილოვი და სანაკოევი. თიბილოვის შტაბის მონაცემები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდება. მთელი საკითხი არის ის, შეურიგდება თუ არა დამარცხებას მედოევი, რომლის ქულებიც სანაკოევისაგან მინიმალურად განსხვავდება. თიბილოვის შტაბში აცხადებდნენ იმ ამომრჩეველთა მასობრივი მოსყიდვის შესახებ, რომლებიც მოჰყავდათ ვლადიკავკაზიდან ხმების მისაცემად სოფელ რუკში. თითქოს ისინი მოისყიდეს დავით სანაკოევის სასარგებლოდ. მაგრამ თიბილოვის მომხრეები საჩივარს არ შეიტანენ, ვინაიდან შედეგები მათ ხელს აძლევს.

სხვათა შორის, ძნელია იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ რა მოხდება მეორე ტურში. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა ბატონი სანაკოევი, დაარწმუნოს ელჩი და კომუნისტების ლიდერი „გადასცენ" მათ თავიანთი ელექტორატი. თუ სამივე გაერთიანდება ბატონი თიბილოვის წინააღმდეგ, იგი წააგებს. პრობლემა არის ის, რომ ზოგიერთს დავით სანაკოევი მიაჩნია ედუარდ კოკოითის გუნდიდან. და ეშინიათ, რომ ასეთი ცბიერულად აგებული მრავალსვლიანი კომბინაციით ექსპრეზიდენტი დაბრუნდება ხელისუფლებაში.

არჩევნების წინ დავით სანაკოევმა ჩვენს გაზეთს მისცა ექსკლუზიური ინტერვიუ.

*– რატომ გადაწყვიტეთ წასულიყავით არჩევნებზე?*

– მე დიდხანს ვლებულობდი ამ გადაწყვეტილებას. ეს ხომ მეტად საპასუხისმგებლო ნაბიჯია. ამიტომ მე რეგისტრაცია გავიარე ერთ-ერთმა უკანასკნელმა.

*– როგორ ეპყრობით პირადად თქვენ იმ მოვლენებს, რომლებიც ნოემბერში მოხდა და იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტის არჩევნები მაინც უკვე გაიმართა?*

– ეს მოვლენები მეტად ნეგატიურად აისახა სამხრეთ ოსეთზე, ჩვენს საზოგადოებაზე. საზოგადოება ფაქტობრივად გაითიშა. ეჭვს გარეშეა, ალა ალექსის ასულმა მოაგროვა ხმების ყველაზე მეტი ოდენობა, მაგრამ უმაღლესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არჩევნები არ გამართულა. შემდეგ პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება არჩევნების გამართვის შესახებ 25 მარტს. საკითხი შეეხება იმას, თუ რამდენად აღიქვა ხალხმა სასამართლოს და პარლამენტის გადაწყვეტილება. მე ზუსტად ვიცი ერთი რამ: ჩვენი ხალხი არის ბრძენი, მას შესანიშნავად ესმის, რომ იმისთვის, რომ ყველაფერი შეიცვალოს უკეთესობისკენ, აუცილებელია ამ არჩევნების გამართვა. უნდა ავირჩიოთ პრეზიდენტი და გავაგრძელოთ ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობა.

*– თუ შეინიშნება ამ არჩევნებში ზემოქმედება მოსკოვის მხრიდან?*

– მე ვერანაირ ზეგავლენას ვერ ვგრძნობ. ჩვენ ვხვდებით ხალხს, ვუხსნით მას თუ რა და როგორ გვინდა გავაკეთოთ, ვეუბნებით, რომ აუცილებელია კვლავ გავერთიანდეთ, რათა ავაშენოთ მყარი სახელმწიფო. ოთხმოცდაათიან წლებში, საქართველოს აგრესიის დროს, ხალხმა ლამის ჯოხებით ხელში მოიგერია მტერი, მაშინ საერთო უბედურებამ ყველა გააერთიანა. ეს იყო სულიერი ძალა, რომელმაც გააერთიანა ხალხი.

*– არის აზრი, რომ ყველა ამჟამინდელი კანდიდატიდან სწორედ თქვენ ხართ ყველაზე ახლოს ექსპრეზიდენტ კოკოითის გუნდთან. რამდენად სწორია ეს?*

– რომელი კანდიდატი არ მუშაობდა მასთან? მე ვმუშაობდი მასთან, არ უარვყოფ, მაგრამ სტანისლავ იაკოზის ძეც მუშაობდა, დიმიტრი ნიკოლოზის ძეც, ლეონიდ ხარიტონის ძეც. როგორც ის ხალხი ამბობს, ვისაც ახსოვს თუ ედუარდ კოკოითი როგორ ეხვეოდა ნოემბრის არჩევნების წინ ანატოლი ბიბილოვს, რის შემდეგაც ანატოლი ილიას ძემ წააგო არჩევნები. ასე ლაპარაკობენ ჩემი არაკეთილმოსურნეები, რომლებსაც არ სურთ, რომ მე გავხდე პრეზიდენტი. უბრალოდ რომ შეხედო ჩვენს შტაბს, შეიძლება მიხვდე, რომ ჩვენ უფრო ცოტა ფული გვაქვს, ვიდრე ზოგიერთ სხვა კანდიდატს. ის, ვისაც სურს გახდეს პრეზიდენტი, არ აიკიდებს ისეთ ტვირთს, როგორიც ჰქონდა ყოფილ ხელისუფლებას, რომლის წინააღმდეგაც აღდგა ხალხი. მე არ წავალ ჩემი ხალხის წინააღმდეგ იმიტომ, რომ მე ვცხოვრობ და ვიცხოვრებ აქ. მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, და იმიტომ ვიდექი იარაღით ხელში, იმიტომ ვიცავდი ჩვენი მოქალაქეების უფლებებს.

*– რა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად, რაც გააკეთეთ, როგორც სამართალდამცველმა?*

– მეტად ძნელია დაასახელო რაიმე ერთი. ახლა რომ დავიწყო იმის ჩამოთვლა, თუ რამდენ ადამიანს დავეხმარე ციხეებში ყოფნის პირობების გაუმჯობესებაში, საბინაო პრობლემების მოგვარებაში, ქართველების მიერ დატყვევებული რამდენი ხალხი დავაბრუნეთ სახლში. 2008 წლის ომის შემდეგ ჩვენ დავაბრუნეთ 45 ტყვე, მთლიანად კი დაახლოებით 200 კაცი, თუ ომის შემდგომ დატყვევებულებსაც მივიღებთ მხედველობაში.

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

## დედამიწის ზურგზე



**ტიმოშენკოს საკანში ჩაუსახლებენ „ზრდილობიან და ტოლერანტულ" მკვლელ ქალს**

უკრაინის ექსპრემიერის ახალი თანამესაკნე გახდება ქალი, რომელიც მსჯავრდადებულია განზრახ მკვლელობისთვის. ტიმოშენკოს ადვოკატი დარწმუნებულია, „ხელისუფლებას არ უნდა, რომ იხილოს იგი ცოცხალი". ამ დროს იტალიაში დააპატიმრეს ექსპრემიერის თანამებრძოლი არსენ ავაქოვი, რომელიც აფორმებდა ტიმოშენკოს საჩივარს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში.

* * *

**ჟურნალისტებმა მოისმინეს მედვედევის ობამასთან დახურული საუბარი: „მე გავიგე. ამას გადავცემ ვლადიმერს"**



აუდიოსვეტები, რომლებიც გადმოსცემენ ხმას დარბაზიდან, ჩაირთო პრესკონფერენციის დაწყებამდე. პირად საუბარში ობამამ დაარწმუნა მედვედევი, რომ რაკეტსაწინააღმდეგო პრობლემა „შეიძლება გადაწყდეს". მაგრამ საუბარს ამ თემაზე ის აპირებს პუტინთან და არა მედვედევთან. პენტაგონმა ამ დროს რუსეთს მოუმზადა უსიამოვნო სიურპრიზი, როდესაც გაახმიანა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის განვითარების ახალი გეგმები.

* * *

**ლონდონის პოლიციამ დააზუსტა გორბუნცოვზე თავდასხმის დეტალები – ქილერი ისროდა პისტოლეტიდან**



45 წლის გერმან გორბუნცოვი მძიმედ დაიჭრა 20 მარტს საღამოს, როდესაც სახლის სადარბაზოში შედიოდა, სადაც ცხოვრობდა ლონდონის ერთ-ერთ ქუჩაზე. ფინანსისტი გოსპიტალიზებულ იქნა რამდენიმე ჭრილობით, რომლებიც მიაყენეს ცეცხლსასროლი იარაღით. ამჟამად ის კვლავ ხელოვნურ კომაში, თუმცა სტაბილურ მდგომარეობაში რჩება.

* * *

**მიტ რომნიმ რუსეთს „ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე უწოდა**

მან ეს განცხადება გააკეთა სი-ენ-ენის ეთერში, როდესაც კომენტარს უკეთებდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნათქვამს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ დიმიტრი მედვედევთან ორმხრივ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა ადრე, იმავე დღეს, სეულში ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე.



ისტორიის მოსახვევები

# ნუთუ ჰიტლერმა შეძლო გაქცევა 1945 წელს?

**გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ 2012 წლის 20-26 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა მიხეილ ოზეროვის წერილი, რომელიც თავისი შინაარსით სენსაციურია. თურმე ბრიტანელი ისტორიკოსები ამტკიცებენ დაუჯერებელ ამბავს, რომ ომის დასასრულს ფიურერი გადარჩა.**

2011 წლის მთავარს სენსაციათა შორის შოტლანდიურმა გაზეთმა The Scotsman-მა დაასახელა ალბიონის ორი ისტორიკოსის ვერსია 1945 წელს ჰიტლერის ბერლინიდან გაქცევის შესახებ. „ამ თეორიამ ფურორი მოახდინა, ეს ისტორიის გადაწერაა“! – აღფრთოვანებულია გამომცემლობა და იუწყება: რუსეთი ემზადება მის უარსაყოფად და გამოაქვეყნა დაწვრილებითი დეტალები ჰიტლერის სიკვდილის შესახებ“.

მართლაც ისტორიკოსებმა ჯერარდ უილიამსმა და საიმონ დანსტენმა ააფორიაქეს მრავალი ადამიანი, აღნიშნავს მ. ოზეროვი, თავდაპირველად მათი თეორია მე ბოდვად მომეჩვენა. უამრავი რამ დაიწერა ჰიტლერის გაქცევის შესახებ, მაგრამ თანდათანობით ამ გასაშტერებელმა ამბავმა დამაინტერესა. მის ავტორებს მოჰყავთ სულ ახალთახალი უტყუარი მტკიცებულებანი ტელევიზიაში, რადიოსა და გაზეთებში. ამას წინათ გამოსცეს წიგნი „რუხი მგელი: – ადოლფ ჰიტლერის გაქცევა“, რომელიც ელვისებური სისწრაფით ბესტსელერად გადაიქცა. ახლა მისი მიხედვით იღებენ დოკუმენტურ ფილმს.

უელსელი ჯორჯ უილიამსი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ბი-ბი-სის და სკაი ნიუსის ტელეარხებზე, იგი, როგორც საიმონ დანსტენი, მრავალი სტატიისა და ტელეგადაცემის ავტორია ისტორიულ თემებზე. წიგნზე „რუხი მგელი“ ისინი შრომობდნენ ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ამიტომ განსაზღვრულ ნდობას იმსახურებენ.

1945 წლის 27 აპრილს, როცა საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ ბერლინში, ორი ფიგურა ამოძვრა საიდუმლო გვირაბიდან, რომელიც აერთებდა რაიხსკანცელარიას გარე სამყაროსთან. მალე საშუალო ასაკის წყვილი იჯდა თვითმფრინავში, მფრინავი პიტერ ბაუმგარტი ოფლად გაღვრილიყო და მკვდრის ფერი ედო. მას ხომ ჰაერში აჰყავდა თვით ადოლფ ჰიტლერი და ევა ბრაუნი.

ასე იწყება ფიურერის გაქცევის ამბავი ჯერარდის გადმოცემით. თითქოს თვითმკვლელობამდე სამი დღით ადრე ჰიტლერი დათანხმდა, რომ მისი ადგილი დაეკავებინა ორეულს, ხოლო ევა ბრაუნის როლი შეესრულებინა ნაკლებად ცნობილ მსახიობს. ცოლ-ქმარი პირველად გადაიყვანეს დანიის ქალაქ ტონდერში, იქიდან გერმანულ ბაზა ლუფტვაფეზე ტრევემუნდეში, ხოლო შემდეგ თვითმფრინავით JU-252-ით რეუსში (ესპანეთიძ, ბარსელონის სამხრეთით. იქ გენერალმა ფრანკომ ფიურერს დაახვედრა თვითმფრინავი ესპანური ამოსაცნობი ნიშნებით. ნაცისტების მეთაური ჩააფრინეს კანარზე, ფუერტუვენტურაში და მეორე დღეს ის ევა ბრაუნთან ერთად ავიდა წყალქვეშა ნავის ბორტზე. იმავე წუთებში თურმე ბერლინში მოკლეს მათი ორეულები და მათი სხეული დაწვეს.

როცა საბჭოთა ჯარებმა აიღეს რაიხსკანცელარია, მის ეზოში, ორმოში, ნახეს ძვლები და ფერფლი და ითვლებოდა, რომ ეს იყო ჰიტლერისა და ევა ბრაუნის ნარჩენები. მაგრამ ისინი, ვისზედაც ნადირობდნენ, სინამდვილეში ატლანტის ოკეანის მიუწვდომელ სიღრმეზე იყვნენ.

როდესაც ავტორს ჰკითხეს, შენი მოფიქრებულია, თუ საიდან მომდინარეობს ასეთი ვერსიაო, ჯერარდი აღშფოთდა ამ შეკითხვის გამო: ჩვენ თვითონ არ გვინდოდა, რომ ეს საზიზღარი ამბავი სიმართლე ყოფილიყო და მსოფლიოს უდიდესი ბოროტმოქმედი გადარჩენილიყო. მაგრამ სად წავუხვალ ფაქტებს? მისი სიტყვებით, ჯერ კიდევ 1943 წელს ნაცისტური პარტიის მეთაურმა და ჰიტლერის უახლოესმა თანამებრძოლმა მარტინ ბორმანმა დაამტკიცა უმაღლესი ნაცისტური ხელმძღვანელობის დისლოკაციის გადანაცვლების გეგმა გერმანიიდან ამერიკაში. ეს გეგმა ითვალისწინებდა შექმნილიყო იქ მეოთხე რაიხი. უწვრილმანესი დეტალების გათვალისწინებით იყო შედგენილი გაქცევის მარშრუტი. თვითონ ბორმანმაც ისარგებლა ამ მარშრუტით. ნიურნბერგის ტრიბუნალმა ბორმანს დაუსწრებლად მიუსაჯა სიკვდილი.

ამის შემდეგ არ ცხრებოდა კამათი: სად შეიძლებოდა ის დამალულიყო? როცა ამოიწურა ინგლისური საიდუმლო დოკუმენტების ხანდაზმულობის ვადა (50 წელიძ, ერთ-ერთმა იქაურმა ჯეიმს ბონდმა ქრისტეფორ კრეტონმა აღნიშნა, რომ ბორმანი ბუნკერიდან გაიქცა 1 მაისს. კვირანახევრის შემდეგ იგი მოხვდა მოკავშირეებთან, რომლებმაც იგი მიიყვანეს შვეიცარიის ბაზელში, ხოლო შემდეგ ინგლისში.

პლასტიკური ოპერაციის შედეგად ბორმანს შეუცვალეს სახე, სიარულის მანერა, ხმა. 1956 წელს ის ჩაიყვანეს არგენტინაში, ხოლო მოგვიანებით – პარაგვაის კოლონიაში, რომელიც განკუთვნილი იყო ნაცისტების დასამალად, აქვე მოკვდა იგი სამი წლის შემდეგ.

ამ ოპერაციის შესახებ კრეტონის მონაცემებით, იცოდნენ უინსტონ ჩერჩილმა და ენტონი იდენმა, რომელმაც 1945 წელს იგი შეცვალა პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

ბორმანის გეგმაში მისი შეფი ფიგურირებდა კოდური სახელით „რუხი მგელი“, განაგრძობს თხრობას ჯერარდი, აქედან მოდის ჩვენი წიგნის სათაურიც. აშშ-ის სპეცსამსახურებმა ფარულად გაიყვანეს ფიურერი და ევა ბრაუნი იმის იმედით, რომ მიეცემოდათ გერმანულ საიდუმლოებათა ახლოს გაცნობის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ჰიტლერელთა ხელმძღვანელების სიცოცხლის დაცვისათვის მიიღეს ფანტასტიკური თანხა. აქედან სავსებით გასაგებია, რატომ ასაიდუმლოებდნენ სამხედრო დამნაშავეთა ადგილსამყოფელს.

რატომ შეირჩა ჰიტლერის გაქცევის ადგილად არგენტინა? ამ ქვეყნის ხელისუფლებას ესიმპათიურებოდა მესამე რაიხის მეთაურები, ფალსიფიცირებული პასპორტებიც კი გაუგზავნეს მათ. ომის შემდეგ სწორედ არგენტინაში ჩაუშვეს ღუზა ყოფილმა ნაცისტმა ჯალათებმა: იოზეფ მენგელემ, ადოლფ ეიხმანმა, კლაუს ბარბიემ..., მაგრამ მათ ვერ შეძლეს „აორთქლება“, ბევრი კი მოგვიანებით დაიჭირეს. მიუხედავად ამისა, ათასამდე სამხედრო დამნაშავე დღემდე იმალება ოცზე მეტ ქვეყანაში: ბოლივიაში, ჩილეში, იგივე არგენტინაში, სუდანში, „ჩვენ მათ საფლავამდე ვსდევთ“, განაცხადა სიმონ ვიზენტალის ცენტრის დირექტორმა ეფრაიმ ზუროფმა. ძებნას ეწოდება „ოპერაცია უკანასკნელი შანსი“.

საბჭოთა კავშირში ყოველთვის წინააღმდეგობრივ ცნობებს ავრცელებდნენ იმის შესახებ, თუ რა მოხდა ომის ბოლო ქაოსურ დღეებში ჰიტლერის ბუნკერში, ამბობს ჯერარდი. გვამების ნარჩენები, როგორც ამტკიცებენ რუსები, დაასაფლავეს, მაგრამ მოგვიანებით მას ექსჰუმაცია ჩაუტარდა და გადაიტანეს სხვადასხვა ადგილას, რათა ჰიტლერის საფლავი ხალხის თავშეყრის ადგილი არ გამხდარიყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ რუსებმა თავისთვის შეინახეს ჰიტლერის თავის ქალის ნაწილი შემავალი ნატყვიარით, აგრეთვე სავარძლის სახელურები, რომლებზეც, როგორც ვარაუდობდნენ, ფიურერმა თავი მოიკლა. განაცხადეს, ნივთები მის თვითმკვლელობას ადასტურებენო. ცოტა ხნის წინათ ბიოლოგებმა აშშ-დან ჩაატარეს თავის ქალის ტესტირება-გამოკვლევა და აღმოჩნდა, რომ თავის ქალა ეკუთვნის ორმოც წლამდე ქალს და არა ჰიტლერს, რომელიც 1945 წელს 56 წლის იყო. ამ თავისქალას არც ევა ბრაუნთან აქვს რაიმე საერთო, ფიურერის ცოლმა თავი მოიკლა კალიუმის ციანიდით, რა შუაშია აქ ტყვიით მიყენებული ჭრილობა? ფბრ-ის ომის შემდგომ ფაილებში ჯერარდს წაკითხული აქვს აგენტების შეტყობინებანი სხვადასხვა ქვეყნიდან, აგრეთვე სხვა მტკიცებულებანი იმის შესახებ, რომ ჰიტლერი გაიქცა ბერლინიდან და დაიწყო ახალი ცხოვრება სამხრეთ ამერიკაში. 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ფბრ-ის დირექტორი ედგარ ჰუვერი და მისი ხელქვეითები აწარმოებდნენ დოსიეს ნაცისტების მეთაურზე. წიგნში „რუხი მგელი“ ნათქვამია, რომ 1945 წ. აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა, რომელიც მონაწილეობდა პოტსდამის კონფერენციაში, სტალინს დაუსვა შეკითხვა, მოკვდა თუ არა ჰიტლერი? „არა“ უპასუხა საბჭოთა ბელადმა, ხოლო თეთრი სახლის შემდეგმა მეთაურმა დუაიტ ეიზენჰაუერმა 50-იან წლებში განაცხადა, რომ აშშ-მა ვერ შეძლო აღმოეჩინა თუნდაც ოდნავი მიმანიშნებელი მტკიცებულება ჰიტლერის სიკვდილის შესახებ.

კვლავ ვისმენ ზღაპრის ახალ ვარიანტს „რუხი მგლის“ შესახებ, განაგრძობს მ. ოზეროვი. თურმე ფიურერი ევა ბრაუნთან ერთად ჩავიდა არგენტინის საკურორტო ქალაქ მარ დელ პლატაში. აქ მას „მშვიდი ენთუზიაზმით“ მიესალმნენ. ანდების მთისპირეთში მან იცხოვრა 1962 წლამდე. მისტერ უილიამსი იყო მის სახლში, რომელიც მოგაგონებდა ჰიტლერის რეზიდენცია „ბერხოფს“ ბავარიის ალპებში, ხოლო ევა ბრაუნმა, თითქოს, სამუდამოდ მიატოვა თავისი მეუღლე 1953 წელს და გადავიდა ქალაქ ნეუკუენში – დასავლეთ არგენტინაში. ვინ ადასტურებს ყველაფერ ამას? – მფრინავი პიტერ ბაუმჰარტი, იაპონელი მაღალი რანგის დიპლომატი, რომელიც ბერლინში მსახურობდა, ექიმები, მზარეულები, მცველები, რომლებიც მუშაობდნენ ფიურერთან. ჯერარდი მათ ხვდებოდა არგენტინაში თავისი მრავალჯერადი მოგზაურობის დროს, თუმცა მრავალი მათგანის სახელს იგი არ ასახელებს. რატომ? გასულ ოქტომბერს წიგნის „რუხი მგლის“ გამოსვლის შემდეგ მას დაუწყეს მუქარა და გააფრთხილეს, მათი მონაცემები საიდუმლოდ შეენახა. ორმა ჩემთან მოსაუბრემ, მაცნობა უილიამსმა, დაწვრილებით მიამბო იმის შესახებ, თუ როგორ დაინახეს ფიურერი მათმა მშობლებმა. რამდენი შემაძრწუნებელი ფაქტი შევიტყვე 78 წლის არგენტინელისგან, რომელიც ახლა ლონდონში ცხოვრობს. 1953 და 1956 წლებში იგი სრულიად ახალგაზრდა ურთიერთობდა ჰიტლერთან ბუენოს-აირესის ცენტრში მდებარე სასტუმროში. მისი აღწერილობა დაბერებული ჰიტლერისა ზუსტად ემთხვევა სხვა მოწმეთა შთაბეჭდილებებს. მაშინ თურმე ჰიტლერი უულვაშოდ ყოფილა. არ სახელდება კიდევ ერთი თვითმხილველის, უბრალოდ „ჯონის“ სახელი. ეს პენსიონერი, წარსულში ბიზნესმენი, იხსენებდა, რომ ჰიტლერის დასაფლავებაზე ჩაფრენილა ათეულობით თვითმფრინავი და შვეულმფრენი. სავსე იყო გერმანული საჭმელი და ლუდი. მრავალმა ვიზიტორმა დალია ბლომად და რამდენიმე დღის განმავლობაში მღეროდნენ გერმანულ სიმღერებს. უკანასკნელ დროს სამხრეთ აფრიკაში გამოჩნდა ჰიტლერისა და ბორმანის რამდენიმე „შვილიშვილი“. ყველა ისინი გერმანელი ემიგრანტების წარმომადგენლებს მიეკუთვნებიან და აშკარად თვითმარქვიები არიან. შეიძლება ჯორჯის მოწმეებიც „ეფრეიტორ ჰიტლერის შვილიშვილები არიან“?

ფიურერის გაქცევის თეორიას უარყოფს ბევრი ბრიტანელი მეცნიერი. ცნობილმა ისტორიკოსმა ჰაი უოლტერსმა საერთოდ მას უწოდა „ორიათასპროცენტიანი ნაგავი“. მაგრამ აღშფოთება კიდევ უფრო ამძაფრებს აჟიოტაჟს.

განსაკუთრებით გაცხარებული დისკუსიები გაიშალა იმის მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ჰიტლერი მოკვდა ბუნებრივი სიკვდილით შუა დღის 3 საათზე 1962 წლის 13 თებერვალს. იმ დროისათვის მას სჭირდა ჭკასუსტობა, მაგრამ, მას ძველებურად არ ეეჭვებოდა ნაცისტების გამარჯვება. პატიოსნად მითხარით, თქვენ თვითონ გჯერათ თქვენი თეორიის? – დავუსვი პირდაპირი კითხვა ჯერარ უილიამსს. მიხეილ, მე არ შევირცხვენდი ჩემს სახელს, ასი პროცენტით რომ არ ვიყო დარწმუნებული ჰიტლერის გაქცევაში! ამასთან, ჯერარდი გვპირდება, რომ მალე „კომსომოლკის“ მკითხველებს გაუზიარებს ახალ მტკიცებულებებს მისი გასაშტერებელი ვერსიით შესახებ.

დაბოლოს, ყველაზე დიდი სენსაცია: ადოლფსა და ევას ჰყავდათ შვილები! ორი ქალიშვილი. ერთი მათგანი დაიბადა 1941 წლის ბოლოს. ადვოკატი, რომელმაც გააფორმა მისი განქორწინება არგენტინაში, ახლაც ცოცხალია. ქალიშვილები თავდაპირველად ცხოვრობდნენ დედ-მამასთან ერთად, ხოლო შემდეგ – მხოლოდ ევა ბრაუნთან. ევა ბრაუნის სიკვდილის შემდეგ მათ დატოვეს ნეუკუენი, მაგრამ დარჩნენ სამხრეთ ამერიკაში და დღემდე იქ არიან.

თუ ამ მტკიცებულებებს სერიოზულად ჩავთვლით, მაშინ გამოდის, ჰიტლერის მემკვიდრეობა გრძელდება.



**მოამზადა**
**ჯუმბერ მაღლაფერიძემ.**

ჭიდაობა

# ალაფიც ამას ჰქვია!



**რიგაში დამთავრდა ახალგაზრდა მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი ფრეიდენფედსის თასზე, რომელშიც საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე 30 ფალავანი მონაწილეობდა ნუგზარ სხირელისა და ვლადიმერ ადეიშვილის ხელმძღვანელობით.** ჩვენებურებმა სამივე სინჯის 29 ჯილდო(!) დაიმსახურეს. უმედლოდ მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონის გურამ გედეხაურის ვაჟი – ზურაბ გედეხაური დარჩა.

„თავისუფლებმა" 6 ოქრო, 3 ვერცხლი და 4 ბრინჯაო წამოიღეს ბალტიისპირეთიდან. გულშემატკივრებმა ორი ქართული ფინალიც იხილეს. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლევან ქელეხსაშვილმა თანაგუნდელ ლაშა ბითარაშვილს სძლია, ხოლო 96 კილოში ომარ გუსოშვილმა გიორგი მეშვილდიშვილს მოუგო. ასევე, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ბექა ბუჯიაშვილი (50 კგ), ზურაბ იაკობაშვილი (66), სანდრო ამინაშვილი (84) და გენო პეტრიაშვილი (120), ვერცხლი ერგო ლაშა ტალახაძეს (55), ხოლო ოთარ გოგავა (55), კონსტანტინე ხაბალაშვილი (66), ზურაბ ყველაშვილი (74) და ლევან გოგრიჭიანი (84) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

„კლასიკოსებმა" მედლები ასე გაინაწილეს. ოქრო – ზურაბ სანიკიანი (50), რამაზ სურმანიძე (55), გიორგი დავითაია (66), თორნიკე ძამაშვილი (74), რობერტ ქობლიაშვილი (84) და ლევან არაბული (120), ვერცხლი – გიზო მელაძე (50), ხვიჩა ჭითანავა (60), იაკობ ქაჯაია (96) და შოთა გოგისვანიძე (120), ბრინჯაო – ნიკა ცეცხლაძე (55), ამირან შავაძე (60), ფირუზ წულუკიძე (66), ლაშა გოზაძე (74), დავით ჩაკვეტაძე (84) და ბექა ქურცაძე (96).

**ლექსო ცინცაძე**

კარატე

# „ოქრო" ნისლში აელვარდა

**8 მედალი ინგლისიდან: 3 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ასეთია ქართველი კარატისტების წარმატება ბრიტანეთის XV საერთაშორისო A კლასის ტურნირზე, რომელიც ყოველწლიურად იმართება ბრიტანეთის საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის ორგანიზებით.**




ინგლისის ქალაქ შეფილდში კარატეს ყოველწლიური ტრადიციული ტურნირი ჩატარდა. შეჯიბრება მსოფლიოს გაერთიანებული კარატე დოს ფედერაციის (WUKF) ეგიდით და წესებით გაიმართა. ამ შეჯიბრების ორგანიზატორი იყო ბრიტანეთის საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია. ამ პრესტიჟულ ტურნირზე, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს 20-მდე ქვეყანა, საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის გუნდმა პირველად მიიღო მონაწილეობა და კარგი შედეგიც აჩვენა. ჩვენებურები ტურნირის დაწყებამდე აშკარა ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, რადგან დიდი



ბრიტანეთის ტურნირებზე მათ არაერთხელ აუღიათ მედლები.

ორთაბრძოლები სხვადასხვა ასაკობრივ და წონით კატეგორიებში გაიმართა.

14-15-წლიანებში დებიუტანტმა ბექა ოთარაშვილმა ნახევარფინალი 1:2 წააგო ინგლისელ სპორტსმენთან და +60 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. მანვე თავისი ასაკის ინდივიდუალური კუმიტეს აბსოლუტურ წონით კატეგორიაშიც სცადა ბედი და აქაც III ადგილს დასჯერდა.

ტურნირის უფროსი ასაკის ინდივიდუალური კუმიტეს წონით კატეგორიებში თავი გამოიჩინეს ლევან გელდიაშვილმა (+70 კგ) და ლაშა ეგნატაშვილმა (+80 კგ). ფინალურ ორთაბრძოლაში ორივე სპორტსმენი სულ ერთი ქულით დამარცხდა ინლისელ კარატისტებთან და ვერცხლის მედლებს დაეუფლა.

უფროსი ასაკის ინდივიდუალური კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში მზეჭაბუკ მახარაძემ ასევე II ადგილი დაიკავა. მან ინდივიდუალურ კატაშიც იასპარეზა (ტექნიკური კომპლექსი). ფინალურ ჯგუფშიც გავიდა, თუმცა მსაჯებმა IV ადგილზე გაიყვანეს.

ბოლო დღეს გუნდური ასპარეზობები გაიმართა, ჯვაროსნებმა გუნდურ კუმიტეში ძალა მოიკრიბეს და თითოეულმა კარატისტმა ტატამზე მაქსიმალური ცოდნა აჩვენა. ლევან გელდიაშვილმა, მზეჭაბუკ მახარაძემ და ლაშა ეგნატაშვილმა წარმატებით გაიარეს ყველა წრე, ფინალამდე 3:0 დაამარცხეს მალტის, შოტლანდიის, იტალიის და ქალაქ მანჩესტერის ძლიერი გუნდები და ფინალში არანაირი შანსი არ დაუტოვეს ინგლისელებს, მასპინძლების სასარგებლოდ ვერც მსაჯების დახმარებამ გასჭირა. ქართველებმა 3:0 დაამარცხეს ლონდონის კარატეს ფედერაციის გუნდი და სამშობლოში ოქროს თასითა და ოქროს მედლებით დაბრუნდნენ.

მართლაც რომ საამაყო ნადავლია.

**გიორგი შოთაძე**

„დახურული ფეხბურთი"

# პასი, დროზე პასი, გიულჩაატაი!

**მსოფლიო ფეხბურთში სენსაციაა: ისლამური აღმოსავლეთის ქვეყნების ქალებს... ჰიჯაბებით თამაშის უფლება დართეს!**

**რამდენიმე თვეში ჰიჯაბებით ფეხბურთი, რომელიც მანამდე სპორტული ეგზოტიკის უდავოდ გამორჩეულ მაგალითს წარმოადგენდა, კანონიერ სტატუსს მიიღებს. ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო საბჭო – ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც თამაშის წესების შეცვლის უფლება აქვს – დათანხმდა სპორტსმენთა ტრადიციული ეკიპირების შეცვლას, თუკი ამას რელიგიური პრინციპები მოითხოვს.**



ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში ირანის ქალთა ნაკრებს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების შესარჩევ შეხვედრაში იორდანიის ნაკრებთან ჰიჯაბებში თამაშის უფლება არ მისცეს და ტექნიკური წაგება ჩაუთვალეს. ირანელებმა ამ გადაწყვეტილების ფიფა-ში გაპროტესტება სცადეს, მაგრამ მაშინ არაფერი გამოუვიდათ. მიუხედავად ამისა, საქმე მაინც დაიძრა და 2 ივლისის შემდეგ ჰიჯაბი საფეხბურთო ფორმის ისეთივე ნაწილად გადაიქცევა, როგორიც ამჟამად ბუცები ან გეტრებია.

თუმცა სპორტულ ვარიანტში ეს მთლად ჰიჯაბი კი არა, არამედ ერთგვარი ადაპტირებული თავსაბურავია, რომლის დანიშნულებაც სხეულის მოშიშვლებული ნაწილების დაფარვაა. ისე კი, მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ სიახლე მარტო მუსლიმან ფეხბურთელ ქალებს კი არა, სპორტული სამოსელის გამომშვებ ფირმებსაც წაადგება, რადგან დიდი ხნის გადანაწილებულ ბაზარზე შემოსავლის მიღების ახალი წყარო გაჩნდება.

აღნიშნულის გარდა, ფეხბურთის ასოციაციათა საბჭომ კიდევ რამდენიმე სიახლე დააკანონა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხუთკაციანი ბრიგადებით თამაშების მსაჯობის გამოცდილება დადებითად შეფასდა. ამიტომ ევროპის მომავალ ჩემპიონატს, რომელიც, როგორც ცნობილია, პოლონეთსა და უკრაინაში ჩატარდება, მოემსახურებიან მსაჯი მინდორზე, ორი ლაინსმენი და კარებს უკან ორი თანაშემწე.

გარდა ამისა, გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი მსაჯობისას ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მიმართულებით. საბჭოს წევრებმა ელექტრონიკის მეშვეობით კარის აღების რვა ვარიანტი განიხილეს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მაინც სამომავლოდ გადადეს. პრობლემა ისაა, რომ ამ საკითხისადმი ერთიანი მიდგომა თავად საერთაშორისო ფეხბურთის ხელმძღვანელობაში არ არის.

ფიფას თავკაცი იოზეფ ბლატერი თვლის, რომ საჭიროა საქმეში ტექნიკის ჩართვა, უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი კი ამის წინააღმდეგია. ამდენად, როგორც ჩანს, ვიდრე ისინი არ შეთანხმდებიან, არაფერი შეიცვლება.

**ირმა ირემაშვილი**

ინტერნეტიდან

## ალონსო იმარჯვებს



**ავტორბოლის „ფორმულა-1" ჩემპიონატის მეორე ეტაპზე „მალაიზიის გრან-პრი" გამარჯვება იზეიმა „ფერარის" პილოტმა ფერნანდო ალონსომ, ბოლო წრეზე თავიდან აიცილა რა „ზაუბერის" მრბოლის სერხიო პერესის შეტევა. ფინიშთან მესამე მივიდა „მაკლარენის" პილოტი ლუისი ჰემილტონი.**

ფერნანდო ალონსო ჯერჯერობით ლიდერია 35 ქულით. მას მოსდევს 30 ქულით ჰემილტონი, შემდეგ ბატონია – 25 ქულა, უებერი – 24 ქულა. კონსტრუქტორთა თასზე 55 ქულით წინაა „მაკლარენი", რომელიც ჯერჯერობით უსწრებს „რედ ბულს" (42) და „ფერარს" (35).

## ფრენბურთელს გული გაუჩერდა



**ფრენბურთში იტალიის ჩემპიონატის მესამე დივიზიონის მატჩის დროს გული გაუჩერდა ამ ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ფრენბურთელს ვიგორ ბოვოლენტას.**

თავისი გუნდის „ფორლის" შეხვედრისას კლუბ „მასერატას" დუბლშემადგენლობასთან 27 წლის ვიგორმა მოედანზე გრძნობა დაკარგა და მიუხედავად დროულად აღმოჩენილი სამედიცინო დახმარებისა, მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

ბოვოლენტამ, როგორც ცენტრალურმა მებლოკემ, იტალიის ნაკრებში მოიგო სამი ჩემპიონთა თასი, მსოფლიოს თასი, ევროპის ორი ჩემპიონატი, აგრეთვე „ვერცხლი" 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ატლანტაში.

## დაუჯერებელი ანგარიშით

**შედეგიანობის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა ერთი სტანდარტული მატჩის დროს ინგლისურმა ფეხბურთის კლუბმა „უილ პაუერმა", გაიმარჯვა რა გუნდზე „ნოვა-2010" დაუჯერებელი ანგარიშით 58:0. გაზეთის Daily Mail ცნობით, ეს ისტორიული მატჩი სამოყვარულო საკვირაო ლიგის ლიდერსა და აუტსაიდერ გუნდებს შორის თურმე ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ გაიმართა ზღვისპირა ქალაქ ტორკიში, მაგრამ ინგლისის დედაქალაქ ლონდონამდე ამ ამბავმა მხოლოდ ამ დღეებში ჩამოაღწია.**

ასეთი გამანადგურებელი დამარცხების მიზეზად მიიჩნევენ იმას, რომ დამარცხებული გუნდის მინდორზე გამოსულ ყოველ ფეხბურთელს ორი ან თითქმის ხუთი მოთამაშის ნაცვლად თამაში სჭირდებოდა, თანაც უწევდათ მატჩის დროსვე გუნდში ჩაერთოთ რამდენიმე უცნობი მოთამაშე, თუმცა მინდორზე მათი ყოფნა თითქმის არ იგრძნობოდა.

პირველი ტაიმი დამთავრდა რაღაც 20:0. გასანადგურებლად განწირული გუნდის მოთამაშეებმა მსაჯს სთხოვეს შებრალება და მატჩის შეჩერება, მაგრამ ის ჯარიმით დაემუქრა და თამაში ბოლომდე დაამთავრებინა. „უილ პაუერმა" ლიდერობა უფრო გაიმტკიცა.

## პამელამ ავტოსპორტს მიაკითხა



**დიახ, ავტოსპორტის დიდი თაყვანისცემელი აღმოჩნდა ცნობილი ამერიკელი მსახიობი და ფოტომოდელი პამელა ანდერსონი. იმის გარდა, რომ ის გულშემატკივრობდა „ფორმულა-1"-სა და NASCAR-ს, მან გადაწყვიტა თავისი გუნდის შექმნა. წლეულს მისი გუნდი Downtorcet by Pamela Anderson გამოვა GT კლასის ორ სერიაში.**

„მე ძალზე ვამაყობ ამ გუნდით, – განაცხადა პამელამ, – ამ ჯენტლმენებმა შეუძლებელი გააკეთეს, ოთხ თვეში გუნდი რომ შექმნეს, მოუთმენლად ველი ჩემი მანქანების გამოჩენას ტრეკზე. ამას მე მხოლოდ მაშინ დავიჯერებ, როდესაც რბოლაში მონაწილეებს ჩემი თვალით დავინახავ".

# განცხადება

2012 წლის 19 აპრილს, თბილისში, ცემის ქ. 3, 15 საათზე ჩატარდება სს „ელექტროტექნიკური ქარხნის" აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. გენდირექტორის მოხსენება 2011 წლის საქმიანობასა და მიღებული შედეგების შესახებ.
2. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ცვლილება.

სს „ელექტროტექნიკური ქარხნის" სამეთვალყურეო საბჭო

ხსოვნა

# დაგმარა ცანავა

აბაშის საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — მოულოდნელად გარდაიცვალა სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილი მუშაკი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აბაშის №1 ბაგა-ბაღის უფროსი **დაგმარა რაჟდენის ასული ცანავა.**



დაგმარა ცანავა დაიბადა 1939 წ. 10 ივლისს მარტვილის რაიონის სოფ. ნახუნაოში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა ოქროს მედალზე, ხოლო შემდეგ — ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი წითელ დიპლომზე.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დ. ცანავა მუშაობას იწყებს განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის კაბინეტში მეთოდისტად. რამდენიმე წელი იმუშავა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში წამყვან სპეციალისტად, ხოლო 1967 წლიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე სათავეში ედგა აბაშის №1 ბაგა-ბაღს. 40 წელზე მეტი იყო უცვლელი უფროსი, ძალზე იშვიათობაა. ათასობით ბავშვისათვის დაულოცნია გზა სკოლისკენ, რომელთა უდიდესი ნაწილი წარმატებით მოღვაწეობს ქვეყნის სხვადასხვა სფეროში.

დაგმარა ცანავა იყო საქმის დიდი ორგანიზატორი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ბაგა-ბაღის ახალი შენობის მშენებლობისა და დაბა სურამში აბაშის ბავშვთა დასასვენებლი სახლის აღდგენის საქმეში.

იგი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი კომუნიკაბელურობით, გულისხმიერებით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი თითოეულ აბაშელს გულით უყვარდა, რასაც თავისი უსაზღვრო კეთილშობილებით იმსახურებდა. როცა ვინმეს უჭირდა, ყოველ ღონეს ხმარობდა მისთვის ჭირ-ვარამის შესამსუბუქებლად. ქალბატონი დაგმარასათვის არ არსებობდა ცუდი ადამიანი, ყველაში მხოლოდ კარგს ხედავდა

ღრმად განათლებული, ერუდირებული, მწიგნობარი, მჭევრმეტყველი პიროვნება გახლდათ. არაერთი სამეცნიერო ნაშრომი ჰქონდა გამოქვეყნებული. აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში. არაერთგზის იყო არჩეული რაიონული საბჭოს დეპუტატად. დაჯილდოებული იყო ი.გოგებაშვილის მედლით, სიგელებითა და დიპლომებით.

განუმეორებელი მეუღლე, არაჩვეულებრივი დედა და ბებია, გამორჩეული ხელმძღვანელი მუშაკი — ასეთი იყო და ასეთად დარჩება იგი ყველას გულსა და გონებაში, ვინც კი ქალბატონ დაგმარას იცნობდა და მასთან ურთიერთობა ჰქონდა.

მან რჩეულთა ცხოვრებით იარა ამქვეყნად, ბოლომდე შეინარჩუნა ქართველი ქალის ყველა ღირსება, სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ შეუცვლია თავისი კეთილშობილური ხასიათი.

ყოველთვის ძნელია სიკვდილთან შეგუება, მაგრამ ის განსაკუთრებით შეუძლებელი ხდება მაშინ, როცა ჩვენს რიგებს აკლდება ღრმად ინტელექტუალური და მაღალი ზნეობის ადამიანი.

ნათელი დაადგეს დაგმარა ცანავას დაუვიწყარ ხსოვნას!

აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულო და გამგეობა

---

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან აბაშის №1 ბაგა-ბაღის უფროსის, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, უკეთილშობილესი ქალბატონის

**დაგმარა რაჟდენის ასულ ცანავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს

---

აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექცია და მუნიციპალიტეტის ს/ბაღების უფროსები ღრმა მწუხარებით იუწყებიან სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილი მუშაკის, №1 ბაგა-ბაღის უფროსის

**დაგმარა რაჟდენის ასულ ცანავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გიორგი დუნდუა ოჯახით იუწყება უახლოესი მეგობრისა და შესანიშნავი მანდილოსნის

**დაგმარა რაჟდენის ასულ ცანავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

---

აბაშის №1 ბაგა-ბაღის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე ბაღის ამაგდარი უფროსის

**დაგმარა რაჟდენის ასულ ცანავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მარინა კანდელაკი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდსულოვანი, სათნო მანდილოსნის

**დაგმარა ცანავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

---

რუსლან რუსია და რეზო ჭოჭუა ოჯახებით თანაუგრძნობენ გელა და ლაშა ჩალიგავებს დედის

**დაგმარა ცანავას**

გარდაცვალების გამო.

---

კახა კუპრავა ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს

**დაგმარა ცანავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

---

სანთელი

# ღუღუნი ჭანტურია

89 წლის ასაკში გარდაიცვალა **ღუღუნი კონსტანტინეს ძე ჭანტურია**. გაჩერდა დაღლილი და მრავალგზის ნატკენი გული. წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ადამიანი, დიდი მეურნე და დახვეწილი ინტელიგენტი, სიკეთითა და კაცურკაცობით სავსე პიროვნება, წალენჯიხის რაიონის მშვენება და სიამაყე, ვინაც თავისი დაუოკებელი ენერგია და ნიჭი უშურველად მოახმარა სამშობლოს კეთილდღეობას; წავიდა და დატოვა საზოგადო საქმისათვის თავდადებული მამულიშვილის სახელი.

ბატონ ღუღუნის ამშვენებდა გამორჩეული თავმდაბლობა, წყნარი, მშვიდი ხასიათი, ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭი, ის ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა და ამიტომაც უყვარდა ხალხს. მისი შინაგანი კულტურა, რაინდული ხასიათი და ფაქიზი ბუნება უთუოდ ქართული (კოლხურიძ ტრადიციული ოჯახიდან მოდიოდა — მამა, კონსტანტინე ჭანტურია გახლდათ კეთილი, მშრომელი ვაჟკაცი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, ევროპამოვლილი პიროვნება; დედა — მიმინო წულაია, იყო ასევე კეთილი, სათნო და კდემამოსილი მანდილოსანი, რომელმაც ადრე დაობლებულ შვილებს — ღუღუნისა და ამირანს მამობაც გაუწია.

გასული საუკუნის უმძიმეს ათწლეულებში გვარიშვილთა და სანათესაოს თანადგომით ღუღუნიმ წარმატებით დაამთავრა სოფელ ჯვარის საშუალო სკოლა, შემდეგ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. ერთხანს მასწავლებლობდა, იყო სოფელ ეწერის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი, მაგრამ მის ცხოვრებაში ყველაზე ნაყოფიერი და წარმატებული აღმოჩნდა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დარგებში მოღვაწეობა. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, მიიღო ახალი კვალიფიკაცია, ხოლო შემდეგ თბილისში, ეკონომიკის ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ბატონი ღუღუნი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დარგების აღმავლობის საპატიო საქმეს ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა — გახლდათ სხვადასხვა სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რაიონის მრეწველობის ფლაგმანის — №2 ჩაის ფაბრიკის დირექტორი, სოფელ ეწერის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.



სწორედ აქ გამოჩნდა მისი ფანტაზიის ზღვარზე გამავალი საშვილიშვილო საქმეთა კეთების იშვიათი უნარი, რომელმაც სოფელი ეწერი სოციალური და ეკონომიკური განვითარების ყველა პარამეტრის მიხედვით მთელი ქვეყნის მასშტაბით სანიმუშო და საჩვენებელი გახადა: გაშენდა ახალი გზები, ხიდები, ადმინისტრაციული შენობები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, საბავშვო ბაგა-ბაღები, სკოლები, მუზეუმი, მაღაზიები, სპორტული მოედნები, ქვეყნის უპირველესი კურორტების დონეზე მოეწყო გაზონები, სკვერები და ყვავილნარები. დაბოლოს, ახდა აქაური კაცის მითაჟამინდელი ოცნება — ეგრისის ქედის მთისწინეთიდან 18 კმ-ის სიშორიდან მოიყვანეს სასმელი წყალი. ავ თვალს არ ენახვებოდა ვენახი, ახლებური წესით გაშენებული ზვრები და ტალავერები, ხოლო ეწერის კოლმეურნეობის ფერმა, როგორც იტყვიან, ფორმითა და შინაარსით, ტოლს არ უდებდა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების მეცხოველეობის სპეციალიზებულ კომპლექსებს. საბოლოოდ, კოლმეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის ინტეგრირებით ჩამოყალიბდა დასრულებული ციკლის საწარმო — აგროსამრეწველო კომბინატი, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს ბატონი ღუღუნი ჭანტურიას ხანგრძლივი მოღვაწეობის გვირგვინი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. მთავარია, როგორც უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების მქონე სამეურნეო ხელმძღვანელისა და ეკონომისტის ბუნება ვერ ეგუებოდა მართვის დრომოჭმულ ნორმებს. არადა, ცნობილია, რომ სწორედ სოციალისტური წარმოების წესი და მისი თანამდევი დოგმები გადაულახავ ბარიერებს უქმნიდა სახალხო მეურნეობის აღმავლობას.

ხოლო ის, რაც მისი ხელმძღვანელობით სოფელ ეწერში განხორციელდა, მართლაც გმირობა იყო, მაგრამ კომუნისტური რეჟიმის დროს გმირობის ოფიციალურ მოპოვებას თავისი „ტექნოლოგია“ ჰქონდა, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად გულისხმობდა „ზემოდან კეთილგანწყობას“. კაცმა რომ თქვას, ბატონი ღუღუნის მხრივ არანაკლები გმირობა იყო ახლო წარსულის განუკითხაობის წლებში ძეშეცდომილთა ხელყოფისაგან თაობების მიერ წვალებითა და რუდუნებით შექმნილი ინფრასტრუქტურის დაცვა. ცოდვის კალო ტრიალებდა სამეგრელოში, ნგრევისა და დატაცების ფსიქოზმა მოიცვა რაიონები და სოფლები. ასეთ ვითარებაში იგი თავისი უდრეკი ხასიათის, ვაჟკაცობის, პოლიტიკური სიმწიფისა და მამულიშვილობის კვალობაზე უშიშრად აღუდგა წინ გარეწართა ხროვას და გაჩანაგებისაგან იხსნა სოფელი. მაშინ ამის გაკეთება ფაქტობრივად თავგანწირვას ნიშნავდა.

რა თანამდებობაზეც არ უნდა ემუშავა, იგი მუდმივად იყო იმ მუხტის მატარებელი, რომელიც თავის თავში გულისხმობდა მხოლოდ მოწინავე პოზიციას, უფრო სწორად მხოლოდ პირველობას. ეს თვისება, გასაგები მიზეზის გამო, მას ხშირად დისკომფორტს უქმნიდა. მუდმივად მაძიებლის, ნოვატორისა და ინიციატივიანი ხელმძღვანელის შეუბღალავი ავტორიტეტი ბევრს აღიზიანებდა, ებრძოდნენ კიდევაც, ებრძოდნენ აშკარად თუ ცუდშენიღბულად, შურდათ მისი, სარმას უდებდნენ. წალენჯიხაში და, სხვათა შორის, არა მხოლოდ წალენჯიხაში, იყვნენ რაიონული რგოლის ხელმძღვანელები, რომელთაც ერჩიათ გვერდით ჰყოლოდათ დამჯერი, მორჩილი, ადვილსამართავი სამეურნეო ხელმძღვანელები. ბატონი ღუღუნი ნამდვილად არ მიეკუთვნებოდა ამ კატეგორიის ადამიანებს.

გარეწართა ჯგუფმა, თანამდებობის პირებმა, ვისაც ეს ხელეწიფებოდათ, ბევრჯერ სცადეს ღირსეული კაცის დისკრედიტაცია, ერთხელაც მიაღწიეს კიდევაც საწადელს, თუმცა მალე ყველასა და ყველაფერს ნათელი მოეფინა და საგნებს თავისი სახელი დაერქვა.

ბატონი ღუღუნი არავის და არასდროს უნახავს მოშვებული და არაორგანიზებული. ისევე, როგორც არავის უნახავს არამც თუ მთვრალი, არამედ ნასვამიც კი, და ეს მაშინ, როდესაც, ქართული სუფრა და სტუმართმოყვარეობა პრინციპის რანგში ჰქონდა აყვანილი. საკუთარ ოჯახში ვინ იცის რამდენი წლისა და რომელი ჯიშის ყურძნისგან დაწურული ღვინის კოლექცია არ ჰქონდა. ერთი სიტყვით, ყველგან და ყველაფერში მისი ცხოვრების კრედო იყო ზომიერება.

ბატონი ღუღუნი ჭანტურიას ოჯახმა ქვეყანას აღუზარდა 6 შვილი. მათ შორის არიან ეკონომისტები, ექიმები, პედაგოგები. განგებამ დიდი გამოცდა მოუწყო, დროის მცირე მონაკვეთში ერთი-მეორის მიყოლებით დაკარგა უძვირფასესი ადამიანები — დედა, მეუღლე, ორი შვილიშვილი, ძმა, რძალი, სიძე — პროფესორი ალექსანდრე ლონდარიძე. სუსტი ნებისყოფის ადამიანი ამდენ დარტყმას ვერ გაუძლებდა, მაგრამ ბატონი ღუღუნი პიროვნებად დარჩა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს!.

თანამოაზრეთა და მეგობართა ჯგუფი:
**ვაჟა აკობია, რევაზ გოგოხია, მელორ ზარქუა, ვახტანგ კვარაცხელია, იუზა კვარაცხელია, ლევან მატუა, როლანდ ფიფია, ალიოშა ღვინჯილია, კლიმენტი შელია, ჯემალ შელია, კოტე ჩიქობავა, ანზორ ძაძამია, გონერი სალია, არდევან წულაია, გივი წულაია, ვალერი ჭანტურია, ნოდარ ჭითანავა.**

## გილოცავთ!

### ამაგიანი მეოცესაუკუნელი



ბატონო გრამიტონ!

თბილისში მცხოვრებ ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მკვიდრთა საზოგადოება – „ზუგდიდელი" სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს, საუკუნესთან მიახლოებას და დარწმუნებული ვართ, თქვენთან ერთად აღვნიშნავთ თქვენს 100 წლის იუბილეს!

თქვენი კაცობა და კაცური კვარაცხელიაობა, ოჯახიშვილობა და ღირსეულად განვლილი დიდი ცხოვრებისეული გზა სამაგალითოა თითოეული ჩვენგანისთვის.

საზოგადოების სახელით

**ანზორ შონია, ოთარ ჭითანავა, ჯემალ კვირტია, ლერი ჭითანავა, თამაზ გაფრინდაშვილი.**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### „ივანიშვილმა თუ ასე გააგრძელა, მეორე ადგილიც სანატრელი ექნება"

– ამბობს ცნობილი ჟურნალისტი, „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის" ყოფილი თავმჯდომარე ნანა დევდარიანი, – მეორე ადგილისთვის გიორგი თარგამაძეა ჩასაფრებული, ასე რომ, თუ მეორე-მესამე ადგილისთვის წავიდა ბრძოლა, მაპატიეთ, მაგრამ ეს არავითარი გამარჯვება არ იქნება! ყოველი მხრიდან ექახიან ივანიშვილს, – სააკაშვილის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი გამოაცხადეო, მაგრამ ჯიუტად არ აცხადებს და სხვანაირად სააკაშვილს როგორ უნდა მოუგო?

„ალია".

### ერთი ადამიანის ხელფასის ნახევარი გადასახადებში იხარჯება

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში საშუალო ხელფასი 700 ლარია. „ბიზნესრეზონანსის" გათვლებით, 700 ლარის ნახევარი სხვადასხვა გადასახადებზე იხარჯება, დარჩენილი ნახევარი მხოლოდ პურისა და ყველაზე იაფფასიანი საკვებისთვისაა საჭირო.

ექსპერტების განცხადებით, მოქალაქე, რომლის შემოსავალიც 700 ლარს არ აღემატება, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. აღსანიშნავია ისიც, რომ 4,5-მილიონიან ქვეყანაში, 630 ათასი დაქირავებით დასაქმებულიდან დაახლოებით 210 ათასი იღებს 700 ლარზე მეტ ხელფასს, 420 ათასი კი 700 ლარზე ნაკლებს.

„რეზონანსი".

### ამერიკაში საქართველოს საელჩოს შენობა იყიდება?

გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონში, სადაც საქართველოს საელჩოა განთავსებული, იყიდება. საქართველოს საგარეო უწყება ამ ინფორმაციას არ ფლობს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ საქართველოს წარმომადგენლობის შენობა ქართული მხარის საკუთრება არ არის. მისივე თქმით, ქართული მხარე მუშაობს, რომ შენობა საკუთრებაში გადაეცეს.

„ახალი თაობა".

## დაიჯესტი

### „განა რას გვაძლევს უბრალო ხალხის სიკვდილი?.."

**როგორ უგებენ მუსლიმანები თავიანთ თანამოძმეთა სამოქალაქო პირებზე შაჰიდურ შეტევებს? ამის გარკვევა სცადეს საინფორმაციო სააგენტოს „ფიუ გლობალ ეთიუდ ფროჯექტის" სპეციალისტებმა რამდენიმე მუსლიმანურ ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვით.**

აღმოჩნდა, რომ მუსლიმანთა უმრავლესობა უარყოფს მოსაზრებას, თითქოს თვითმკვლელი შაჰიდების მიერ სამოქალაქო პირთა აფეთქების გამართლება ისლამის მტრებისგან დაცვის არგუმენტით მართებულია. კერძოდ, პაკისტანში ამას უარყოფს მოსახლეობის 80 პროცენტი, თურქეთში – 70. მაგ-



რამ, ამავე დროს, ზოგიერთ ქვეყანაში შაჰიდობას მხარს უჭერენ. მაგალითად, ლიბანში მოსახლეობის 39, ხოლო ნიგერიაში 43 პროცენტი თვლის, რომ ზოგჯერ მშვიდობიანი ხალხის დახოცვა გამართლებულია. ასევე ფიქრობს ეგვიპტესა და იორდანიაში 20, ხოლო ინდონეზიაში 15 პროცენტი მუსლიმანი. ამასთან, ამ სამ ქვეყანაში გაცილებით მეტ მუსლიმანს მიაჩნია, რომ უბრალო ხალხის მიმართ ძალადობას არავითარი გამართლება არ აქვს. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს მთელ მსოფლიოში მუსლიმანები შაჰიდობას გაცილებით ნაკლებად უჭერენ მხარს.

### ავტორიტეტი „აიმაღლეთ", ოღონდ ზომიერად!



**მაღალი ქუსლები შესახედად ფეხებს აგრძელებს, გრძელი ფეხები კი ლამაზი და სექსუალურია. მაშასადამე, მაღალ ქუსლებზე შემდგარი ქალი უფრო მომხიბლავად გამოიყურება.**

**თავად ქალები კი მიიჩნევენ, რომ მაღალი ქუსლები სამსახურში მათ ავტორიტეტს მატებს. მაგრამ, როგორია ქუსლების ოპტიმალური სიმაღლე, ანდა, სულაც, არსებობს კი იგი? თუ რაც უფრო მაღალია ქუსლი, მით უკეთესი?**

უროლოგმა მარია ჩერუტომ მათი ოპტიმალური სიმაღლე ქალის სიმაღლის 4 პროცენტად განსაზღვრა და ამ აზრს პოლონეთის ვროცლავის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებიც დაეთანხმნენ. ქალის ფეხის საშუალო სიგრძე ცნობილია. ნორმალური ფეხის სიგრძე სიმაღლის დაახლოებით 55 პროცენტს შეადგენს. ამდენად, 170 სანტიმეტრის სიმაღლის ქალბატონისთვის ფეხის ოპტიმალური დაგრძელება დაახლოებით 7 სანტიმეტრია. სხვა სიმაღლის ქალბატონებს ფეხსაცმლის ქუსლის სიმაღლე თავისით შეუძლიათ განსაზღვრონ – საამისოდ თავისი სიმაღლე 0,04 ან 0,05-ზე უნდა გაამრავლონ.

### ღრმული ოკეანეში

**ატლანტიკის ოკეანის ფსკერზე პუერტო-რიკოს ღარი, რვა კილომეტრის სიღრმის ღრმული, დიდი ხანია მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს.**

გრავიტაციული ხელსაწყოებით გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ზედ ღრმულის თავზე ოკეანის წყლის ზედაპირი მის საშუალო დონეზე... 25 მეტრით დაბალია! შედეგი ფანტასტიკური ჩანდა, რადგან მეცნიერებს არ სჯეროდათ, რომ წყლის ზედაპირი შეიძლება არაჰორიზონტული იყოს. გემებიდან და თანამგზავრებიდან დაკვირვებებმა დაადასტურეს: ოკეანეს ზედაპირზე ღრმული ნამდვილად არსებობს! მის წარმოქმნას იმით ხსნიან, რომ ღრმული ოკეანეს ფსკერზე სიმძიმის ძალას ვერტიკალურისგან განზე ხრის. იმის გამო კი, წყლის ზედაპირი ცდილობს, სიმძიმის ძალის პერპენდიკულარული იყოს, ამის გამო კი ოკეანის მთელ წყებას დეფორმირება უწევს.



### გონიერი მუზარადი

**ხმაური – კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი უბედურებათაგანია, რომლის დონის გადაჭარბება ზოგჯერ მძიმე დაავადებებს იწვევს.**

საგანგებოდ აეროდრომების ტექნიკური პერსონალისთვის ინგლისურმა ფირმა „ემფლოვოქსმა" სპეციალური ხმაურსაწინააღმდეგო მუზარადი დაამზადა, რომელსაც სპეციალური ფილტრი აქვს, რომელიც მხოლოდ ადამიანის ხმის სიხშირის მქონე ბგერებს ატარებს. ეს ფილტრი პერსონალს ერთმანეთის ლაპარაკისა და მოსმენის შესაძლებლობას აძლევს, თანაც საიმედოდ იცავს მათ ძრავების მძლავრი ხმაურისგან.



### მსოფლიოში მეორე

**ეს სასაცილო – უბალნო, ვარდისფერი, დაჭმუნჭნულკანიანი და ძაბრისნაირი დრუნჩის მქონე ცხოველი – პატარა მილკბილაა. იგი ცოტა ხნის წინათ ამერიკის ქალაქ მაიამის ზოოპარკში დაიბადა და, ამდენად, თავის ჯიშის მეორე პატარაა, რომელიც ადამიანთა ხელში გაჩნდა.**

ახალშობილის წონაა ორი კილოგრამი, სიგრძე – 60 სანტიმეტრი. მისი გაჩენა ყველასთვის დიდი მოულოდნელობა იყო, რადგან ერთ-ერთი მდედრის ფეხმძიმობა ვერც ერთმა მსახურმა ვერ შენიშნა. მეტიც: იმ გალიაში, სადაც პატარა ვილი გაჩნდა, ორი მამრია და ორი მდედრი. არც ერთ მათგანს პატარის მიმართ არანაირი ყურადღება არ გამოუჩენია, არანაირი „მამური" ან „დედური" გრძნობა არ გამოუხატავს. მეცნიერებს ვერაფრით გაურკვევიათ, რას ნიშნავს ყოველივე – ეს ამ ცხოველთა საერთო თვისებაა თუ გალიაში ცხოვრების დამღუპველი ზეგავლენა?



მილკბილები ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკაში ბინადრობენ, მათ საკვებს კი ჭიანჭველები და ტერმიტები წარმოადგენენ. მოზრდილი ცხოველი ღორის ზომებს აღწევს და მიწის გასაოცარი მთხრელია. ხიფათის თანავემას უმალ შეუძლია სოროს გათხრა და შიგ დამალვა. სოროში ისინი, ჩვეულებრივ, მთელ დღეს ატარებენ, ღამ-ღამობით კი ნადირობენ. ეს ცხოველები დაახლოებით 15 წელს ცხოვრობენ.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.

*„საქართველოს რესპუბლიკაში"*

**299-62-77; 599 32-85-76.**

**განცხადება**

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

## ანეკდოტები

– **თქვენი** ჭიქა კარგა ხანია, ცარიელია. კიდევ ერთი ჭიქა ხომ არ გინდათ? – ეკითხება ბარმენი კლიენტს.

– რა ჯანდაბად მინდა ორი ცარიელი ჭიქა?

* * *

**ავტობუსის** მძღოლმა ექიმს მიაკითხა, პოტენცია საგრძნობლად დამიქვეითდაო. ექიმმა ვიაგრა გამოუწერა. მძღოლმა ტაბლეტი დალია და სახლში მისულმა, ცოლს სამჯერ „მიაკითხა". მერე შენიშნა, რომ მისი მეუღლე ამით სულაც არ აღფრთოვანებულა.

– რაო, არ მოგეწონა?

– რა უნდა მომწონებოდა. შენს საქმეს ისე ხარ ჩაყურყუმალებული, რომ თავადაც ავტობუსად იქეცი...

– ეს როგორ?

– როგორ და, ამ ავტობუსებს სულ ელოდები და ვერ ეღირსები მათს ჩამოდგომას, ზოგჯერ კი ზედიზედ სამი ერთად მოდის...



* * *

**არც** კი ვიცი, რომელი უფრო ცუდია: ის, რომ ჩემმა შეყვარებულმა მომწერა, – ერთმანეთს უნდა დავშორდეთო, თუ ის, რომ ერთი წუთის შემდეგ მისგან მესიჯი მივიღე, – ეს შენ არ გეხებოდაო.

* * *

**იცით** შუა საუკუნეებში მსხვერპლად რატომ შესწირავდნენ ხოლმე ქალწულებს?

აბა რომელი ჭკუათმყოფელი გაიმეტებდა ამისთვის გოგოს, რომელიც კაცს უარს არ ეუბნება?

* * *

**ქალებს,** როგორც ცნობილია, ძალიან კარგად ეხერხებათ რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთება. მაგრამ აი, თავის ტკივილისა და სექსის შეთავსება დღემდე ვერაფრით ვერ ისწავლეს.

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24